ინფორმაცია 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული

პროგრამების შესრულების შესახებ

თბილისი

2014

ინფორმაცია 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ

1. პრიორიტეტი – ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
35 02	სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა	1,652,452.0	1,652,452.0	1,638,535.0	1,638,535.0	
35 03	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	610,979.0	610,979.0	435,516.2	435,516.2	
35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	46,483.5	46,483.5	46,108.4	44,791.9	1,316.5
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	35,085.5	35,085.5	7,614.0	7,614.0	
27 04	ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში	11,958.1	11,958.1	10,967.9	10,967.9	
29 03	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	12,818.2	12,818.2	15,827.9	12,792.2	3,035.7
30 04	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურეობით უზრუნველყოფა	4,957.6	4,957.6	5,006.7	4,950.3	56.4
48 00	ა(ა)იპ – რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი	1,500.0	1,000.0	550.7	550.7	0.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		**2,376,233.9**	**2,375,733.9**	**2,160,126.8**	**2,155,718.2**	**4,408.6**

1.1. სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული საბოლოო შედეგი:

- შესაბამისი სამიზნე ჯგუფების ფულადი შემოსავლებით და სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი ჯგუფებისთვის დაფინანსდა ფულადი სოციალური გასაცემლები და სხვადასხვა ტიპის სოციალური მომსახურებები.
- შემოღებულ იქნა საპენსიო/სოციალური პაკეტი, გაუმჯობესდა გასაცემლების ადმინისტრირების პროცესი, რამაც ხელი შეუწყო მოწყვლადი ჯგუფების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.
- 2013 წლის 1 აპრილიდან ასაკით პენსიონერთა პენსია 110 ლარიდან გაიზარდა 125 ლარამდე, ხოლო 1 სექტემბრიდან 125 ლარიდან 150 ლარამდე; სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა საშუალოდ 2013 წლის 1 აპრილამდე შეადგენდა 168 ლარს, 1 აპრილიდან გაიზარდა საშუალოდ 272 ლარამდე, ხოლო 1 სექტემბრიდან - 292 ლარამდე.
- დაფინანსდა უმწეოთა ბინის ქირა;
- 2013 წლის აპრილიდან დაიწყო შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ე.წ. რეგრესული პენსია).

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართათვის სოციალური გასაცემლებით დაფინანსების უზრუნველყოფა სრულად და დროულად. საშუალოდ თვეში 685.0 ათასზე მეტი სახელმწიფო პენსიის და 17.7 ათასი სახელმწიფო კომპენსაცის მიმღები, საარსებო შემწეობების 437.5 ათასამდე მიმღები პირი, რეინტეგრაციის შემწეობის 250.8 ათასამდე პირი, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების 233.0 ათასამდე პირი, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების 781.8 ათასამდე პირი და სოციალური პაკეტის 144.1 ათასამდე პირი. ასევე შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ე.წ. რეგრესული პენსია) 2014 წლის აპრილიდან, თვეში საშუალოდ 695.7 ათასამდე პირის.
- გაუმჯობესებული სოციალური და ფიზიკური მდგომარეობა სოციალური მომსახურების მიმღებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა, ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, ასევე ძალადობის მსხვერპლ და მიუსაფარ ბავშვთა.

1.2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

1.2.1. ჯანმრთელობის დაზღვევა (პროგრამული კოდი 35 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ქვეყნის მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საქართველოს მთავრობის N165 და N218 დადგენილებებით განსაზღვრული ბენეფიციარების ნაწილი მოიცვა „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ პროგრამამ, შესაბამისად, 2013 წლის განმავლობაში დაახლოებით 200.0 ათასით შემცირდა პროგრამის ბენეფიციარების რაოდენობა. „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოსახლეობის გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და პირველადი ჯანდაცვის სერვისები, ასევე შემდგომ ეტაპზე გეგმიური ოპერაციებიც.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

1.2.2. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული საბოლოო შედეგები:

- გადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება;
- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა.
- გაიზარდა ონკოლოგიური დაავადებების ადრეული დიაგნოსტირების შემთხვევების რაოდენობა.
- ქვეყნის მოსახლეობა დაცულია მართვადი ინფექციებისაგან იმუნიზაციის გზით.

- ქვეყანაში გაუმჯობესებულია ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემა.
- პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია გამოკვლეული დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება.
- ინფექციური სნეულებებით დაავადებული მოსახლეობისთვის ადეკვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება.
- მთელი ქვეყნის მასშტაბით, გეოგრაფიულად ხელმისაწვდომად ფუნქციონირებდა ტუბერკულოზის ამბულატორიული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისები;
- საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია ტუბერკულოზის უფასო დიაგნოსტიკური და მკურნალობის მომსახურებით.
- აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან უფასო ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- 2012 წელთან შედარებით გაზრდილი ძუძუს (1.2-ჯერ), პროსტატისა და კოლორექტალური კიბოს სკრინინგში (1.2-ჯერ) მონაწილე ბენეფიციართა რიცხვი, მცირედ შემცირებული საშვილოსნოს ყელის სკრინინგში მონაწილე ბენეფიციართა რიცხვი.
- იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებელი ცალკეული ვაქცინების შესაბამისად (>80%).
- მალარიის პრევენციის მიზნით სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა პროტოზოული დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად ჩატარებული კვლევების 11%-ით გაზრდილი რიცხვი.
- საერთო დონაციების რაოდენობის 19%-ი უანგარო დონაცია.
- 2012 წელს ინფექციური დაავადებით ჰოსპიტალიზირებულ პირთა შორის ლეტალობის შემცირებული მაჩვენებელი 1.1 (2011 წელს იყო 1.2).
- 2012 წელს ყოველ 100 000 მოსახლეზე ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევის გამოვლენის 84.1 მაჩვენებელი. 2012 წელს წარმატებულად ნამკურნალევი შემთხვევების წილი 76%.
- 2012 წელს აივ-ინფექციის გამოვლენილი 526 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 11.7 – 10 000 მოსახლეზე).

1.2.2.1. დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- ონკოლოგიური დაავადებების გვიანი დიაგნოსტირების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:*

- გაიზარდა ონკოლოგიური დაავადებების ადრეული დიაგნოსტირების შემთხვევების რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2012 წელთან შედარებით გაზრდილი ძუძუს (1.2-ჯერ), პროსტატისა და კოლორექტალური კიბოს სკრინინგში (1.2-ჯერ) მონაწილე ბენეფიციართა რიცხვი, მცირედ შემცირებული საშვილოსნოს ყელის სკრინინგში (1.3-ჯერ) მონაწილე ბენეფიციართა რიცხვი.

1.2.2.2. იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- ქვეყნის მოსახლეობის დაცვა მართვადი ინფექციებისაგან იმუნიზაციის გზით.

მიღწეული შუალედური შედეგები:*

- გაიზარდა იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი უმეტეს ვაქცინებთან მიმართებაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებელი ცალკეული ვაქცინების შესაბამისად (>80%): (ბცჟ (ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინა) – 92.9%; ჰეპატიტი „ბ“ – 75.8 % (მოცვის დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ვაქცინების მოწოდებაში არსებული ორთვიანი შეფერხებით); დყტ+ჰეპB+ჰიბ3 (ერთ წლამდე ბავშვებში) – 91.1%; დყტ (18 თვის ბავშვებში) – 88.6%; ოპვ3 (პოლიომიელიტის ვაქცინა ერთ წლამდე ბავშვებში)– 91.8 %; ოპვ4 (18 თვის ბავშვებში) – 85.4 %; ოპვ5 (5 წლის ბავშვებში) – 84.0 %; წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინა 1 – 98.4 %; წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინა 2 – 89.2 %; დტ (დიფტერია-ტეტანუსი) – 89.6%; ტდ (ტეტანუსი-დიფტერია) – 73.2%; როტა 1– 49,4%; როტა 2– 36,3%).

1.2.2.3. ეპიდზედამხედველობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- ქვეყანაში გაუმჯობესებული ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ქვეყანაში გაუმჯობესებულია ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მალარიის პრევენციის მიზნით ჩატარებული კვლევები (სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა პროტოზოული დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად) გაზრდილი 11%-ით.

1.2.2.4. უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- სისხლისა და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია გამოკვლეული დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- უანგარო დონაციათა რაოდენობამ საერთო დონაციების რაოდენობის 19% შეადგინა.

1.2.2.5. პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროფესიულ დაავადებათა პროგრამის მოცვის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სააგანრიშო პერიოდში პროგრამაში მონაწილე 4 დაწესებულება.

1.2.2.6. ინფექციური დაავადებების მართვა (35 03 02 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ინფექციური სნეულებებით დაავადებული მოსახლეობისთვის ადეკვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საქართველოს მოსახლეობა ინფექციური და პარაზიტული დაავადებების შემთხვევაში უზრუნველყოფილია სტაციონარული მკურნალობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- 2012 წელს ინფექციური დაავადებით ჰოსპიტალიზირებულ პირთა შორის შემცირებული ლეტალობის მაჩვენებელი შეადგენს 1.1-ს (2011 წელს იყო 1,2).

1.2.2.7. ტუბერკულოზის მართვა (35 03 02 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენა და ადექვატური მკურნალობის უზრუნველყოფა.
- ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების შემცირება;
- ფთიზიატრიულ დახმარებაზე პროგრამის მოსარგებლეებისათვის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა;
- ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენა და ადეკვატური მკურნალობის უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ტუბერკულოზის ინციდენტობა ქვეყანაში ხასიათდება კლების ტენდენციით;
- მთელი ქვეყნის მასშტაბით, გეოგრაფიულად ხელმისაწვდომად ფუნქციონირებს ტუბერკულოზის ამბულატორიული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისები;
- საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია უფასო დიაგნოსტიკური და მკურნალობის მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- 2012 წელს ყოველ 100 000 მოსახლეზე ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევის გამოვლენის მაჩვენებელი 84.1, 2012 წელს წარმატებულად ნამკურნალევი შემთხვევების წილი იყო 76%.

1.2.2.8. აივ-ინფექცია/შიდსი (35 03 02 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- შემთხვევების ადრეული დიაგნოსტირების გაუმჯობესება და მკურნალობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან უფასო ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- 2012 წელს გამოვლენილი აივ ინფექციის 526 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 11.7 – 10 000 მოსახლეზე).

1.2.2.9. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (35 03 02 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის უცვლელი მაჩვენებლები.

1.2.2.10. ნარკომანია (35 03 02 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ნარკომანიით დაავადებულ პირთა ადეკვატური მკურნალობითა და ჩამანაცვლებელი თერაპიით უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ნარკომანიით დაავადებული პირები უზრუნველყოფილი არიან ადეკვატური მკურნალობითა და ჩამანაცვლებელი თერაპიით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩამანაცვლებელი ნარკოტიკითა და სამედიცინო მეთვალყურეობით უზრუნველყოფილი 2.6 ათასამდე ბენეფიციარი.

1.2.3. მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული საბოლოო შედეგები:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები უზრუნველყოფილი სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებით;

- ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილი სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;
- დიაბეტის მქონე პაციენტები უზრუნველყოფილი სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;
- მოსახლეობა უზრუნველყოფილი სასწრაფო სამედიცინო დახმარებითა და ტრანსპორტირებით, ასევე ხელმისაწვდომი პირველადი/ამბულატორიული მომსახურება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით.
- გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური შედეგების მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა.

მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- 30%–ით გაზრდილი ფსიქიატრიული პაციენტების მიერ ამბულატორიულად განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა. ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებში სტაციონარული მკურნალობა, საჭიროებისამებრ სრულად (მწვავე და ქრონიკული); საშუალო მწვავე საწოლდაყოვნების შემცირებული მაჩვენებელი 15-17 დღემდე.
- მოსახლეობა სრულად მოცული უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით.

1.2.3.1. ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პაციენტების მიერ ამბულატორიულად განხორციელებული ვიზიტების გაზრდა 30%–ით;
- ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებში სტაციონარული მკურნალობით უზრუნველყოფა, საჭიროებისამებრ სრულად (მწვავე და ქრონიკული);
- საშუალო მწვავე საწოლდაყოვნების შემცირება 15-17 დღემდე.

1.2.3.2. დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- დიაბეტით გამოწვეული სპეციფიური გართულებების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2013 წელს პროგრამაში ჩართული 4 139 ბენეფიციარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 9%-ით აღემატება.

1.2.3.3. ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (35 03 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გაუმჯობესდა ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

1.2.3.4. დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (35 03 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული საქართველოს მოსახლეობა სრულად მოცულია ადექვატური სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 100% უზრუნველყოფილი ჰემო-პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე ბენეფიციარები ჰემო და პერიტონეული დიალიზით. არ არსებობს მომლოდინეთა სია.

1.2.3.5. ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (35 03 03 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ინკურაბელური პაციენტების უზრუნველყოფა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილი არიან ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით და სპეციფიკური მედიკამენტებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი ინკურაბელური პაციენტები.

1.2.3.6. იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (35 03 03 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უზრუნველყოფა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული პაციენტები, რომლებიც ჩართულები არიან პროგრამაში უზრუნველყოფილნი არიან ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით და მედიკამენტებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები სტაციონარული მომსახურების 2.0 ათასამდე დაფიქსირებული შემთხვევა;
- იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურების 1.2 ათასამდე და ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის 5.7 ათასამდე შემთხვევა.

1.2.3.7. სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (35 03 03 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური შედეგების მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით სრულად მოცული მოსახლეობა.

1.2.3.8. სოფლის ექიმი (35 03 03 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში შეფასების მაჩვენებლების ზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- 2012 წელს ერთ სულ მოსახლეზე მიმართვების რაოდენობა 0.6, როცა 2011 წელს უდრიდა 0.7-ს.

1.2.3.9. რეფერალური მომსახურება (35 03 03 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სამედიცინო დახმარებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული 9.4 ათასზე მეტი შემთხვევა.

1.2.3.10. სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (35 03 03 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- განხორციელდება სამხედრო ძალების შევსება ჯანმრთელი კონტინგენტით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სამხედრო ძალების შევსება განხორციელდა ჯანმრთელი კონტინგენტით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ფარგლებში ამბულატორიულიად გამოკვლეული 27.5 ათასამდე წვევამდელი.

1.2.5. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (35 03 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული საბოლოო შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოსახლეობის გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და პირველადი ჯანდაცვის სერვისებით უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოსახლეობა გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და პირველადი ჯანდაცვის სერვისებით, ასევე გეგმიური ოპერაციებით.

მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- დაზღვევის არმქონე მოსახლეობისათვის საყოველთაო ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა.

1.3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“;
- ✓ სსიპ - „ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;
- ✓ სსიპ - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ ;
- ✓ სსიპ - „სამედიცინო მედიაციის სამსახური“
- ✓ სსიპ - „ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის ცენტრი“.

დასახული საბოლოო შედეგი:

- გეოგრაფიულად და ფინანსურად ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის დაცვის სერვისები;
- ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;

- ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტისაგან დაცული ფარმაცევტული ბაზარი;
- უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობისაგან დაცული მოსახლეობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულებისა და ოჯახის მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარის გაძლიერება;
- ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის შემთხვევათა შემცირება;
- ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობისა და ხანგრძლივი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სისტემის განვითარება;
- დაზღვეულისათვის დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული სერვისების დროულად და ხარისხიანად მიწოდების უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი;
- შემცირებულია ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტების რაოდენობა ფარმაცევტულ ბაზარზე;
- გაუმჯობესებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულებისა და ოჯახის მზრუნველობამოკლებული ბავშვების ცხოვრების ხარისხი;
- ტრეფიკინგის კუთხით გაზრდილია ცნობიერება ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგის) დანაშაულთან და პრობლემასთან დაკავშირებით;
- ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მომსახურებით, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარებით, თავშესაფრებით და სხვა სერვისებით;
- განხორციელდა საინტეგრაციო პროგრამები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიმართ;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ღირსეული საცხოვრებელი პირობებით, პირველადი სამედიცინო მომსახურებით, სამკურნალო-სარეაბილიტაციო და დღის და სადღეღამისო მომსახურებებით;
- უზრუნველყოფილია დაზღვეულისათვის დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული სერვისების დროულად და ხარისხიანად მიწოდება.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- ყველა მოქალაქისათვის გარანტირებული სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა საყოველთაო ჯანდაცვისა თუ სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო პროგრამებით;
- უკანონო სამედიცინო საქმინობაზე გამოვლენილი 28 შემთხვევა;
- ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;
- ფალსიფიცირებული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტის რაოდენობის მაჩვენებელი ბაზარზე;
- ოჯახურ გარემოში ინტეგრირებული დამატებით დაახლოებით 658 ბავშვი;
- ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციის დამატებით 740-მდე შემთხვევა;
- სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ პირთა გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები;

- ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უზრუნველყოფილი შესაბამისი მომსახურებით, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარებით, თავშესაფრებით და სხვა სერვისებით.

1.4. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 35 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგები:

- ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერის სისტემის მეშვეობით მოქალაქეთა სამედიცინო ჩანაწერებზე, შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებისათვის, ასევე მოქალაქეებისათვის (საკუთარ სამედიცინო ჩანაწერებთან) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერის სისტემის მეშვეობით მოქალაქეთა სამედიცინო ჩანაწერებზე, შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებისათვის, ასევე მოქალაქეებისათვის (საკუთარ სამედიცინო ჩანაწერებთან) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

შენიშვნა:*ცალკეული დაავადებების მიხედვით ინციდენტობის ან/და პრევალენტობის მაჩვენებლის შესახებ მონაცემები საქართველოში ხელმისაწვდომია ერთი წლის დაგვიანებით. შესაბამისად, ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია მხოლოდ 2012 წლის მონაცემები.

1.5. ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში (27 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აპარატის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახური

დასახული საბოლოო შედეგები:

- დაავადებულ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა 63%-ით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაიზარდა პატიმართა ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე, მათ შორის გაიზარდა სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა გამოკვლევისა და მკურნალობის მიზნით რეფერირების რაოდენობა და 2013 წელს შეადგინა - 5199.

1.6. თავდაცვის სფეროში ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;

დასახული საბოლოო შედეგები:

- სამხედრო-სამეცნიერო და სოციალური უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა. პროფილაქტიკური ღონისძიებებით ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური სტატუსის შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობის მაჩვენებლებისა და შრომისუუნარობის ხანგრძლივობის შემცირება. ხარისხიანი ამბოლატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა.

მიღწეულული საბოლოო შერდეგები:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალი და სამხედრო მოსამსახურეები, მათი ოჯახის წევრები, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრები, აგრეთვე სხვა სამოქალაქო პირები უზრუნველყოფილი იყვნენ ამბულატორიული და სტაციონალური სამედიცინო მომსახურებით. შეძენილ იქნა ახალი სამედიცინო აპარატურა, რაც სამხედრო ჰოსპიტალში ახალი სამედიცინო სერვისების დანერგვის საშუალებას იძლევა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2013 წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურება გაეწია 42 429 პაციენტს.
- 120 935 ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (კვლევა და კონსულტაცია) გაეწია 37 956 პაციენტს, კერძოდ: 21 464 სამხედრო მოსამსახურეს და სამხედრო პენსიონერს ჯამში 59 310 კვლევა ჩაუტარდა და კონსულტაცია გაეწია, 1 355 სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრს ჯამში 5 169 კვლევა ჩაუტარდა და კონსულტაცია გაეწია.
- 15 137 სამოქალაქო პირს ჯამში 56 456 კვლევა ჩაუტარდა და კონსულტაცია გაეწია;
- სტაციონარული სამედიცინო მომსახურება გაეწია 4 473 პაციენტს, კერძოდ: 2 680 სამხედრო მოსამსახურე და სამხედრო პენსიონერი, 1 17 სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრი, 1 676 სამოქალაქო პირი.

1.7. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურეობით უზრუნველყოფა (30 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მიმაგრებული კონტინგენტის სრულყოფილი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;
- დადგენილი წესით სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზება და ჩატარება;
- პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- შენარჩუნდა და განმტკიცდა თანამშრომელთა ფიზიკური მდგომარეობა, შემცირდა შრომისუუნარობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბენეფიციართათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი;
- სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფილი კონტინგენტი;

1.8. ა(ა)იპ – რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი (პროგრამული კოდი 48 00)*

შენიშვნა:*საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მაისის N442 განკარგულების შესაბამისად განხორციელდა ცენტრის ლიკვიდაცია და მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება გადაეცა სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს.

2. პრიორიტეტი – თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
29 01	შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება	583,988.1	583,988.1	578,225.9	578,225.9	
30 01	საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	560,682.2	560,682.2	562,212.3	562,212.3	
27 02	სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა	154,986.1	151,486.1	140,741.0	139,144.0	1,597.0
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	46,050.0	46,050.0	45,741.0	45,741.0	
29 04	თავდაცის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	52,157.5	52,157.5	50,734.7	50,685.2	49.5
26 02	გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა	27,350.0	27,350.0	27,305.1	27,305.1	
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	17,119.3	17,119.3	16,822.5	16,822.5	
30 02	ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება	12,026.8	12,026.8	108,099.9	11,993.6	96,106.3
27 01	პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა	8,864.0	8,864.0	8,471.2	8,471.2	
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	5,028.8	5,028.8	5,028.8	5,028.8	

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
24 06	საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში საჰაერო ხომალდების აფრენა-დაფრენისათვის საჭირო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა)	4,000.0	4,000.0	1,496.4	1,496.4	
03 01	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1,800.0	1,800.0	1,749.1	1,749.1	
26 08	დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები	761.4	761.4	542.6	542.6	
30 05	სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	262.3	262.3	262.3	262.3	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		**1,475,076.4**	**1,471,576.4**	**1,547,432.9**	**1,449,680.1**	**97,752.8**

2.1. შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება (პროგრამული კოდი 29 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი;

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესება;
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ამაღლება;
- სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

მიღწეულული საბოლოო შედეგები:

- ამაღლდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა;
- გაუმჯობესდა სოციალური უზრუნველყოფა;
- გაუმჯობესდა გამჭვირვალობის ხარისხი;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს შეიარაღებული ძალების გაზრდილი თავდაცვითი შესაძლებლობები;
- ამაღლებული ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა;

- გამჯობესებული სოციალური უზრუნველყოფა.

2.2. საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაერთიანება/გაღრმავება (30 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

დასახული საბოლოო შედეგები:

- საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დაცვა;
- სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ახალი შენობების მშენებლობა, მათი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა და დაცვითი სისტემებით უზრუნველყოფა;
- სამინისტროს ავტოპარკის მუდმივი განახლება;
- სახელმწიფო საზღვირს ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;
- კონტრაბანდული საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მინიმუმამდე შემცირება;
- ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვა;
- საზღვაო სივრცეში სამაშველო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობის გაუმჯობესება, სახლემწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში და საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემცირება;
- დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და დაკავებულ პირთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ;
- დაბრუნების, არალეგალური მიგრაციისა და რეადმისიის სფეროში შსს შესაძლებლობების გაზრდა;
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების ინცირება და გაფორმება;
- შსს თანამშრომელთა მომზადება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;
- ინტერაქტიული გაკვეთილების ჩატარება სკოლის მოსწავლეებისთვის და მათი ცნობიერების ამაღლება არასრულწლოვნებისა და დანაშაულის შესახებ, აღდგენით მართლმსაჯულებაზე, მოზარდთა ფსიქო-სოციალური პორტრეტზე, ძალადობის სახეობებზე და სხვა მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე;
- საპატრულო პოლიციის, მესაზღვრე-კონტროლიორის, სასაზღვრო პოლიციისა და დროებითი მოთავსების იზოლატორთა თანამშრომლების ქცევის ინსტრუქციების შემუშავება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მნიშვნელოვნად იკლო ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დანაშაულებმა, ასევე გაუხსნელმა სისხლის სამართლის საქმეებმა;
- ამაღლდა გამოძიების ოპერატიულობა;
- გაუმჯობესდა სამინისტროს თანამშრომელთა საბინაო მოწყობის პირობები;

- განხორციელდა ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია და გაუმჯობესდა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- გაიზარდა არასრულწლოვანთა ინფორმირებულობა სისხლის სამართლის დანაშაულებათა შესახებ;
- გაიზარდა შსს-ს შესაძლებლობები დაბრუნების, არალეგალური მიგრაციისა და რეადმისიის სფეროში (კონკრეტული ღონისძიებების, გაფორმებული შეთანხმებებისა და საიმპლემენტაციო ოქმების რაოდენობა);
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ ინიცირებული და გაფორმებული შეთანხმებები, პროგრამები;
- გაიზარდა შსს შესაბამისი თანამშრომლების კვალიფიკაცია ოჯახში ძალადობის მიმართულებით;
- სკოლის მოსწავლეთა ამაღლებული ცნობიერება მოზარდთა ფსიქო-სოციალურ პორტრეტზე, ძალადობის სახეობებზე და სხვა მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე;
- საპატრულო პოლიციის, მესაზღვრე-კონტროლიორის, სასაზღვრო პოლიციისა და დროებითი მოთავსების იზოლატორთა თანამშრომლებისთვის შემუშავებული ქცევის ინსტრუქციები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შემცირებული სისხლის სამართებრივი დანაშაულთა რაოდენობა;
- შემცირებული გაუხსნელ დანაშაულთა რაოდენობა;
- სამინისტროს თანამშრომელთა გაუმჯობესებული სოციალური პირობები;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განახლებული სამინისტროს ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში შემცირებული კანონდარღვევები;
- რეაბილიტირებული დროებითი მოთავსების იზოლატორების რაოდენობა/პროცენტული მაჩვენებელი. დაკავებულთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც დაკავებისას ინფორმირებულნი იქნენ თავისი უფლებების შესახებ ან დაურიგდათ უფლებრივი მასალა;
- დაბრუნებული და რეადმისირებული პირების გაზრდილი რაოდენობა (სტატისტიკური მაჩვენებელი);
- სხვადსხვა ქვეყნებთან ერთობლივად განხორციელებული/გამოძიებული საქმეების, განხორციელებული პროგრამების გაზრდილი მაჩვენებელი;
- ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების გაზრდილი რაოდენობა;
- „სამართლებრივი განათლების პროგრამა“-ში ჩართული სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა;
- შსს თანამშრომლების მიერ დისციპლინარული გადაცდომების შემცირებული მაჩვენებელი.

2.3. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (პროგრამული კოდი 27 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი;
- ✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო;
- ✓ სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური.

დასახული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულების სისტემის ჩამოყალიბება და პატიმართა საცხოვრებელი და ყოფითი პირობის გაუმჯობესება;
- რესოციალიზაციის მიზნით მოქნილი განათლების პროგრამების შემუშავება და პატიმართა მიერ განათლების მიღების უზრუნველყოფა;
- მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და გამოსწორება, დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემცირებული ალბათობა;
- კადრების პროფესიონალიზმის დონის ამაღლებით გაზრდილი მუშაობის ეფექტურობა;
- მოქმედი სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება და ახლის შემუშავება;
- უფასო იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა და მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო სტრანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოსაყალიბებელი ღონისძიებების გატარების შედეგად გაუმჯობესებულია თავისუფლებააღკვეთილთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები, მათ მიერ განათლების მიღება, შენარჩუნებულია თავისუფლებააღკვეთილ პირთა სამართლებრივი გარანტიები და გაუმჯობესებულია მოქალაქეთა მომსახურეობა საჭირო ინფორმაციით;
- სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამები გაიარა 1086-მა პირობით მსჯავრდებულმა, ხოლო მსგავსი პროგრამები - 840-მა თავისუფლებააღკვეთილი პირმა, (აღნიშნულ სტატისტიკაში შედის გადამზადებისა და სახელობო კურსების, ასევე ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების ჯამური მაჩვენებელი);
- იურიდიული დახმარების ბიუროებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩაატარეს გასვლითი კონსულტაციები. სულ ჩატარდა 130 გასვლითი კონსულტაცია. იურიდიული დახმარების ბიუროებმა წარმოებაში მიიღეს 11 764 სისხლის სამართლის საქმე, გაწეულ იქნა 17 971 კონსულტაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული პირობითი მსჯავრდებულების რაოდენობა 565 - ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, ხოლო მსგავს პროგრამებში თავისუფლებააღკვეთილ პირთა რაოდენობა - გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 36%-ით მეტია, სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში პრობაციონერთა ჩართვამ 2012 წელთან შედარებით 211 ერთეულით შეამცირა პირობით მსჯავრდებულებს შორის განმეორებითი დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- პენიტენციურ სისტემაში მიღწეული პროგრესი ასახულ იქნა სამართლებრივ და კონსტიტუციურ საკითხებსა და ადამიანის უფლებებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის - ტომას ჰამერბეგის ანგარიშში, გაეროს ნარკოტიკებისა და

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსა და აშშ-ს საერთაშორისო ნარკოტიკებისა და კანონის აღსრულების საქმეთა ბიუროს დასკვნებში;

- იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი 64%-ით მეტია 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე ხოლო გაწეული კონსულტაციების მაჩვენებელი გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს 2.5%-ით აღემატება;
- უფასო იურიდიული დახმარების ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა 20%-ით.

2.3.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

დასახული შუალედური შედეგები:

- საერთაშორისო სტრანდარტების შესაბამისი პენიტენციალური სისტემის ჩამოყალიბებით თავისუფლებააღკვეთილთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესება;
- თავისუფლებააღკვეთილთათვის განათლების მიღების ხელშეწყობა;
- მოქალაქეთა მომსახურება საჭირო ინფორმაციით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- თავისუფლებააღკვეთილ პირთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით რემონტი-რეკონსტუქცია ჩაუტარდა და შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით აღიჭურვა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 13 დაწესებულება. კაპიტალური სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და ახალი კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობდა ორ დაწესებულებაში;
- მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით დასრულდა N5 და N6 დაწესებულებების მახლობლად არსებული საზოგადოებრივი მისაღების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ხოლო №2 დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა;
- საზოგადოებრივი მისაღების შენობებში მომსახურება გაეწია 382 753 ადამიანს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დასაქმდა 472 თავისუფლებააღკვეთილი პირი;
- 2013 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობები გაუმჯობესდა პატიმართა 20%-სათვის;
- პროფესიულ და სახელობო სასწავლო პროგრამებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა - 840 თავისუფლებააღკვეთილი პირი, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 36%-ით მეტია.

2.3.2. პრობაციის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- რეაბილიტაცია გავლილი მსჯავრდებულები;
- გადამზადებული და კვალიფიკაცია ამაღლებული თანამშრომლები.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სააგენტოს ხელშეწყობით დასაქმდა 124 პირობით მსჯავრდებული;
- ფსიქოსარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 538-მა, პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამები - 548-მა პრობაციონერმა, ხოლო საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში ჩაერთო 1 611 პირობით მსჯავრდებული;
- სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარდა 348 კაც/ტრენინგი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართული პირობით მსჯავრდებულების რაოდენობამ შეადგინა 1086 ადამიანი (აღნიშნულ სტატისტიკაში შედის გადამზადებისა და სახელობო კურსების, ასევე ფსიქოსარეაბილიტაციო პროგრამების ჯამი).

2.3.3. უფასო იურიდიული დახმარება (პროგრამული კოდი 27 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

დასახული შუალედური შედეგები

- უფასო იურიდიული დახმარება გახდება უფრო მეტად ხელმისაწვდომი და გაუმჯობესდება მომსახურების ხარისხი;
- გაიზრდება საზოგადოების ინფორმირებულობის დონე უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების გამოყენებაზე.

მიღწეული შუალედური შედეგები

- იურიდიული დახმარების ბიუროებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩაატარეს გასვლითი კონსულტაციები. სულ ჩატარდა 130 გასვლითი კონსულტაცია;
- იურიდიული დახმარების ბიუროებმა წარმოებაში მიიღეს 11 764 სისხლის სამართლის საქმე, გაწეულ იქნა 17 971 კონსულტაცია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი 64%-ით მეტია 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე, ხოლო გაწეული კონსულტაციების მაჩვენებელი გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს 2.5%-ით აღემატება;
- უფასო იურიდიული დახმარების ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა 20%-ით.

2.4. თავდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 29 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი ,,დელტა“ და მასში შემავალი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები;

დასახული საბოლოო შედეგები:

- ჩამოწერილი საბრძოლო მასალების (ავია ბომბები, რაკეტები, საარტილერიო ჭურვები) შემდგომი უტილიზაცია; ჩამოწერილი მცურავი საშუალებების რეალიზაცია;

მიღწეულული საბოლოო შერდეგები:

- ახალი ნახევარგამატრული, თერმოელექტრული, ოპტოელექტრონული, ზეგამტარული და კომპლექსური კომპოზიტების მიღების მეთოდების დამუშავება, ნიმუშების მიღება და კვლევა;
- მიღებულია გარემოს კუმშვადობის და უკუმშვადობის ახალი კრიტერიუმები, დამზადებულია ჰაერში ბგერის სიჩქარის მაღალი სიზუსტით გამმზომი დანადგარი კომპიუტერული უზრუნველყოფით, შექმნილია გრავიტაციული ტალღების კორექტული წრფივი თეორია;
- მცირე ტვირთამწეობის, მაღალი გამავლობის, მანევრირებადი, საიმედო, დისტანციურად მართვადი, ჰიბრიდული ენერგეტიკული სისტემით აღჭურვილი მობილური პლატფორმის მოდულის დამუშავება;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დამუშავებული ტექნოლოგიები და მეთოდიკები;
- მიღებული ნიმუშები და ნაკეთობები; სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშები და პუბლიკაციები;
- ჰაერში ბგერის სიჩქარის მაღალი სიზუსტით გამმზომი დანადგარი კომპიუტერული უზრუნველყოფით დამონტაჟდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ფიზიკის ლაბორატორიაში, სტუდენტების მიერ სასწავლო ექსპერიმენტების ჩატარების მიზნით;
- შეიქმნა მცირე ტვირთამწეობის, სხვადასხვა გამავლობის მობილური რობოტის მრავალფუნქციური პლატფორმის მოდულები.

2.5. გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პროკურატურა

დასახული საბოლოო შედეგი:

- მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მომსახურების გაზრდა;
- საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების გაფართოება;
- რეფორმირებული პროკურატურა, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერების დაცვას, დანაშაულის დონის შემცირებას და პროკურატურის საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ საქართველოს მასშტაბით მომსახურება გაეწია დაზარალებულებს, მოწმეებს, ბრალდებულებს, განმცხადებლებსა და სხვა პირებს;
- საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში რაიონული პროკურატურების ორგანიზებით განხორციელდა საგანმანათლებლო-

ინტელექტუალური, კულტურული, სპორტული ღონისძიება და სხვადასხვა ტიპის სოციალური აქცია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ საქართველოს მასშტაბით მომსახურება გაეწია 9 714 პირს;
- საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში 18 რაიონული პროკურატურის ორგანიზებით განხორციელდა 61 საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, 8 კულტურული, 26 სპორტული ღონისძიება და 13 სოციალური აქცია

2.6. ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

დასახული საბოლოო შედეგი:

- საგამოძიებო სამსახურის მართვის თანამედროვე პრინციპებზე გადაყვანა;
- საფინანსო და ფისკალურ სფეროში დანაშაულის დონის მინიმუმამდე შემცირება;
- ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა.

მიღწეეული საბოლოო შედეგი:

- საგამოძიებო სამსახური ნაწილობრივ გადავიდა მართვის თანამედროვე პრინციპებზე;
- შემცირდა საგამოძიებო მოქმედების ვადები და დაზოგილ იქნა გამოძიების პროცესში ადამიანური და ფინანსური რესურსების;
- ქვეყენაში იკლო ეკონომიკურ დანაშაულთა რიცხვმა და ამაღლდა გამოძიების ხარისხი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- გამოვლენილ იქნა 811 სამართალდარღვევათა საერთო რაოდენობა და ყველა საქმეზე დაიწყო წინასწარი გამოძიება.
- იმ პირთა რაოდენობამ, რომელთა მიმართაც დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა შეადგინა 625 ერთეული, აღკვეთი ღონისძიება გამოყენებულ იქნა 525-ის მიმართ, სამართლებრივი დევნა შეწყდა 38 ერთეულის მიმართ.

2.7. ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ -დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

დასახული საბოლოო შედეგები:

- დაცვის პოლიციის აღჭურვა დაცვითი ტექნოლოგიების სისტემების თანამედროვე აპარატურითა და რადიოგადამცემებით; შენობა-ნაგებობების მშენებლობა და რემონტი;

- დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, საქართველოს საპატრიარქოსა და მნიშვნელოვანი ობიექტების უსაფრთხოება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურისა და მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების დაცვის მაღალი დონე.

2.11. დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (26 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტური სისტემა;
- რეფერალის სისტემის არსებობა;
- არასრულწლოვანთა დასაქმების ხელშეწყობა;
- რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის დახვეწილი მექანიზმების არსებობა;
- განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განრიდებულ იქნა 330 არასრულწლოვანი;
- რეფერალის სისტემის შემდგომი აწყობის მიზნით ჩატარდა არსებულ მომსახურებათა კვლევა;
- განხორციელდა დამატებითი ღონისძიებები რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მექანიზმების დახვეწის მიზნით;
- განვითარდა და გაფართოვდა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განრიდებული 330 არასრულწლოვანიდან განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ 3-მა მათგანმა;
- საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის რეფერალის სისტემის აწყობის მიზნით მონაცემთა ბაზაში შეტანილია 7 ქალაქის მიხედვით არსებული მონაცემები გასაწევ მომსახურებათა შესახებ;
- განრიდებისა და მედიაციის პროგრამა დაინერგა ქვეყნის მასშტაბით.

2.12. სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ საქართველოს შსს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

დასახული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების სრულყოფილად წარმოება;
- მარაგების დაგროვება მათი სრულყოფილად მოვლა-პატრონობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო რეზერვების, მატერიალურ ფასეულობათა უიმედო დებიტორული დავალიანების ბალანსიდან მოხსნა და ჩამოწერა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბალანსიდან მოხსნილი და ჩამოწერილი სახელმწიფო რეზერვების, მატერიალური ფასეულობების უიმედო დებიტორული დავალიანებების რაოდენობა.

3. პრიორიტეტი – რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	560,697.7	560,697.7	522,990.2	522,990.2	
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	221,846.8	221,846.8	127,082.1	127,082.1	
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	138,731.5	138,731.5	71,469.6	71,469.6	
36 03	ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	57,559.0	57,559.0	71,498.3	71,498.3	
36 04	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	51,706.0	51,706.0	71,409.2	71,409.2	
24 07	საფრანგეთის სასაქონლო დახმარება (საფრანგეთი)	30,000.0	30,000.0	21,087.9	21,087.9	
24 08	სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება ზემო სვანეთში (საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა)	25,000.0	25,000.0	25,001.0	25,001.0	
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	6,431.3	6,431.3	5,568.0	5,568.0	
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	4,984.5	4,984.5	4,863.2	4,863.2	
24 02	ტექნიკური და სამშენებლო	1,327.8	1,227.8	1,184.9	1,184.9	

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
	სფეროს რეგულირება					
24 09	ბაქო–თბილისი–ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა–ახალქალაქი–კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია	400.0	400.0	3.0	3.0	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		**1,098,284.6**	**1,098,584.6**	**922,157.3**	**922,157.3**	**0.0**

3.1. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 25 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დასახული საბოლოო შედეგი:

- ქვეყნის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა და საქართველოს საგზაო ქსელის ჩართვა საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში;
- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა; მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- რაიონულ ცენტრებთან, ასევე ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან გამარტივებული დაკავშირება;
- საერთაშორისო სტანდარტებთა შესაბამისობაში მოყვანილი და მომხმარებლისთვის კომფორტული საავტომობილო გზები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგები შეესაბამება დასახულ მიზნებს.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საავტომობილო გზების მახასიათებლებთან მიახლოება;

- სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების ეტაპობრივი შემცირება;
- ავტომაგისტრალებზე საგზაო შემთხვევების შემცირება.

3.1.2. გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 25 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დასახული შუალედური შედეგი:

- საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები, ასევე შეკეთდა და აღდგა ხიდები, რითაც მნიშვნელოვლად მოწესრიგდა რაიონულ ცენტრებთან, ასევე ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან მისასვლელი გზები.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ჩატარებული სამუშაოების შედეგად რეაბილიტირებული იქნა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები;
- რეაბილიტირებული, შეკეთებული და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია ჩატარებული რაიონულ და საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან, ასევე, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზები;
- ჩატარდა სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით განსახორციელებელი, ასევე მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 260 კმ-დე საავტომობილო გზას;
- 6000 კმ-მდე საავტომობილო გზას ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში;
- სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოებით უზრუნველყოფილი იქნა გზებისა და ხელოვნური ნაგებობების ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების დროული აღდგენა, რითაც შეჩერებული იქნა მათი სრული დაზიანება და გზებზე მოძრაობის მოსალოდნელი შეფერხება;
- მდინარეთა კალაპოტებში ნაპირსამაგრი ღონისძიებების გატარების შედეგად ლიკვიდირებული იქნა სანაპირო ზონებში არსებული ავარიული სიტუაცია, რითაც უზრუნველყოფილი იქნა: სანაპირო ზონების მდგრადობა, მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო;
- გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების ეტაპობრივი შემცირება.

განმარტება დასახულ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგები შეესაბამება დასახულ მიზნებს.

3.1.3. ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი 25 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დასახული შუალედური შედეგი:

- ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (E-60 ავტომაგისტრალი) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება;
- საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადადგილების უზრუნველყოფა;
- საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადის გამტარუნარიანობის და საერთაშორისო გადამზიდავი კომპანიების ინტერესების გათვალისწინებით საავტომობილო გზების მახასიათებლების საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. გაიზრდება სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობა;
- უზრუნველყოფილი იქნება ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობა და უსაფრთხო მოძრაობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (E-60 ავტომაგისტრალი) რეკონსტრუქცია-მშენებლობა ზრდის სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კოლიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობას, უზრუნველყოფს ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობას და უსაფრთხო მოძრაობას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დასრულებული სენაკი–ფოთი–სარფის საავტომობილო გზის ქობულეთის შემოვლითი გზის 12,4 კმ–იანი მონაკვეთის მშენებლობა და მასზე გადართული მოძრაობა.

განმარტება დასახულ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგები შეესაბამება დასახულ მიზნებს.

3.2. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

დასახული საბოლოო შედეგები:

- რეგიონული და მუნიციპალური მნიშვნელობის გზების, ტურისტული ინფრასტრუქტურის, მუნიციპალიტეტების კომუნალური მეურნეობის, ტურისტულ ზონებში ქუჩების და საფეხმავლო გზების კეთილმოწყობის, განათების, სხვა ტურისტული და ინფრასტრუქტურული ამოცანების გადაწყვეტა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოწესრიგდა და მოეწყო პროექტით გათვალისწინებულ ობიექტებში ინფრასტრუქტურა, გზები, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, ჩატარდა ნაპირგამაგრებითი სამუშაოები, მოწესრიგდა პროექტით გათვალისწინებულ ტურისტულ რეგიონებში შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ასევე - დაიწყო რამოდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული შიდა გზები, ნაპირგამაგრებითი სამუშაოების შედეგად გამაგრებული რისკების შემცველი ადგილები;
- გაზრდილი ტურისტული პოტენციალი;
- ტურისტულ ზონებში მოწესრიგებული შიდა ინფრასტრუქტურა, გზები, გამწვანება, განათება, ქუჩები, მოწესრიგებული ნაგავსაყრელები, ტურისტული დანიშნულების ნაგებობები;
- ურბანული ინფრასტრუქტურის აღდგენა;

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- 2013 წელს სრულად ვერ განხორციელდა საანგარიშო პერიოდისათვის დაგეგმილი სამუშაოები. აღნიშნული განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: მიმდინარე პროექტების შემსრულებელი კომპანიების მასიური ფინანსური პრობლემებით; სამშენებლო ორგანიზაციების მხრიდან გრაფიკით გათვალისწინებული ვადების ხშირი დარღვევით; წინა პერიოდში შედგენილ რიგ პროექტებში არსებული ხარვეზებით, რამაც სამუშაოთა მიმდინარეობისას, პროექტების კორექტირების აუცილებლობის გამო, ვადების მნიშვნელოვანი გადაწევა გამოიწვია. რიგ შემთხვევაში პროექტებში შეტანილმა ცვლილებებმა საჭირო გახადა კანონით გათვალისწინებული აუცილებელი დამატებითი პროცედურები შესყიდვების კუთხით, რამაც ასევე - მნიშვნელოვნად გაზარდა ვადები; პროექტების განხორციელებისას გარემოსდაცვითი მოთხოვნების გამკაცრებამ რიგ პროექტებში კორექტივები შეიტანა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონმდებლობის უგულებელყოფით წინა პერიოდში შედგენილი რამოდენიმე პროექტით მიმდინარე სამუშაოების საპროექტო პარამეტრების კორექტირებამ მათი განხორციელების ვადები გადაავადა, ხოლო რამოდენიმე პროექტი მთლიანად შეჩერდა და ა.შ.. აღნიშნულმა ფაქტორებმა მნიშველოვანი კორექტივები შეიტანეს დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების ვადებში, რაც შესაბამისად აისახა ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ათვისებაზეც.

3.3. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა - რეაბილიტაცია (25 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია".

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, წყალარინებისა და წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გამოიცვალა მილები; აშენდა ახალი სატუმბო სადგურები; დამონტაჟდა მრიცხველები; გარემონტდა საქლორატორო შენობები და სხვა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებბული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები;
- მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება;
- საქართველოს სხვადასხვა ქალაქში წყალმომარაგების პროექტების დასრულება.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- რამოდენიმე პროექტზე სამუშაოები მიმდინარეობდა დაგეგმილი გრაფიკით. ამასთან, კონტრაქტორი კომპანიების ფინანსური და სხვა სახის პრობლემების გამო რიგ პროექტში ადგილი ჰქონდა სამუშაოთა შესრულების ვადების შეცვლას.

3.4. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ შპს ენგურჰესი
- ✓ შპს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

3.4.1 ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი (EBRD) (პროგრამული კოდი 36 03 01)

დასახული საბოლოო შედეგები:

- ენგურჰესის საპროექტო სიმძლავრეზე გასვლა. ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის გაზრდა, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გაუმჯობესება და მოწყობილობათა უსაფრთხოება და საიმედოობა; ელექტროენერგიის მოწოდების საიმედოობის გაუმჯობესება, კაშხლისა და სხვა ნაგებობების უსაფრთხოების ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ენგურჰესის №5 ჰიდროაგრეგატზე საპროექტო სიმძლავრეზე გასვლა (ტესტირების შემდეგ).

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის 1300 მგვტ-ის და ელექტროენერგიის საპროექტო გამომუშავების 4,2 მლრდ.კვტ.სთ მიღწევა.

3.4.2. ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EC) (პროგრამული კოდი 36 03 02)

დასახული საბოლოო შედეგები:

- ენგურჰესს საპროექტო სიმძლავრესა და ელექტროენერგიის გამომუშავების მიღწევა. ვარდნიჰესის კასკადის №1 ჰესის კაშხლის და სხვა ჰიდროენერგეტიკული კვანძების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- ამაღლდება ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალი, გაუმჯობესდება ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და მოწყობილობების უსაფრთხოება და საიმედოობა, გაუმჯობესდება ელექტროენერგიის მოწოდების საიმედოობა, გაიზრდება კაშხლისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ენგურჰესის საპროექტო სიმძლავრესა და ელექტროენერგიის გამომუშავების მიღწევა. ვარდნიჰესის კასკადის №1 ჰესის ნორმალური ფუნქციონრების მიღწევა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ენგურჰესის საპროექტო სიმძლავრესა 1300 მგვტ და ელექტროენერგიის 4,2 მლრდ. კვტ.სთ მიღწევა. ვარდნილიჰესის კასკადის №1 ჰესის უსაფრთხო და უავარიო ფუნქციონირება.

3.4.3. ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარება (USAID) (პროგრამული კოდი 36 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ შპს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

დასახული საბოლოო შედეგები:

- აღდგება გაზსადენის საპროექტო გამტარუნარიანობა. გაიზრდება მოსახლეობისა და სამრეწველო ობიექტების გაზმომარაგების საიმედოობა და ხარისხი.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მიმდინარეობდა ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობისა და სამრეწველო ობიექტების გაზმომარაგების ხარისხის ამაღლება და გაზმომარაგების ავარიული შეწყვეტების შემცირება მინიმუმამდე.

3.5. სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქარველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართელოს სახელმწიფოს ელექტროსისტემა

3.5.1. შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი (KFW, EIB , EBRD) (პროგრამული კოდი 36 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

დასახული საბოლოო შედეგები:

- პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სისტემის მდგრადობა და იმედიანობა, ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხი. პროექტი ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის ექსპორტ/იმპორტისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებას. შესაძლებელი იქნება ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილში არსებული პოტენციური სიმძლავრეებით მომავალში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების მომარაგება და ექსპორტი თურქეთში.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- დასრულდა პროექტის წინასაამშენელო ეტაპის სამუშაოები, მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია, განხორციელდა ტენდერში მონაწილე კომპანიების წინადადებების შესწავლა და შეირჩა კომპანიები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სრული განვითარება.

3.5.2. რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტი (ADB) (პროგრამული კოდი 36 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

დასახული საბოლოო შედეგები:

- ფოთის თავისუფალი ინდუსტრიოლი ზონის ელექტროენერგით უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მიმდიანრეობდა ტენდერის პროცესი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სრული განვითარება.

3.7. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის განვითარება და ტურისტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე საქართველოს ტურისტული პოტენციალით დაინტერესება, ცნობადობის ამაღლება და შესაბამისად, ტურისტების რაოდენობის მატება;
- ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო ბაზარზე გაიზარდა საქართველოს ტურისტული პოტენციალით დაინტერესება, ამაღლდა ცნობადობა და გაიზარდა ტურისტების რაოდენობა;
- შეიქმნა ახალი ტურისტული პროდუქტები და მათ შესახებ მიმდინარეობდა დაინტერესებულ პირთა ინფორმირება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქართველი და უცხოელი ტურისტების რაოდენობა - 2013 წელს საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ შეადგინა 5,392,303 კაცი (წინა წლის შესაბამი მაჩვენებელი გაიზარდა 22%-ით);
- საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე საქართველოს ცნობადობა - საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე საქართველოს ცნობადობის ამაღლების მიზნით ჩატარდა 15 საერთაშორისო გამოფენა, 31 პრეს და გაცნობითი ტური.

3.9. ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება;
- ტექნიკურ და სამშენებლო სფეროში საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე უსაფრთხოების ხარისხის ამაღლების მიზნით მიღებულ იქნა ტექნიკური რეგლამენტები და განხორციელდა ობიექტების ინსპექტირება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აკრედიტირებული დამოუკიდებელი ინსპექტირების ორგანოების რაოდენობა - დამოუკიდებელი ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაციისთვის შემუშავდა და მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცდა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;
- სანებართვო დოკუმენტაციის ანალიზისა და ნებართვების გაცემის დრო - გამარტივდა დასრულებული შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები, შემცირდა მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიების ადმინისტრაციული წარმოების ვადები (სამსტადიანის შემთხვევაში: I სტადია - 30 დღე შემცირდა - არაუმეტეს 12 დღისა, ხოლო IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის - 30 დღე შემცირდა - არაუმეტეს 15 დღისა, II სტადია - 20 დღის ნაცვლად - არაუმეტეს 18 დღისა, III სტადია - 10 დღის ნაცვლად - არაუმეტეს 5 დღისა; ორსტადიანის შემთხვევაში: I სტადია - 15 დღე შემცირდა - არაუმეტეს 12 დღისა).

4. პრიორიტეტი – განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
32 02	ზოგადი განათლება	474,111.5	471,411.5	469,845.9	469,565.9	280.0
32 04	უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა	265,881.3	113,281.3	302,342.5	117,022.9	185,319.6
32 05	საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	74,003.5	73,803.5	62,658.9	62,657.6	1.3
32 03	პროფესიული განათლება	18,868.9	15,668.9	21,279.5	14,301.6	6,977.9
29 02	სამხედრო განათლების განვითარება	20,244.9	20,244.9	19,511.9	19,426.5	85.4
33 03	სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	19,922.9	13,422.9	20,130.9	13,351.5	6,779.4
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	14,819.5	12,119.5	13,993.9	12,375.0	1,618.9
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	5,509.0	5,509.0	5,497.6	5,497.6	
30 03	სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	6,071.1	6,071.1	6,324.7	6,107.4	217.3
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	914.4	914.4	790.8	788.4	2.4
27 03	პენიტენციური სისტემისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება	1,991.8	1,991.8	1,976.3	1,976.3	
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1,253.8	953.8	1,090.9	817.6	273.3

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
26 04	იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება	3,698.7	3,298.7	1,471.1	1,135.6	335.5
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	400.0	400.0	396.6	396.6	
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	353.2	353.2	261.2	261.2	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		**908,044.6**	**739,444.6**	**927,572.7**	**725,681.7**	**201,891.0**

4.1. ზოგადი განათლება (32 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური;
- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საჯარო სკოლები;
- ✓ სსიპ – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

დასახული საბოლოო შედეგები

- ყველა მოქალაქისათვის ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის კურსდამთავრებულთა განათლების დონის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- უზრუნველყოფილი ყველა საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა შესაბამისი დაფინანსებით და მოსწავლეთა ხარისხიანი ზოგადი განათლებით;
- მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგად სერტიფიცირებულ პედაგოგთა გაზრდილი რაოდენობა;
- ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებისა და ჩინური ენის სწავლების მიზნით ინგლისურენოვანი და ჩინური ენის მოხალისე მასწავლებლების ჩამოყვანის შედეგად ქართველი მოსწავლეების ცოდნის ამაღლებული დონე;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემო, უზრუნველყოფილი ფსიქოლოგიური

პრობლემებისა და ქცევითი დარღვევის მქონე პირების, მათი ოჯახის წევრებისა და მასწავლებლებისათვის მომსახურება;

- ჩატარებული ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადები. ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებულების მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ოლიმპიადებში;
- ინკლუზიური განათლების საკითხებში გადამზადდნენ სპეციალური პედაგოგები;
- სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი საქართველოს საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლე, ასევე კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილები.
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულებისათვის ხელმისაწვდომი ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება, ექსტერნატის ფორმით სასკოლო გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა;
- მოსწავლე ახალგაზრდობაში სამოქალაქო აქტიურობის განვითარების მიზნით ჩატარებული სხვადასხვა სათემო აქტივობები და რეგულარული კლუბური სამუშაოები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართული შესაბამისი ასაკის ბავშვების მთლიანი რაოდენობის 98%;
- ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის კურსდამთავრებულია 50 000 მოსწავლე;
- თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში მოსწავლეთა არანაკლებ 85% შეესაბამება ზოგადი განათლების დონის საგანმანათლებლო სტანდარტს.

4.1.1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (32 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები:

- ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დაფინანსებით და მოსწავლეები შეძლებენ მიიღონ ხარისხიანი ზოგადი განათლება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ყველა საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი დაფინანსებით და მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ხარისხიანი განათლება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსწავლეთათვის ხარისხიანი ზოგადი განათლების მისაწოდებლად საჭირო ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლების 100%.

4.1.2 . მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (32 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;

- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

დასახული შუალედური შედეგები:

- გაიზრდება სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა;
- გაუმჯობესდება ეთნიკური უმცირესობების ქართული ენის ცოდნის დონე, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას, ჩაერთონ როგორც საქართველოს საგანმანათლებლო, ისე სამუშაო სექტორში;
- ქართულის, როგორც უცხო ენის სტანდარტული აღწერილობის საფუძველზე შექმნილ სახელმძღვანელოებში ჩამოყალიბებული სწავლების მეთოდები ხელს შეუწყობს სახელმძღვანელოების შემდგენლებს, ასევე ქართულის, როგორც უცხო ენის მასწავლებლების მომზადებას;
- გაუმჯობესდება ქართველი მოსწავლეების ინგლისური ენის ცოდნის დონე;
- ზოგადევროპული მოდელის საფუძველზე შემუშავდება „ქართულის, როგორც უცხო ენის“ სტანდარტი, რომელიც გულისხმობს ქართული ენის ფლობის დონეებად (A1-A2; B1-B2) დაყოფას, ქართული ენის სწავლება განხორციელდება როგორც უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის, ისე სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვის.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლების გზით, საანგარიშო პერიოდში მოხდა მათთვის სიახლეების მიწოდება და მათი ცოდნის საერთაშორისო სტანდარტებისადმი და მოთხოვნებისადმი გათანაბრების მიზნით მათი მომზადება და გადამზადება (ტრენინგებში, სემინარებში, მასტერ კლასებში, სამუშაო შეხვედრების მოწყობა) საქართველოში ფუნქციონირებადი მასწავლებლის სახლების დახმარებით, ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მასწავლებელთა ნაწილი იმყოფებოდა უცხოეთში სტაჟირებაზე;
- შეიქმნა სერტიფიცირებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა და მასში ჩაერთვნენ სერტიფიცირებული პედაგოგები;
- ჩატარდა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა და გაიზარდა სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა;
- ჩატარდა დირექტორების შესარჩევი კონკურსი;
- ქართული ენის გაძლიერებული სწავლების პროცესის ხელშეწყობის მიზნით კონკურსის წესით შერჩეული პედაგოგები გაიგზავნენ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონების, არაქართულენოვან სკოლებში;
- სწავლის დონის ამაღლების მიზნით კონკურსის წესით შერჩეული სერტიფიცირებული პედაგოგები გაიგზავნენ მაღალმთინი რეგიონის საჯარო სკოლებში;
- ქართველი მოსწავლეების ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების მიზნით და ჩინური ენის სწავლების მიზნით მოხდა ინგლისურენოვანი და ჩინური ენის მოხალისე მასწავლებლების ჩამოყვანა საქართველოში და მათი გადანაწილება საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლებში, რომლებიც ქართველ მასწავლებლებთან ერთად ახორციელებდნენ სწავლებას და ამასთან, ადგილობრივი ინგლისური ენის

პედაგოგები გაიგზავნენ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მაღალმთიან რეგიონებში;

- ზოგადი ევროპული მოდელის საფუძველზე შეიქმნა ელექტრონული ვერსია ქართულის, როგორც უცხო ენის A2 დონის სახელმძღვანელო და სავარჯიშოების რვეული. ადაპტირებული საკითხავი წიგნის ელექტრონული ვერსია A1 და A2 დონეებისათვის. ტესტირებისათვის მოსამზადებელი სავარჯიშოების კრებული (ელექტრონული სახით) ენის ფლობის A1, A2, B1, B2 დონეებისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 25% -ით გაზრდილი სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა;
- 40% -ით გაზრდილი ტრენინგ გავლილი მასწავლებლების რაოდენობა;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეგიდით, საქართველოს მასშტაბით, თბილისის და ქუთაისის მასწავლებლის სახლების მეშვეობით 28 677 გადამზადებული პედაგოგი.

4.1.3. უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (32 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური

დასახული შუალედური შედეგები:

- სეზონური უნიფორმით და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით უზრუნველყოფილი მანდატურები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემცირებული დანაშაულების რაოდენობა, შემცირებული გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა;
- საზოგადოებაში მანდატურის სამსახურის გაზრდილი ნდობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- მანდატურებმა უზრუნველყვეს:
  - ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
  - ✓ პრევენციული ღონისძიებების ჩატარება - საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული და ნარკოტიკული დანაშაულების აღმოფხვრის მიზნით;
  - ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოზარდ- მოსწავლეთა შორის ურთიერთდაპირისპირების მინიმუმამდე შემცირება, მათ მიერ ცივი იარაღის ტარების და ალკოჰოლური საშუალებების გავრცელება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაუმჯობესებული დისციპლინა;
- საქმიანობის სფეროსთვის მიკუთვნებულ სხვადასხვა დისციპლინაში გადამზადებული მანდატურები;
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის მიერ უზრუნველყოფილი ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევის მქონე პირების, მათი ოჯახის წევრებისა და მასწავლებლებისათვის მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გასულ წელთან შედარებით საგანმანათლებლო დაწესებულებებში კონფლიქტების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემცირება 70%-ით;
- ნარკოტიკული დანაშაულის შემცირება 80%-ით;
- გაკვეთილებზე დასწრების გაზრდილი მაჩვენებელი;
- ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევის მქონე 365 მოსწავლისა და მათ ოჯახის წევრების ფსიქო-სოციალური მომსახურება.

4.1.4. განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება (32 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

დასახული შუალედური შედეგები

- გამოვლინდებიან და დაჯილდოვდებიან ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები და სკოლები;
- დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკისა და ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადებში;
- მოსწავლეების მოტივაციის დონის ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ჩატარებული ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადები. ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებულების მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ოლიმპიადებში;
- მედლებით დაჯილდოვებული წარჩინებული მოსწავლეები;
- მოსწავლეთა ზოგადი განათლების განვითარებაზე ორიენტირებული განსაკუთრებით საინტერესო და სასკოლო ბიბლიოთეკების განახლების დაფინანსებული პროექტები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგნობრივ ეროვნულ და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილე და ფულადი პრემიით დაჯილდოებული 103 მოსწავლე;
- სასწავლო წლის ბოლოს წარჩინებულ მოსწავლეებისათვის გაცემული 1 128 ოქროს და 1 130 ვერცხლის მედალი;
- წლის განმავლობაში დაფინანსებული სხვადასხვა ტიპის 51 საგანმანათლებლო პროექტი.

4.1.5. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება (32 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;

დასახული შუალედური შედეგები

- განხორციელდება ინკლუზიური განათლების პროცესის განვითარება და მონიტორინგი;
- ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შეფასდება 300-ზე მეტი ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროება, 200-ზე მეტ საჯარო სკოლას გაეწევა კონსულტაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობასთან დაკავშირებით;
- გაიზრდება განათლების მიწოდებისა და ბავშვებზე ზრუნვის ხარისხი სპეციალური პროფილის სკოლა-პანსიონებში და მოხდება ჩასარიცხი ყველა ბავშვის შეფასება, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში;
- გაუმჯობესდება საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესი, კერძოდ, მოეწყობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სპეციალიზებული ინვენტარით, ტექნიკით, განმავითარებელი თვალსაჩინოებებითა და სათამაშოებით აღჭურვილი რესურსოთახები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურმა გუნდმა უზრუნველყო საქართველოს მასშტაბით სკოლებისათვის კვალიფიციური დახმარების გაწევა ინკლუზიური განათლების განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით, უზრუნველყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შეფასება და საჯარო სკოლებს გაუწია კონსულტაციები ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობასთან დაკავშირებით;
- სპეციალური პროფილის სკოლა-პანსიონებში მოხდა ზრუნვა განათლების მიწოდებისა და ბავშვებზე ზრუნვის ხარისხის ამაღლებაზე. განხორციელდა აღნიშნულ დაწესებულებებში ჩასარიცხი ყველა ბავშვის შეფასება, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში;
- მულტიდისციპლინური გუნდის წევრები გადამზადნენ ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტების ჩატარებისა და ინტერპრეტაციის სწავლების საკითხებში;
- ინკლუზიური განათლების საკითხებში გადამზადდნენ სპეციალური პედაგოგები;
- სპეციალური საგანმანთლებლო დაწესებულებების ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა განვითარებაზე ზრუნვა;
- რიგ საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის მოეწყო სპეციალიზებული ინვენტარით, ტექნიკით, განმავითარებელი თვალსაჩინოებებითა და სათამაშოებით აღჭურვილი რესურსოთახები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შეფასებული 1 439 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე;

- ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალიზირებულ სკოლა-პანსიონებში ჩარიცხული 220 მოსწავლე;
- 20%-ით გაზრდილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილი საჯარო სკოლები;
- ექვს სამიზნე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში 51 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირისთვის გაწეული დახმარება.

4.1.6. მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (32 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

დასახული შუალედური შედეგები:

- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების და ასევე სამ და მეტ შვილიანი ოჯახების მოსწავლეების სათანადო განათლების მიღების შესაძლებლობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი საქართველოს საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლე, ასევე კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი ბენეფიციართა 100%.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- საანგარიშო პერიოდის დასაწყისში პროგრამის ბენეფიციარებად განსაზღვრული იყვნენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, ასევე სამ და მეტშვილიანი ოჯახების მოსწავლეების და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილები. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტების - განათლების ხარისხის, ღიაობისა და ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, გაფართოვდა პროგრამის ბენეფიციართა კატეგორია, კერძოდ დაემატა საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლე.

4.1.7. ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება (32 02 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- საერთაშორისო ბაზარზე ქართული სკოლების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ამავე ბაზარზე მათი ინტეგრირების ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- 670 მოსწავლემ გაიარა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი დაბა წყნეთის ბაზაზე მოწყობილ ინგლისური ენის საზაფხულო ბანაკში;
- 32 მოსწავლე გაემგზავრა გაერთიანებულ სამეფოში და გაიღრმავა ცოდნა ინგლისურ ენაში;
- შეირჩა 70 მონაწილე რომლებიც ჩაერთვენ ,,საერთაშორისო სამეცნიერო საზაფხულო სკოლა საქართველოში" ფარგლებში, მათ შორის შეირჩა 10 საუკეთესო მოსწავლე და გაემგზავრენ შვეიცარიაში, CERN-ის ცენტრალურ ლაბორატორიაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საზაფხულო სკოლების მონაწილეთა მინიმუმ 50%-ის საგრძნობი წინსვლა ინგლისური ენის ფლობის თვალსაზრისით;
- საერთაშორისო სამეცნიერო საზაფხულო სკოლების მონაწილეთა მინიმუმ 50%-ში გაზრდილი დაინტერესება და საგრძნობი წინსვლა საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების საგნებში.

4.1.8. ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (32 02 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- პროგრამაში ჩართული იქნება ოკუპირებულ რეგიონებში ფუნქციონირებადი სკოლების მასწავლებლები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საანგარიშო პერიოდისათვის გალისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონების ფუნქციონირებადი სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის კუთვნილი ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფილი 1 000-ზე მეტი ბენეფიციარი.

4.1.9. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა (32 02 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- ქვეპროგრამის ფარგლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ ყველა არასრულწლოვან მსჯავრდებულს შესაძლებლობა მიეცემა სპეციფიკურ გარემოში შეისწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლებისთვის აუცილებელი საგნები და მიიღოს შესაბამისი ატესტატი, რაც მიანიჭებს უფლებას, სწავლა განაგრძოს განათლების სხვა საფეხურზე;

- სასჯელაღსრულების პერიოდის დასრულების შემდგომ პატიმრების ნაწილს ექნება დასაქმების შესაძლებლობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- პროფესიული განათლების კურსების მეშვეობით სხვადასხვა პროფესიას დაუფლებული 100-მდე მსჯავრდებული;
- სპეციფიკურ გარემოში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლებისთვის აუცილებელი საგნების შესწავლის და სკოლის დამამთავრებელ საატესტატო გამოცდებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ ყველა არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის;
- ექსტერნატის ფორმით სასკოლო გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ ყველა არასრულწლოვან მსჯავრდებულისათვის;
- ერთიან ეროვნულ გამოცდებში დარეგისტრირებისა და მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ პატიმრებისათვის, რომლებმაც წარმატებით დასძლიეს საგამოცდო პროგრამა და ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართული 70 - მდე მსჯავრდებული;
- ექსტერნის ფორმით სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე 54 გამოცდაჩაბარებული მსჯავრდებული, 9 - საატესტატო გამოცდაჩაბარებული მსჯავრდებული და 3 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული მსჯავრდებული;
- პროფესიული განათლების კურსებში ჩართული 52 მსჯავრდებულით გაზრდილი რაოდენობა.

4.1.10.მოსწავლე ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის განვითარება (32 02 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- სამოქალაქო აქტივობებში ჩაერთვება სხვადასხვა სოციალური ფენის მოსწავლე და სტუდენტი, მოხდება მათი ინტეგრირება საზოგადოებრივ აქტივობებში.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საჯარო სკოლების მოსწავლეები, სტუდენტები და სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე, დევნილი, რეპატრირებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 10 756 მოზარდი საანგარიშო პერიოდში ჩაერთო რეგულარული გუნდურ მუშაობაში.
- სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გზით ხელი შეეწყო აღნიშნული ბენეფიციარების ინტეგრაციისა და სოციალიზაციას საზოგადოებაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სამოქალაქო აქტიურობებში წინა წლის მონაცემებთნ შედარებით 1 608 მოსწავლე-ახალგაზრდით გაზრდილი მონაწილეთა რაოდენობა.

4.1.11. ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (32 02 11)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- ზოგადი განათლების ხელშეწყობა;

მიღწეული შუალედური შედეგები

- მომზადებული ეროვნული სასწავლო გეგმის თანხმლები დოკუმენტები, საბაზო და საშუალო საფეხურების საგნობრივი გზამკვლევები ყველა საგნისათვის; გზამკვლევები: "მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა განათლება" და "ინკლუზიური განათლება - მოსწავლე, ოჯახი და სკოლა"; „აინშტაინის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების გზამკვლევი";
- მომზადებული საგნობრივი კლასიფიკატორები ყველა საფეხურისა და ყველა საგნისათვის;
- ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის პირველი ეტაპის დაწყებითი საფეხურის განხორციელება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ეროვნული სასწავლო გეგმის თანხმლები დოკუმენტების გაზრდილი რაოდენობა;
- ყველა საფეხურისა და ყველა საგნის გაზრდილი საგნობრივი კლასიფიკატორების რაოდენობა.

4.1.12. ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (32 02 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- ბენეფიციარებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და მათი ზოგადი განათლების ხელშეწყობა;

მიღწეული შუალედური შედეგები

- იმ მოსწავლეების სკოლაში ტრანსპორტირება (ავტობუსით, მიკროავტობუსით), რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში (სოფელი, დაბა), სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სოფლებს შორის მანძილი დიდია;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, საინგილოში არსებული ქართული სკოლებისთვის შესყიდული სახელმძღვანელოები (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა);
- ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების მიზნით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული სხვადასხვა დასახელების ტესტების კრებულებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი გალის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთის საჯარო სკოლების აბიტურიენტები;

- საქართველოს ყველა საჯარო სკოლებისთვის და სურვილისამებს კერძო სკოლებისთვის გადაცემული სასკოლო ჟურნალების გამარტივებული/ადაფირებული ვერსია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებლის გაუმჯობესება;
- საინგილოში არსებული ქართული სკოლების უზრუნველყოფა 5 542 ცალი სახელმძღვანელოთი.

4.2. უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა (32 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

დასახული შუალედური შედეგები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა განათლებისა და მომზადების მაღალი დონე;
- ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებისათვის შესაბამისი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება;
- ახალი სამეცნიერო პროდუქტების დანერგვა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- დაფინანსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები და უზრუნველყოფილი ხარისხიანი სასწავლო პროცესები;
- ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდები, საერთო სამაგისტრო გამოცდები, მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდები, 2012-2013 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდები და მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის შესაფასებელი ტესტირებები;
- ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებისათვისათვის ჩამოყალიბებული შესაბამისი სამუშაო გარემო;
- დაფინანსებული სხვადასხვა სამეცნიერო გრანტები და დანერგილი ახალი სამეცნიერო პროდუქტები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა განათლებისა და მომზადების მაღალი დონის ზრდა;

- ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებისათვის შესაბამისი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება;
- ახალი სამეცნიერო პროდუქტების დანერგვა.

4.2.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (32 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ ა(ა)იპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

დასახული შუალედური შედეგები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა ცოდნის დონის ამაღლება;
- უმაღლესი სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტეგრაცია უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებთან.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საანგარიშო პერიოდში დაფინანსებით უზრუნველყოფილი ექვსი სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის ფარგლებშიც უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უზრუნველყვეს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვა, რომელიც ორიენტირებული იყო სტუდენტთა ცოდნის დონის ამაღლებაზე;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებისათვისათვის ჩამოყალიბებული ხელსაყრელი სამუშაო გარემო;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტეგრაცია უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებთან;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უზრუნველყოფილი ახალი სამეცნიერო პროდუქტების დანერგვა და პერსონალის პროფესიულ განვითარება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მატერიალური ბაზის რეაბილიტაცია და აღჭურვა, აგრეთვე, თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 90%;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა გაზრდილი რაოდენობა, რომელთა მომზადების დონე შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

4.2.2. გამოცდების ორგანიზება (32 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – გამოცდების ეროვნული ცენტრი

დასახული შუალედური შედეგები:

- განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ მხოლოდ შესაბამისი ცოდნის მქონე პირები;
- გაიზრდება კვალიფიციურ მასწავლებელთა რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ჩატარებული ერთიანი ეროვნული და სამაგისტრო გამოცდები;
- მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგად გაზრდილი კვალიფიციური პედაგოგების რაოდენობა;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო და საატესტატო გამოცდები.
- კვალიფიციურ პედაგოგთა რაოდენობა.

4.2.3. მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 04 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- ✓ სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტალური ბიომედიცინის ცენტრი.

დასახული შუალედური შედეგები:

- კონკურენტული კვლევითი გარემო;
- კვლევების მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან;
- სამეცნიერო მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობა, სისტემაში მოყვანილი ინფორმაცია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ;
- ახალგაზრდა მეცნიერთა მატერიალური მხარდაჭერა და წახალისება, ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ჩატარებული საგრანტო კონკურსები ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დაფინანსებულ პროექტთა და მეცნიერთა რაოდენობა.
- უმაღლეს სკოლაში თანამედროვე სამეცნიერო ლაბორატორიების რაოდენობა.
- საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებული ქართული სამეცნიერო პროექტების რაოდენობა.
- წარმოებაში დანერგილი სამეცნიერო პროექტების რაოდენობა.

4.2.3.1. სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (32 04 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

დასახული შუალედური შედეგები:

- კონკურენტული კვლევითი გარემო;
- კვლევების მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან;
- მაღალტექნოლოგიური დარგების პროგრესი;
- უნივერსიტეტებში კვლევების კომერციალიზაციის ხარისხის ამღლება, სამეცნიერო მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობა, სისტემაში მოყვანილი ინფორმაცია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ;
- ახალგაზრდა მეცნიერთა მატერიალური მხარდაჭერა და წახალისება, ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის გაცემული სხვადასხვა სამეცნიერო გრანტები;
- საგრანტო კონკურსები ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესების გაღრმავება;
- სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზების მიზნით მოწყობილი სამეცნიერო-კვლევითი კონკურსები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დაფინანსებულ პროექტთა და მეცნიერთა რაოდენობის ზრდა 45%-ით;
- მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსში მონაწილე 160 მოსწავლე;
- საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებული ქართული სამეცნიერო პროექტების რაოდენობის ზრდა;
- სამეცნიერო საქმიანობის პოპულარობის და დაინტერესების ხარისხის ზრდა სკოლის მოსწავლეებში.

4.2.3.2. სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (32 04 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

დასახული შუალედური შედეგები:

- შეიქმნება კონკურენტული კვლევითი გარემო;
- გაიზრდება ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაცია.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საანგარიშო პერიოდისათვის ჩატარებული ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესის გაღრმავება და კონკურენტული კვლევითი გარემოს ჩამოყალიბება;

- ორგანიზებული და ჩატარებული სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, სიუბილეო დღეები და სხვა ღონისძიებები.

4.2.3.3. მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა (32 04 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

დასახული შუალედური შედეგები

- გამოქვეყნდება აკადემიკოსთა სამეცნიერო ნაშრომები, გამოიცემა სხვადასხვა სამეცნიერო ენციკლოპედია და ჟურნალი.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- შემუშავებული სხვადასხვა სამეცნიერო წინადადებები;
- აკადემიკოსთა გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, გამოცემული სხვადასხვა სამეცნიერო ენციკლოპედია და ჟურნალი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების გაზრდილი რაოდენობა.

4.2.3.4. სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (32 04 03 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

დასახული შუალედური შედეგები:

- დამოუკიდებელ რეცენზენტ - ექსპერტების, პრაქტიკოსების, მეცნიერების მიერ აგროსასურსათო სექტორში წარმოებული კვლევის შედეგები.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- აკადემიური საბჭოს მიერ შეაფასებული დამოუკიდებელ რეცენზენტ - ექსპერტების, პრაქტიკოსების, მეცნიერების მიერ აგროსასურსათო სექტორში წარმოებული კვლევის შედეგები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აგროსასურსათო სექტორში წარმოებულ კვლევათა რაოდენობის ზრდა.

4.2.4 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (32 04 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

- ✓ სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

დასახული შუალედური შედეგები:

- შესაბამისი გამოცდების წარჩინებით ჩამბარებელთათვის განათლების მიღებასთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთვის შემსუბუქება;
- სტუდენტების მოტივაციის ამაღლება;
- სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურის დონის ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად გაცემული სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტები;
- წარჩინებულ სტუდენტებზე გაცემული სტიპენდიები;
- საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ დოქტურანტურის სტუდენტებზე გაცემული გრანტები;
- პროგრამის ,,ცოდნის კარის" ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტურანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასურით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 25%-ით გაზრდილი სტიპენდიების მქონე სტუდენტთა რაოდენობა ;
- სრული ან ნაწილობრივი სასწავლო და სამაგისტრო გრანტით დაფინასებული სტუდენტების რაოდენობის ზრდა;
- პროგრამა ცოდნის კარის ფარგლებში დაფინანსებული 106 პირი.

4.3. საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (32 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიქმნება სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო;
- უზრუნველყოფილი საჯარო სკოლები კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ-კავშირით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით კომპიუტერებითა და SCHOOL BOX-ით აღჭურვილი საჯარო სკოლები;
- პორტატული კომპიუტერით წახალისებული ნიჭიერი და წარჩინებული მოსწავლეები;
- აშენებული რიგი საჯარო სკოლები და პროფესიული კოლეჯები, რეაბილიტირებული და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

4.3.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (32 05 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- საჯარო სკოლებში შეიქმნება თანამედროვე სასწავლო გარემო შესაბამისი კომპიუტერული აღჭურვისა და ინტერნეტ-კავშირის უზურნველყოფით, ასევე მოხდება პირველკლასელთა, ნიჭიერ და წარჩინებულ მოსწავლეთა პორტატული კომპიუტერით წახალისება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- მოხდა ნიჭიერ და წარჩინებული მოსწავლეების პორტატული კომპიუტერით წახალისება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კომპიუტერებით აღჭურვილი საჯარო სკოლების 100%;
- პერსონალური კომპიუტრებით („ნეთ-ბუქებით“) უზრუნველყოფილი საჯარო სკოლების პირველკლასელთა 100%.

4.3.2 საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (32 05 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- ყველა საგანმანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბდება სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- რიგი საჯარო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების დასრულებული მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- რიგ საჯარო სკოლებში განხორციელებული გამაგრებითი სამუშაოები;
- ზოგიერთ საგანმანათლებლო დაწესებულების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო დაწესებულებების სრულად რეაბილიტირებული, თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.

4.4.პროფესიული განათლება (32 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
- ✓ სსიპ - პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯები;

- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- შრომის ბაზარზე მაქსიმალურად ორიენტირებული პროფესიული პროგრამები;
- ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომლებმა და ქართული ენის სწავლებით დაინტერესებულმა სხვა პირებმა გაიარეს მომზადება/გადამზადება;
- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაზე შექმნილი IT აკადემია - მაღალი ხარისხის პროფესიული კურსებით ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებებში და სასწავლო პროგრამებში;
- საჯარო სკოლებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხელმისაწვდომი თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. დანერგილი ახალი ელექტრონული მართვის სისტემები და სხვადასხვა საინფორმაციო მონაცემთა ბაზები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში მომზადებულ სპეციალისტთა რაოდენობა;
- დანერგილი სხვადასხვა თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ახალი ელექტრონული მართვის სისტემები და ფორმირებული საინფორმაციო მონაცემთა ბაზები.

4.4.1. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება (32 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯები.

დასახული შუალედური შედეგები

- პროფესიული განათლების მსურველი მოქალაქეების უზრუნველყოფა მაღალი ხარისხის განათლებით და სათანადო დაფინანსებით.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საანგარიშო პერიოდისათვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზარზე მაქსიმალურად ორიენტირებული პროფესიული პროგრამები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებული გარემო;
- 50 განახლებული და გაუმჯობესებული პროფესიული სტანდარტის პროექტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წინა წელთან შედარებით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 60%-ით გაზრდილ სტუდენტთა რაოდენობა;
- პროფესიულ საგანმანათლბლო დაწესებულებებში 900-ზე მეტი კვალიფიციური მასწავლებელი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი;
- რეაბილიტირებული და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა.

4.4.2.ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (32 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

დასახული შუალედური შედეგები

- ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა მიერ ქართული ენის ცოდნის ამაღლების მიზნით სასწავლო პროგრამების მომზადება/განახლება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- მომზადდა ორი ახალი სასწავლო პროგრამა და გადამუშავდა „ქართული ენის საფუძვლების“ პროგრამა.
- დმანისისა და ნინოწმინდის რეგიონალურ ცენტრებში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომზადებული და განახლებული სასწავლო პროგრამების რაოდენობის ზრდა.

4.4.3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (32 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

დასახული შუალედური შედეგები

- გაიზრდება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა რაოდენობა ინფრომაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში;
- საქართველოს საჯარო სკოლებში შეიქმნება თანამედროვე სასწავლო გარემო შესაბამისი ინტერნეტ-კავშირის უზურნველყოფით.

მიღწეული შუალედური შედეგები

- დასრულდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურებისა და სტრუქტურების ინტერნეტიზაციის და ერთიან შიდა ქსელში ჩართვის პროცესი;
- საჯარო სკოლებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხელმისაწვდომი გახდა თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო

ტექნოლოგიები. დაინერგა ახალი ელქტრონული მართვის სისტემები და შეიქმნა სხვადასხვა საინფორმაციო მონაცემთა ბაზები;

- საანგარიშო პერიოდისათვის IT აკადემიამ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიიღო სტუდენტები, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო სექტორზე;
- 2012-2013 სასწავლო წლის საატესტატო გამოცდების ,,CAT"-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ჩატარების მიზნით სისტემის ტექნიკური უზრუნველყოფა მთელი ქვეყნის მაშტაბით;
- საქართველოს საჯარო სკოლებში შემოღებული ახალი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლის/სწავლების მეთოდები და თანამედროვე სასწავლო გარემო.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დანერგილი სხვადასხვა თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ახალი ელქტრონული მართვის სისტემები და ფორმირებული საინფორმაციო მონაცემთა ბაზები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში გადამზადებული 387 ბენეფიციარი;

4.5. სამხედრო განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 29 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- ✓ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის კადემია;

დასახული საბოლოო შედეგი:

- კადეტების მომზადება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და გამოსაშვები ჯგუფების მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და ახალი სასწავლო ჯგუფების შევსება 120 კადეტით.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- მოხდა გამოსაშვები ჯგუფების მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 86 კადეტი; აკადემიაში ჩაირიცხა75 კადეტი; ლიცეუმში ჩაირიცხა 120 კადეტი; კვალიფიციური ოფიცერთა რაოდენობა; პერსონალის მართვის სისტემისა და კონცეპტუალური ბაზის ჩამოყალიბება/განვითარება.

4.6 სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (33 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ სახელოვნებო - საგანმანათლებლო დაწესებულებები.

დასახული საბოლოო შედეგი:

- საქართველოს სახელოვნებო საგანმანათლებლო სკოლის მიღწევების აღიარება ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მოპოვებული წარმატებებით;
- საქართველოს დიპლომებისა და ატესტატების მობილობა და ვალიდობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- აღიარებული იქნა საქართველოს სახელოვნებო საგანმანათლებლო სკოლის მიღწევები ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში, მიღწეული იქნა წარმატებები ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში;
- მიღწეული იქნა საერთაშორისო სტანდარტებთან საქართველოს დიპლომებისა და ატესტატების მობილობა და ვალიდობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- სახელოვნებო განათლების სფეროში განხორციელდა 573 კონცერტი, 15 - სტუდენტური სპექტაკლი, 44 - გამოფენა, 108 - მასტერკლასი და ვორქშოპი, 7 - სამეცნიერო კონფერენცია, 16 - ფილმის ჩვენება;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებში სტუდენტებისა და მოსწავლეების მოპოვებული წარმატებები: გრანპრი მოიპოვა (5), I პრემია -(20), II პრემია -(15), III პრემია -(13), IV პრემია -(2);
- სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით სამაგისტრო პროგრამებს დაეუფლა 43 სტუდენტი, ხელი შეეწყო 10 სტუდენტის სწავლის დაფინანსებას.

4.7. განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსცენტრები;
- ✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატისა და განათლების რესურსცენტრების მიერ აღნიშნულ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- საქართველოს ყველა მოქალაქისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების ჰარმონიზაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან;
- საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად განათლების ხარისხის ამაღლებისა და მისი მუდმივი გაუმჯობესების, აგრეთვე ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლება;

- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია.

4.9. სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ საქართველოს შსს აკადემია

დასახული საბოლოო შედეგები:

- სამართალდამცავი სტრუქტურების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება;
- შსს თანამშრომელთა მიერ ეთიკის კოდექსის პრინციპების სრულყოფილად დაცვა;
- სამართალდამცავთა მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ზრდა;
- სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით აკადემიის მაღალი დონის მატერიალურ - ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაიზარდა სერთიფიცირებული კადრების რაოდენობა;
- სამართალდამცავ სტრუქტურებში გაუმჯობესდა მენეჯმენტი; ჩამოყალიბდა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია (გაიზარდა საზოგადოების ნდობა).

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კადრების პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება;
- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

4.10. მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

დასახული საბოლოო შედეგები:

- მოსამართლედ გასამწესებელი პირების – იუსტიციის მსმენელების ორი ჯგუფის სწავლების უზრუნველყოფა და წარმატებული კურსდამთავრებულების დანიშვნა მოსამართლის თანამდებობაზე;
- ჩატარდება მოსამართლეების, მოსამართლის თანაშემწეების და სასამართლოს სხვა თანამშრომლების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების არანაკლებ 60 აქტივობა (სემინარი, ტრეინინგი, ვორკშოპი და სხვა).

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოსამართლედ გასამწესებელი პირების – იუსტიციის მსმენელების ორმა ჯგუფმა დაასრულა სწავლება და წარმატებული კურსდამთავრებულები დაინიშნენ მოსამართლის თანამდებობაზე;
- ჩატარდა მოსამართლეების, მოსამართლის თანაშემწეების და სასამართლოს სხვა თანამშრომლების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების 57 აქტივობა (სემინარი, ტრეინინგი და სხვა სასწავლო ღონისძიება).

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული და დასრულებული სასწავლო კურსების რაოდენობა;
- ახლადდანიშნული მოსამართლეების რაოდენობა;
- ჩატარებული სასწავლო აქტივობების რაოდენობა;
- მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა წარმატებით ჩააბარა - 45 კანდიდატმა.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- მოსამართლეთა და სასამართლოს მოსამსახურეთა გადამზადების აქტივობები იგეგმება მოსამართლეთა და სასამართლოს მოსამსახურეთა საჭიროებიდან გამომდინარე. შესაბამისად მიმდინარე წელს განხორციელდა 57 აქტივობა (სემინარი, ტრეინინგი და სხვა სასწავლო ღონისძიება).

4.11. პენიტენციალური სისტემისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება (27 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- ეფექტური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა კვალიფიციური კადრების მიწოდების გზით და სისტემაში მომუშავე პირების სამუშაო უნარის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მომზადდა და გამოიცა 3 სახელმძღვანელო;
- სისტემაში დასაქმებულმა და სისტემასთნ კავშირში მყოფმა 1228 პირმა გაიარა მომზადება და გაიუმჯობესა სამუშაო უნარები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2013 წელი - 5826 კაც/ტრენინგ/დღე;
- საგამოცდო ბარიერი დაძლეულ იქნა ტრენინგგავლილ თანამშრომელთა 90%-ის მიერ.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- 2013 წლის მაისს სასჯელაღსრულების სისტემაში დაწყებული ატესტაციებისა და ტესტირების შედეგების დადგომამდე, რომელიც გაგრძელდა წლის ბოლომდე, გაუმართლებლად მიიჩნა დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულებიდან მსმენელთა გამოყოფა სასწავლო პროცესში მონაწილეობისათვის, რამაც განაპირობა დასახული ტრენინგების სრულად ვერ განხორციელება.

4.12. იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- ჩატარებული ტრენინგების შედეგად მოხდება თანამშრომელთა პროფესიული ცოდნის ამაღლება, რაც განაპირობებს შესრულებული საქმიანობის ეფექტურობის ზრდას, მათ შორის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- დაგეგმილი ღონისძიებების შესაბამისი დატვირთვით ამოქმედდა სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალი, ასევე წარმატებით განხორციელდა ცენტრის ბაზაზე დაგეგმილი ყველა პროექტი, ტრენინგი, სემინარი და ტესტირება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ამაღლდა თანამშრომელთა კვალიფიკაცია, საგამოცდო ბარიერი დაძლეულ იქნა დატრენინგებულ თანამშრომელთა 80%-ის მიერ.

4.13 საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (23 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის საკადრო რესურსის გაძლიერება და მათი მუშაობის ეფექტიანობის ზრდა;
- სახელმწიფოს საფინანსო, საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის სწორად იმპლიმენტირება საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციებში;
- რეგიონალურ ჭრილში საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება.

მიღწეეული საბოლოო შედეგები:

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული მაღალკვალიფიციური კადრები;
- ფინანსთა სამინისტროში არსებული მიდგომებისა და მიმდინარე საკანონდებლო ცვლილებების სწორად იმპლიმენტირების მიზნით, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენელთა დატრეინინგება;
- კერძო სექტორის წარმომადგენელთა მომზადება/გადამზადება - საგადასახადო კანონდებლობისა და აუდიტის მიმართულებებით;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ინსტიტუტთან თანამშრომლობით აკადემიაში გადამზადებული ქართველი და უცხოელი მოხელეები;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა ფინანსთა სამინისტროს სისტემის 375-მა თანამშრომელმა;
- სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან გადამზადდა 748 დაინტერესებული პირი;
- ბიზნეს სექტორისათვის დაგეგმილ კურსებში სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებიდან განხორციელდა 196 პირის ტრეინინგი;

- საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ინსტიტუტთან თანამშრომლობით აკადემიაში სწავლება 55-მა წარმომადგენელმა გაიარა;
- აკადემიაში სწავლება გაიარა ყირგიზეთის ფინანსთა სამინისტროს 10-მა თანამშრომელმა.
- აკადემიის მიერ ჩატარებული კონკურსების ფარგლებში მოხდა 1 549 პირის შესაძლებლობების შეფასება.
- ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განმახორციელებელ პირთა შესარჩევი ტესტირება ჩატარდა 1 250 პირისათვის.

4.15 მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო კურსების მომზადება და ჩატარება;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ამაღლდა საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების კვალიფიკაცია;
- დამყარდა თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან;
- გაფორმდა ურთიერთგაგების მემომარანდუმები ბრაზილიის საგარეო საქმეთა სამინისტროს „რიო-ბრანკოს“, არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ეროვნულ დიპლომატიურ, ურუგვაის „არტიგასის“ დიპლომატიურ ინსტიტუტებთან, ჩილეს „ანდრეს ბელოს“ სახელობის დიპლომატიურ და კორეის ეროვნულ დიპლომატიურ აკადემიებთან;
- ამაღლდა უცხოელი დიპლომატების ინფორმაციულობის დონე საქართველოს შესახებ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა საგარეო საქმეთა სამინისტროს 100-ზე მეტმა თანამშრომელმა;
- განხორციელდა თანამშრომლობა 5 უცხოურ დიპლომატიურ სასწავლო დაწესებულებასთან.

5. პრიორიტეტი – მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	140,700.0	51,000.0	124,149.6	49,039.0	75,110.6
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	22,396.9	22,396.9	21,122.5	21,122.5	
24 01	ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო ქონების მართვა	48,519.3	44,159.3	46,223.9	42,694.2	3,529.7
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	8,530.0	8,530.0	8,324.7	8,120.9	203.8
40 02	სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა	6,521.7	6,506.7	6,273.1	6,251.7	21.4
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	2,950.0	2,850.0	3,007.5	2,882.7	124.8
49 02	ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	1,217.5	1,217.5	299.2	299.2	
49 01	საინვესტიციო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა	1,182.5	1,182.5	853.8	853.8	
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	776.2	776.2	992.9	992.9	
43 00	სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	3,180.0	680.0	4,094.0	679.9	3,414.1
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	1,601.6	601.6	1,605.5	671.8	933.7
47 04	შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა	410.4	410.4	450.1	450.1	
47 05	სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა	311.4	311.4	310.7	310.7	
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	1,452.0	1,452.0	1,745.0	1,745.0	

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
24 04	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	410.0	150.0	513.6	150.0	363.6
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		**240,159.5**	**142,224.5**	**219,966.2**	**136,264.5**	**83,701.7**

5.1. შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (23 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – შემოსავლების სამსახური

დასახული საბოლოო შედეგი:

- ძლიერი, ეფექტიანი და გადამხდელებზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- გამარტივებული საბაჟო - საგადასახადო პროცედურები და მოქნილი საგადასახადო სისტემა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა;
- საბაჟო-საგადასახადო პროცედურების გამარტივება.
- ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება.

5.2 სახელმწიფო ფინანსების მართვა (23 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

დასახული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ეტაპობრივი შემცირება და დაბალი მაჩვენებლების შენარჩუნება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, რაც საჭიროების შემთხვევაში დეფიციტის საშინაო წყაროებით დაფინანსების საშუალება გახდება;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების მართვის გაუმჯობესება;
- საბიუჯეტო პროცესისა და სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის გამჭირვალობის ზრდა;

- სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება;
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულებების გაფორმების შედეგად, საგარეო ვაჭრობაში ჩართული მეწარმეების მიერ დამატებითი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- 2013 წელს სახელმწიფო ვალმა ნომინალური მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებელთან მიმართებაში დაახლოებით 34.5%, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალმა ნომინალური მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებელთან მიმართებაში დაახლოებით 27.0% შეადგინა.
- ჩატარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების 31 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებულ იქნა 383.0 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია;
- დაიხვეწა პროგრამული ბიუჯეტის ფორმატი და ფინანსების მართვის ტექნიკური შესაძლებლობები;
- განხორციელდა ხაზინის ელექტრონული სისტემის სრულყოფა და ფუნქციონალის გაფართოება;
- მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2013 წლის პირველი კვარტლის, 6 და 9 თვეების შესრულების ანგარიშები. ასევე, მომზადდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირების და ზოგიერთი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია და კანონით დადგენილ ვადაში წარედგია საქართველოს პარლამენტს;
- მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნდა და განხორციელდა PEFA-ს მეთოდოლოგიის მიხედვით მომზადებული 2012 წლის საჯარო ფინანსების მართვის თვითშეფასების ანგარიშის ვალიდაცია;
- ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება სერბეთთან, სან მარინოსთან, ქუვეითთან, სლოვენიასა და ხორვატიასთან, ასევე ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების ცვლილებების ოქმი ავსტრიასთან, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა შეთანხმების ტექსტები პორტუგალიასთან;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების სტატისტიკური მაჩვენებლები: 2013 წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ შეადგინა - 3.1%; დეფიციტმა მშპ-თან მიმართებაში 2.8%, ხოლო სახელმწიფო ვალმა 34.5%, მათ შორის საგარეო ვალმა 27.0%
- საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების ,,Standart & Poors“, ,,Fitch”, ,,Moodys” შეფასებები, (საქართველოს სამივე სარეიტინგო კომპანიასთან „BB- სტაბილური” რეიტინგი აქვს);
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, საქართველოს პარლამენტისთვის 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენა და დამტკიცება, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის, 6 თვისა და 9 თვის ანგარიშების წარდგენა;
- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების 31 აუქციონის ჩატარება;
- შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება 5 სახელმწიფოსთან, შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების ცვლილებების ოქმი ერთ ქვეყანასთან,

საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული შეთანხმების ტექსტი ერთ სახელმწიფოსთან;

5.3.1. ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგები:

- საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება;
- საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდა და ბაზრების დივერსიფიკაცია;
- სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურის გაუმჯობესება, სავაჭრო რეჟიმებისა და ურთიერთობების განვითარება;
- ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება და განვითარება პარტნიორ ქვეყნებთან;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მწვანე ეკონომიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- საქართველოს სატრანსპორტო დარგის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური შესაბამისობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტებთან;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა;
- საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზარზე ადგილობრივი გადამზიდავი კომპანიების დაშვების გამარტივება;
- საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის ტრანსევროპულ სატრანსპორტო დერეფნის ძირითად ღერძებთან მიერთება (მათ შორის, საზღვაო-საბორნე მაგისტრალებით);
- საჰაერო ტრანსპორტის თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა ტურისტული ნაკადების გაზრდისა და საქართველოს ავიაბაზარზე საერთაშორისო ავიაკომპანიების მოზიდვის მიზნით;
- სამშენებლო სექტორის ლიბერალიზაცია და შემდგომი განვითარება.
- საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენა და მისი პოზიციონირება;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადის ზრდის ხელშეწყობა;
- პრიორიტეტული სექტორების განვითარება და აღნიშნულ სექტორებში განხორციელებული ინვესტიციების ზრდის ხელშეწყობა;
- ინვესტორებზე შემდგომი ზრუნვის (Aftercare) მომსახურების განხორციელება;
- მწვანე ეკონომიკაზე, გარდამავალ პერიოდში, ეფექტური მონიტორინგის სისტემის დანერგვა და წარმოებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ინსტრუმენტების გაუმჯობესება და გარემოსდაცვითი გავლენის სისტემის გაძლიერება;

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მწვანე ეკონომიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება ქვეყანაში საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობის პროცესის ხელშეწყობის გზით;
- ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, მაუწყებლობის და საფოსტო კავშირის სფეროში მეწარმეობის და კონკურენციის განვითარების, მომსახურების არსებული სახეობების სრულყოფის და ახალი სახეობების დანერგვის ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომზადდა წლიური და კვარტალური ეკონომიკური ანალიზები და სექტორული მიმოხილვები;
- დასრულდა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებაზე და განხორციელდა მისი პარაფირება;
- საგარეო ვაჭრობაში შემცირება სავაჭრო დეფიციტი;
- გაიმართვა ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიების მორიგი სხდომები 4 ქვეყანასთან;
- ეკო-ტექსტილის გამოფენის ფარგლებში გამართული შეხვედრების შედეგად მომზადდა საბოლოო ანგარიში „ეკო-ტექსტილის წარმოების პოტენციალი საქართველოში“;
- ქვეყნის მასშტაბით მოძიებულ იქნა ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების (ბაზალტისა და პერლიტის) წარმოებით დაკავებული მეწარმეები, მსხვილი კომპანიები და მომზადდა მათი ერთიანი მონაცემთა ბაზა;
- ამაღლდა სატრანსპორტო დარგის კონკურენტუნარიანობა, საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საერთაშორისო სტანდარტებთან, გამარტივება ადგილობრივი გადამზიდავი კომპანიების საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზარზე დაშვება;
- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის ტრანსევროპულ სატრანსპორტო დერეფნის ძირითად ღერძებთან მიერთების საკითხებთან დაკავშირებულ პროექტებზე (მათ შორის, საზღვაო-საბორნე მაგისტრალებით);
- GIZ-ის მხარდაჭერით და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით გაიმართა „საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის” პროექტის საჯარო განხილვა;
- დამუშავდა შეზღუდული შესაძლებლობის პირთა ნორმალები, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ევროპულ ნორმებთან და გაეროს შეზღუდულუნარიან პირთა უფლებების კონვენციასთან;
- ქართულ ენაზე ითარგმნა ევროკოდი ,,სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება“, ევროკოდ ,,კონსტრუქციებზე ზემოქმედებები“ მომზადდა ტერმინთა განმარტება;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცება ტექნიკური რეგლამენტები;
- საინვესტიციო კანონმდებლობის დახვეწის მიზნით შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი;

- პოტენციურ ინვესტორებს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოში არსებული საინვესტიციო კლიმატის შესახებ, ხოლო დაინტერესებულ ინვესტორებს - კონკრეტული საინვესტიციო შეთავაზებები და დამუშავებული პროექტები;
- მოიმატა კმაყოფილი ინვესტორების რიცხვმა და შესაბამისად გაიზარდა რეინვესტიციის მაჩვენებლი;
- მიმდინარეობდა ქვეყანაში ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის სფეროების შემდგომი ინოვაციური განვითარების პროცესის სტაბილურობის უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების რეიტინგებში საქართველოს მიერ დაკავებული პოზიციები - 2013 წელს გაუმჯობესდა საქართველოს შეფასება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების რეიტინგებში, კერძოდ წინა წელთან შედარებით Doing Business-ში 1 პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა და დაიკავა მე-8 პოზიცია, Economic Freedom of the World (Fraser Institute) რეიტინგში 16 პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა და დაიკავა 25-ე ადგილი, Fitch-ის და Standard&Poor's-ის რეიტინგებში საქართველომ კვლავ შეინარცუნა BB- შეფასება, The Global Competitiveness Report-ის მიხედვით 5 პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა და დაიკავა 72-ე ადგილი, ხოლო Index of Economic Freedom-ში საქართველოს სარეიტინგო ქულა გაუმჯობესდა 0,4 ერთეულით;
- საქართველოს სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელი - საანგარიშო პერიოდში სავაჭრო ბალანსი გაუმჯობესდა 9.1%-ით, საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 6%-ით და შეადგინა 10 784 მლნ. აშშ დოლარი, ექსპორტი გაიზარდა 22%-ით და შეადგინა 2 909 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი გაიზარდა 0.4%-ით და შეადგინა 7874 მლნ. აშშ დოლარი;
- გაცემული მშენებლობის ნებართვების რაოდენობა - 2013 წელს საქართველოს მასშტაბით გაიცა სულ 9232 მშენებლობის ნებართვა (მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობაზე - 80 ნებართვა), ხოლო მშენებლობა დასრულდა 3163 ობიექტზე.

5.3.2. სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების ხარჯების შემცირება და მოგების ზრდა;
- საწარმოების ოპტიმიზაცია და მათი რენტაბელურობის ამაღლება;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების პროცესის გამარტივება და მათი განკერძოების შედეგად კერძო ინვესტიციების მოცულობის გაზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- განხორციელდა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების ხარჯების შემცირება და მოგების ზრდა, საწარმოების ოპტიმიზაცია და მათი რენტაბელობის ამაღლება;
- გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა;
- განხორციელდა სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია;
- სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღული თანხები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სახელმწიფოს მიერ მიღებული დივიდენდების მოცულობა - სახელმწიფოს მიერ მიღებული დივიდენდების მოცულობამ შეადგინა 799 394 ლარი;
- პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა - საანგარიშო პერიოდში სამინისტროს მიერ პრივატიზებული იქნა სულ 2347ობიექტი, საიდანაც ელექტრონული აუქციონის ფორმით - 247 ობიექტი, ხოლო პირდაპირი მიყიდვის ფორმით - 2100 ობიექტი (მათ შორის სამხედრო და იძულებით გადაადგილებულ პირებზე (1243 დევნილ ოჯახს) სიმბოლურ ფასად), აგრეთვე განხორციელდა 3 საწარმოს სახელმწიფო 100%-იანი წილის პრივატიზება.

5.4 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (23 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

დასახული საბოლოო შედეგები:

- საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემაში მხოლოდ ლიცენზირებული და სათანადო მომსახურებით უზრუნველყოფილი პროგრამული პროდუქტების გამოყენება;
- სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების ავტომატიზებული ბიზნეს პროცესების უწყვეტობის, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა;
- საინფორმაციო სისტემებში ხარვეზების მინიმალური რაოდენობა;
- სისტემების ავარიული გაჩერებების პრევენციის უზრუნველყოფა, ხოლო ავარიული გაჩერების შემთხვევაში სისტემების ოპერატიული და სრულყოფილი აღდგენა;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების ყველა მომხმარებლის იდენტიფიცირება, მათი სხვადასხვა რესურსზე წვდომის უფლებების მკაცრი განსაზღვრა, კონტროლი და მონიტორინგი; მომხმარებლების სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისის გამოყენების ოპტიმიზაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემაში გამოყენებულ იქნა მხოლოდ ლიცენზირებული და სათანადო მომსახურებით უზრუნველყოფილი პროგრამული პროდუქტები;
- განხორციელდა სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების ავტომატიზებული ბიზნეს პროცესების უწყვეტობის, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა;
- მინიმალურამდე იქნა დაყვანილი სამსახურის მიერ შექმნილ საინფორმაციო სისტემებში და ელექტრონულ სერვისებში ხარვეზების რაოდენობა;

- განხორციელდა სისტემების ავარიული გაჩერებების შემთხვევაში სისტემების ოპერატიული და სრულყოფილი აღდგენა.
- „ცხელი ხაზის - 1551“ სერვისით ისარგებლა 19.8 ათასმა პირმა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- PFMS-ის სამოქმედო გეგმის ნაწილის შესრულება;
- რეალიზებული ავტომატიზებული სისტემების ფუნქციონალური სპეციფიკაციების შესაბამისობა ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნებთან;
- ფინანსთა სამინისტროში მოხმარებადი Microsoft-ის მიერ წარმოებული პროგრამული პროდუქტების უზრუნველყოფა კორპორატიული ლიცენზიებით („Microsoft Enterprise Agreement”);
- საინფორმაციო სისტემებში ხარვეზებისა და ავარიული გაჩერებების აღმოფხვრის მართვის პრაქტიკის დანერგვა.

5.5. სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

დასახული საბოლოო შედეგები:

- სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება და მეთოდოლოგიური სტანდარტების შემუშავება;
- მატერიალურ ტექნიკური და ინფორმაციულ–ტექნოლოგიური პირობების გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ჩატარდა სტატისტიკური კვლევები და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები;
- შემუშავდა მეთოდოლოგიური სტანდარტები;
- განვითარდა საინფორმაციო ტექნოლოგიური და პროგრამული სისტემები, განახლდა ოფისები და მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელდა სხვადასხვა პერიოდულობის 100-ზე მეტი კვლევა.
- ექსპერტული შეფასება განახორციელა საერთაშორისო ორგანიზაციამ.

5.6. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 49 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართვლოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების განვითარება და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ინდური კონლგლომერატი „TATA Group“-ი, ფონდი IFC, ნორვეგიული კომპანიები „Norsk Mineral“ და „Clean Energy“ თანამონაწილის სახით ჩაერთნენ მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიმდინარე საინვესტიციო პროექტში, რომლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 700 მლნ აშშ დოლარს;
- სამხრეთ კორეულმა კომპანია „WONIL Corporation“-მა გადაწყვიტა ქ. თბილისში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ყოფილი მიხაილოვის საავადმყოფოს ტერიტორიის შეძენა ხუთ-ვარსკვლავიანი სასტუმროსა და მაღალი კლასის კომერციული ცენტრის აშენების მიზნით, რომლის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება შეადგენს 60 მილიონ აშშ დოლარს.
- თურქულ-სამხრეთ აფრიკულმა კომპანიამ „Christiaan Erasmus"-მა ქართულ სამკერვალოებს შეუკვეთა თურქეთსა და სამხრეთ აფრიკაში გასატანი საექსპორტო ტანსაცმლის საცდელი პარტიები (ძირითადად მამაკაცის კოსტუმები);
- ესტონეთის ერთ-ერთმა მსხვილმა საინვესტიციო კომპანიამ „ტრიგონ კაპიტალ“-მა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში 30-40 MW სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლოდაში დაახლოებით 40 მილიონ აშშ დოლარის ინვესტიციის განახორციელების თაობაზე.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა - სააგენტოს უშუალო მონაწილეობით განხორციელდა 95 მილიონი ლარის ინვესტირების ხელშეწყობა და ეს ციფრი მკვეთრად გაიზრდება პროექტის განხორციელების შემდგომ ეტაპებზე;
- ქვეყნის სხვადასხვა სექტორში შექმნილი დამატებითი სამუშაო ადგილები - ახალ საინვესტიციო პროექტებში უკვე დასაქმებულია დაახლოებით 400 ადამიანი, ხოლო დასაქმებულთა რიცხვი მკვეთრად გაიზრდება პროექტების განხორციელების შემდგომ ეტაპებზე.

5.7. სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

დასახული საბოლოო შედეგები:

- კვლევების შედეგად მიღებულ იქნება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების მიხედვით შეფასების მაღალი ხარისხის მაჩვენებლები, რომელთა ბაზაზეც გაიანგარიშება ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- განხორციელდა: მწარმოებელთა და სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საგარეო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტის) მონაცემთა გააანგარიშება, ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის აქტუალიზება, ბიზნეს სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება, დემოგრაფიული ვითარების ამსახველი მონაცემების გაანგარიშება და გავრცელება, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება; სხვადასხვა სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის გაანგარიშება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ერთობლივი საკონტროლო ღონისძიებების რაოდენობა ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად;
- ექსპერტული შეფასება განახორციელეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

5.9. სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციისათვის არსებული ბარიერების შემცირება და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- კვების, ენერგეტიკის, ფარმაციისა და ფიზ-ქიმიური გაზომვების სფეროების აღჭურვა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მიკვლევადი ეტალონური ლაბორატორიებით;
- საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური (ევროპული) სტანდარტების რაოდენობის გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების საქართველოს სტანდარტად რეგისტრაცია;
- მეტროლოგიის ინსტიტუტის საქმიანობამ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება;
- მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ სამ სფეროში (მასა, ტემპერატურა, ელექტროობა) გაცემული დაკალიბრებისა და გაზომვის სერტიფიკატები აღიარებულია საერთაშორისო დონეზე;
- ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისთვის ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით გაუმჯობესდა მოსამხურების ხარისხი, გაიზარდა სერვისების შესაძლებლობები და მეტროლოგიური მომსახურების ხელმისაწდვომობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტები - 2013 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 242 სტანდარტი;
- საქართველოს მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში ხარისხის ინფრასტრუქტურის საერთაშორისო აღიარება - საქართველოს მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში ხარისხის ინფრასტრუქტურის საერთაშორისო აღიარების მისაღწევად მიმდინარეობდა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება TWINNING-ის პროექტის ფარგლებში, კერძოდ: ჩატარდა მთლიანი შიდა აუდიტი და განსაზღვრული სამი ლაბორატორიის წინასწარი შეფასება მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაცის (COOMET) ექსპერტების მიერ.

5.10. შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა (პროგრამული კოდი 47 04)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

დასახული საბოლოო შედეგები:

- სიღარიბის დონის, მოსახლეობის ცხოვრების დონის (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები), მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის (დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები) მაჩვენებლების გაანგარიშება, ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის და სამომხმარებლო კალათის დადგენისათვის საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მიღებული და გავრცელებული იქნა შინამეურნეობების შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემები. ამასთან, კვლევიდან მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის მისაღებად. აგრეთვე, განხორციელდა სამომხმარებლო კალათის დადგენისთვის საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპერტული შეფასება განახორციელეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

5.11. სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი კვლევის პროგრამა (პროგრამული კოდი 47 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

დასახული საბოლოო შედეგები:

- მიღებული იქნება როგორც მიმდინარე (წინასწარი), ასევე საბოლოო მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მიღებული იქნა როგორც მიმდინარე (წინასწარი), ასევე საბოლოო მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპერტული შეფასება განახორციელეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

5.12. მოსახლეობის და საცხოვრისების საყოველათაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

დასახული საბოლოო შედეგები:

- კარტოგრაფიული მასალა და წინასწარი შემოვლები ხელს შეუწყობს შენობებისა და მათში მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენას მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საველე სამუაოების სრულყოფილი ორგანიზებისათვის.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მომზადდა ციფრული კარტოგრაფიული მასალა და აჭარის, გურიისა და კახეთის რეგიონებში და ქ. თბილისში განხორციელდა შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების წინასწარი სიების შედგენის საველე სამუშაოები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს რეგიონების, ქალაქ თბილისი ჩათვლით, ციფრული კარტოგრაფიული მასალის სიზუსტე და შინამეურნეობებში ფაქტობრივად მცხოვრები პირების რაოდენობის სიზუსტე.

5.13. აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციისათვის ტექნიკური ბარიერების შემცირება;
- საქართველო-ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობების შესრულება;
- აკრედიტაციის შესაძლებლობების გაზრდა და ინსტიტუციონალური განვითარება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა აკრედიტაციაზე შესული განაცხადების განხილვა და მათი შეფასება;
- განხორციელდა აკრედიტირებული პირების გეგმიური მონიტორინგი;
- „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საქართველოს კანონის საფუძველზე აკრედიტაციის ცენტრი ფუნქციონირებს ახალი წესებისა და პროცედურების შესაბამისად;
- აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს (European co-operation for accreditation) შორის გაფორმებული ასოცირებული წევრობის შეთანხმების საფუძველზე, აკრედიტაციის ცენტრის მიერ მენეჯმენტის სისტემაში განხორციელდა EA-ს მოთხოვნების გეგმაზომიერი იმპლემენტაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განაცხადი ურთიერთაღიარების ხელშეკრულებაზე EA ან/და ILAC-ში - EA-ს ან ILAC-ში ურთიერთაღიარების ხელშეკრულებაზე განაცხადის წარსადგენად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები TWINNING-ის პროექტის ფარგლებში;
- საქართველო-ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) გაფორმების წინაპირობა - საქართველოს კანონის „პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ შესაბამისად მომზადდა და გამოცემულია აკრედიტაციის სისტემის ნორმატიული აქტები; აკრედიტაციაზე შესული განაცხადების განხილვა, შეფასება და აკრედიტირებული პირების ყოველწლიური გეგმიური მონიტორინგი ტარდება ახალი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. პრიორიტეტი – ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	54,091.0	54,091.0	52,462.8	52,462.8	
06 02	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	32,480.1	32,480.1	31,170.4	31,170.4	
26 06	იუსტიციის სახლების ფარგლებში მომსახურებათა ეფექტიანი წარმოება და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა	79,845.0	22,615.0	87,982.3	6,945.0	81,037.3
06 04	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	13,288.4	13,288.4	13,043.0	13,043.0	
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	11,000.0	11,000.0	10,094.3	10,094.3	
04 00	საქართველოს მთავრობის კანცელარია	15,982.1	15,982.1	13,249.1	13,249.1	
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	32,969.9	32,969.9	31,009.5	31,009.5	
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	15,617.9	15,617.9	15,566.6	15,566.6	
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	7,200.0	7,200.0	6,903.9	6,903.9	
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	5,850.0	4,000.0	6,518.3	3,942.8	2,575.5
44 00	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,800.0	3,800.0	3,764.9	3,764.9	
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	3,000.0	2,700.0	2,164.5	2,055.6	108.9
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	2,100.0	2,100.0	3,005.0	3,005.0	

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
06 03	საარჩევნო სისტემების განვითარება და სისტემისათვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება	943.3	943.3	855.3	855.3	
26 07	ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება	2,155.0	2,155.0	2,240.7	2,048.4	192.3
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში	1,246.1	1,246.1	1,176.9	1,176.9	
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში	843.1	843.1	834.1	834.1	
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში	784.9	784.9	761.3	761.3	
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	828.1	828.1	796.1	796.1	

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	741.0	741.0	711.5	711.5	
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	638.7	638.7	635.2	635.2	
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	643.7	643.7	604.6	604.6	
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	628.7	628.7	628.6	628.6	
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	713.7	713.7	691.0	691.0	
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	600.0	600.0	577.0	577.0	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		**287,990.8**	**228,610.8**	**287,446.9**	**203,532.9**	**83,914.0**

6.2. არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

დასახული საბოლოო შედეგები:

- სამართლიანად შემდგარი არჩევნები; არჩეული საქართველოს პრეზიდენტი; საარჩევნო პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტის კანონიერი უფლების დაუბრკოლებელი რეალიზაცია;
- კვალიფიკაცია ამაღლებული საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები; ქვეყნის მასშტაბით არსებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დატრენინგებული წევრები;
- ინფორმირებული და საარჩევნო პროცესებში აქტიურად ჩართული ამომრჩეველი.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ღია, გამჭვირვალე და მშვიდ გარემოში ჩატარებული არჩევნები;
- როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არჩევნების პოზიტიური შეფასება;
- საარჩევნო პროცესებში ჩართულ პირთა ინფორმირებულობა ტრენინგების განხორციელების გზით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე (2013 წ 1 ივლისიდან - 12 ნოემბერი) საარჩევნო ადმინისტრაციაში შემოტანილ იქნა 43 განცხადება/საჩივარი, ხოლო საოლქო საარჩევნო/საუბნო საარჩევნო კომისიებში შეტანილ განცხადება/საჩივართა რაოდენობამ შეადგინა 374, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში შემოსული საჩივრების ოდენობაზე ნაკლებია;
- ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE/PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE), ევროპარლამენტისა (EP) და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის (NATO PA) ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის წინასწარ დასკვნაში ცესკოს მიერ გაწეული სამუშაო ცალსახად დადებითად არის შეფასებული: "ცესკო ეფექტურად და გამჭვირვალედ მუშაობდა. მან საარჩევნო სამუშაო დადგენილ ვადაში შეასრულა. ამასთანავე, ყველა ჩართულმა მხარემ, ცესკოს მაღალი დონის ნდობა გამოუცხადა. დამკვირვებლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიისთვის ცესკოს სხდომები და შეხვედრები ღია იყო. არჩევნებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებამდე, ცესკო ატარებდა ღია დისკუსიებს ყველა ჩართულ მხარესა და პარტნიორებთან";
- სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებულმა სატრენინგო პროგრამამ მოიცვა საარჩევნო პროცესში ჩართული შემდეგი სამიზნე ჯგუფები: ტრენერი 112, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები - 949, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები და იურისტები - 146, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები - 47 230, ცესკოს კონტაქტ ცენტრის ოპერატორი - 22, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლები - 85, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტები - 94, სახალხო დამცველთან არსებულ უმცირესობათა საბჭოს წევრები - 25, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლები - 112, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები - 117, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები - 45.
- 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგების მიხედვით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 46.95%-მა.

6.3. იუსტიციის სახლების ფარგლებში მომსახურებათა ეფექტური წარმოება და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 06)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- ✓ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
- ✓ სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო;
- ✓ სსიპ - იუსტიციის სახლი.

დასახული საბოლოო შედეგები:

- სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ გარემოში, გეოგრაფიულად ეფექტურად განაწილებულ იუსტიციის სახლებში;
- ერთიანი, დაცული და პერმანენტულად განახლებადი მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეებისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცესების ეფექტურად წარმართვას;
- უნიფიცირებული სამისამართო სისტემისა და რეესტრის შექმნა;
- კანონმდებლობით დადგენილ ვადებში განხორციელებული სააღსრულებო საქმიანობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- უზრუნველყოფილ იქნა მონაცემთა ბაზის სრული დაცულობა არასანქცირებული შეღწევისგან და სრული კონფიდენციალურობა;
- განხორციელდა ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების ამსახველი რეესტრის წარმოება;
- განხორციელებულია ზუგდიდის იუსტიციის სახლის სამშენებლო სამუშაოები;
- აღსრულების სფეროში მოქალაქეთათვის შეთავაზებულ იქნა ახალი მომსახურებები;
- დანერგილი სიახლეების საფუძველზე შესაძლებელი გახდა სააღსრულებო პროცესის ეფექტურობის გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- იუსტიციის სახლის სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების დონე – 77%, სერვისის შეფასება „კარგი/ძალიან კარგი“;
- საჯარო რეესტრის მიერ კანონით დადგენილ ვადებში გაწეული სარეგისტრაციო მომსახურების 100%;
- დასრულდა ზუგდიდის იუსტიციის სახლის შენობის კარკასის მშენებლობა;
- სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების დონე – 75-85%;
- აღსრულების სფეროში მოქალაქეთათვის შეთავაზებულ იქნა 2 ახალი მომსახურება (გამარტივებული წარმოება და ფაქტების კონსტატაცია);
- საანგარიშო პერიოდში წარმოებული ყველა სააღსრულებო საქმე აღსრულდა ეფექტურ ვადაში.

6.4. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია,
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- მრავალპარტიული გარემოს შენარჩუნება;
- კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის შექმნა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება;
- საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მქონე თოთხმეტი პოლიტიკური პარტია;
- საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები - 43 საგრანტო პროექტი.

6.5. სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 26 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი

დასახული საბოლოო შედეგები:

- სისხლის სამართლის თანამედროვე საერთაშორისო პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისი სისხლის სამართლის განახლებული კოდექსი;
- „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ კომენტარების მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს იურისტების მიერ კოდექსის მუხლების უკეთ განმარტებას;
- სისხლის სამართლის საქმის წარმოების სტატისტიკურ-ანალიტიკური მოდულის შემუშავება და დანერგვა;
- არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის დამტკიცებული სამოქმედო გეგმა;
- სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობის გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- დაინერგა სისხლის სამართლის საქმის მართვის ელექტრონული სისტემა;
- „სისხლის სამართლის კოდექსის“ გადახედვის მიზნით შეიქმნა სისხლის სამართლის ექსპერტთა ჯგუფი, რომლის მიზანია „სისხლის სამართლის კოდექსის“ გადახედვა და დეტალური განხილვა, ცვლილებების შეტანის კუთხით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, შედეგად ახალი კოდექსის პროექტის შემუშავება.

მიღწეული საბოლოო შეფასების ინდიკატორები:

- სისხლის სამართლის საქმის მართვის ელექტრონული სისტემა დაინერგა ქვეყნის მასშტაბით;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა „სისხლის სამართლის კოდექსის“ ზოგადი ნაწილის პროექტი.

6.8. ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

დასახული საბოლოო შედეგები:

- მომსახურების ელექტრონული პროგრამის პარამეტრების განახლება და დახვეწა;
- საარქივო დოკუმენტების ციფრული ასლების შექმნა;
- საცავებში კლიმატკონტროლის თანამედროვე სისტემების დამონტაჟება;
- ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა ტერიტორიული არქივების გამსხვილება (ცენტრალიზაცია) რეგიონების მიხედვით და რეგიონული არქივების შექმნით გაუმჯობესდა დოკუმენტების შენახვისა და დაცვის პირობები;
- დაინერგა მოქალაქეთა მომსახურების თანამედროვე, ელექტრონული სისტემა, რომელმაც ნებისმიერი ადგილობრივი არქივიდან ხელმისაწვდომი გახადა საცნობარო-საინფორმაციო მომსახურების მიღება;
- წარმატებით გაგრძელდა ელექტრონულ მატარებელზე დოკუმენტების შენახვის პროექტი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საანგარიშო პერიოდში ცენტრალიზაციას (რეგიონებში გამსხვილებას) დაექვემდებარა 3 ტერიტორიული ერთეული და შეიქმნა 22 ადგილობრივი წარმომადგენლობა;
- ელექტრონულ მატარებლებზე გადატანილია საისტორიო დოკუმენტებისა და უახლესი ისტორიის არქივის მმაჩ-ის ბიუროს 1921-36 წლების ჩანაწერების (სამოქალაქო აქტების ჩანაწერები) 100%;
- ელექტრონულ მატარებელზე გადატანილ იქნა 5 700-მდე ნეგატივი და ფოტოპოზიტივი, 390-მდე კინო და 100-მდე აუდიოდოკუმენტი;
- საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის დასკანერებულია საარქივო დოკუმეტების 1 600 ათას გვერდზე მეტი;
- დაინერგა მოქალაქეთა მომსახურების თანამედროვე ელექტრონული სისტემა.

6.9. ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ყველა სახელმწიფო ორგანიზაციისა და მთელი კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩართვა;
- სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა „მოქალაქის პორტალის“ მეშვეობით;
- ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის ამოქმედება;
- მონაცემთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მონაცემთა ასახვა, მონაცემთა ბაზების ანალიზი და საინფორმაციო რეესტრების ოპტიმიზაციის მიზნით რეკომენდაციების მომზადება;
- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვა ყველა სახელმწიფო ორგანიზაციასა და კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში;
- მსხვილ სახელმწიფო უწყებებსა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებში ინციდენტების მართვის ადგილობრივი ჯგუფების შექმნა და დატრენინგება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაფორმდა ხელშეკრულება „Microsoft საქართველოსთან“ სტანდარტული პროდუქტებისა და სამთავრობო კარიბჭის 3 წლიანი მომსახურების შესახებ;
- მოქალაქის პორტალზე სრულად არის რეალიზებული მოქალაქის ფუნქციონალი. ინტეგრიორებულია სახელმწიფო და კომუნალური სერვისები. მოქალაქის პორტალის საშუალებით შესაძლებელი გახდა სახელმწიფო დაწესებულებებიდან ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვა ერთი ფანჯრის პრინციპით.
- ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის ფარგლებში შემუშავებულია არსებული პროცესების ბიზნეს ანალიზისა და ოპტიმიზებული პროცესების ბიზნეს ანალიზის დოკუმენტები;
- შეიქმნა საერთაშორისო საზღვაო ხაზებს, პორტებს, გადამზიდავ კომპანიებს, ტერმინალებს, რკინიგზასა და საბაჟოს შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა;
- შეიქმნა პროგრამული გადაწყვეტილება „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის პორტალი“, რომელიც ფუნქციონირებს მისამართზე http://ror.dea.gov.ge/. მისი მეშვეობით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს საშუალება აქვთ განახორციელონ საკუთარი რეესტრებისა და მომსახურებების პირველადი რეგისტრაცია და შეიტანონ მასში ცვლილებები;
- დაწყებულია ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დანერგვა სახელმწიფო დაწესებულებებსა და კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებში.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩართულია 26 ორგანიზაცია;
- მოქალაქის პორტალზე სრულად არის რეალიზებული მოქალაქის ფუნქციონალი. არსებული სახელმწიფო სერვისებიდან ინტეგრირებულია 52 სერვისი, ასევე თითოეულ მოქალაქეს საშუალება აქვს პორტალიდან გადაიხადოს 80-მდე კომუნალური და სხვა სახის გადასახადი, მოქალაქეთა პორტალზე რეგისტრირებულია 5 ათასამდე მომხმარებელი, სახელმწიფო დაწესებულებებიდან

ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვნის სერვისში ჩართულია სახელმწიფო დაწესებულებების 52 ცენტრალური და 408 რეგიონული ოფისი;

- ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის პორტალზე დარეგისტრირებულია 91 სუბიექტი, რომელთაც შეიყვანეს მონაცემები 344 რეესტრის და 315 სერვისის შესახებ;
- ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა დაწყებულია კრიტიკული ინფორმაციული სისტემების მქონე 7 სუბიექტში.

6.10. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება;
- წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
- თავისუფლების შეზღუდვისა და აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება;
- სახალხო დამცველის სპეციალიზებული ცენტრების (ბავშვის და ქალის უფლებათა ცენტრი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი) და სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა;
- სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა, თარგმნა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;
- სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქეთა უფლებათა დარღვევის შესახებ შემოსული განცხადების/საჩივრების მიღება, რეგისტრაცია, სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილება შემდგომი განხილვა და შესაბამისი რეაგირება;
- საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- აღმოჩენილი და დაფიქსირებული ადამიანის უფლებების დარღვევები;
- საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოსაფხვრელად გატარებული პრევენცია;
- ყველა ტიპის დახურულ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგი (გეგმიური - არაგეგმიური).

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქვეყნის მასშტაბით შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის განყოფილებებში განხორციელდა 140 გეგმიური ვიზიტი, მონახულებულ იქნა 207 დაკავებული, 13 არაგეგმიური ვიზიტი.

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით განხორციელდა 313 არაგეგმიური და 45 გეგმიური ვიზიტი, მონახულებულ იქნა 2670 პატიმარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში მონიტორინგის მიზნით განხორციელდა 15 გეგმიური ვიზიტი;
- ფსიქიატრიულ დაწესებულებებში განხორციელდა 9 არაგეგმიური ვიზიტი, მონახულებულ იქნა 25 პაციენტი.
- ჰაუბახტებში განხორციელდა 3 გეგმიური ვიზიტი, მონახულებული იქნა 27 სამხედრო მოსამსახურე.
- ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ შემოვიდა 6185 განცხადება. აქედან დასაშვებად იქნა ცნობილი 4613, დაუშვებლად - 1024. მართლმსაჯულების დეპარტამენტს გადაეცა 1839 განცხადება, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტს - 2041, ბავშვთა ცენტრს - 125, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრს - 116, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტს 102, ხოლო რეგიონულ სამმართველოს - 390. ასევე, კონსულტანტის დახმარებით ისარგებლა 2923-მა ვიზიტორმა, ელ.ფოსტაზე შემოვიდა 645 წერილი და კონსულტაციის მიზნით განხორციელდა 1586 სატელეფონო ზარი.

6.11. საარჩევნო სისტემების განვითარება და სისტემისათვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნისა და ზოგადი უნარების დადგენა შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შესარჩევად.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სერტიფიცირებული 942 მოქალაქე.

6.12. ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (პროგრამული კოდი 26 07)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - სმართ ლოჯიქი

დასახული საბოლოო შედეგები:

- მომსახურების მიმღები დაწესებულებების ინფრასტრუქტურული ტექნიკის შეძენასა და მათ მხარდაჭერაზე გაწეული დანახარჯების შემცირება;
- სისტემების უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცულობის დონის გაზრდა;
- მომსახურების მიმღებ დაწესებულებებს შორის სატელეფონო საუბრების დანახარჯების შემცირება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სსიპ - სმართ ლოჯიქის მომსახურებაზე საანგარიშო პერიოდში აყვანილ იქნა როგორც სამინისტროები, ისე საჯარო სამართლის იურიდიული პირები;
- მომსახურების მიმღებ დაწესებულებებს შორის განულებულია სატელეფონო საუბრების დანახარჯები.

მიღწეული საბოლოო შეფასების ინდიკატორები:

- სსიპ - სმართ ლოჯიქის მომსახურებაზე საანგარიშო პერიოდში აყვანილ იქნა 4 სამინისტრო და 2 საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- მომსახურების მიმღებ დაწესებულებებს შორის განულებულია სატელეფონო საუბრების დანახარჯები.

7. პრიორიტეტი – იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
25 05	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	77,339.3	77,339.3	72,190.0	72,190.0	
34 02	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	41,935.0	41,935.0	39,263.1	39,263.1	
34 01	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	8,065.0	8,065.0	7,998.5	7,998.5	
22 00	რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,350.0	1,350.0	1,283.2	1,283.2	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		**128,689.3**	**128,689.3**	**120,734.8**	**120,734.8**	**0.0**

7.1. იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 25 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საკუთარ სახლებში ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის პირობების შექმნა;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დევნილთა და მათი ადგილობრივი გაერთიანებებისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა (კოლექტიური საცხოვრებელი ცენტრების მშენებლობა და ინფრასტრუქტურული განვითარება) და მათი საზოგადოებრივი აქტივობის მხარდაჭერა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- 1990-იანი წლების იძულებით გადაადგილებულ პირთა, ასევე 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ხანგრძლივი საცხოვრებელი პირობების შექმნა, ინფრასტრუქტურის მოწყობა და ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დევნილთათვის აშენებული ახალი საცხოვრებელი სახლები;
- გაუმჯობესებული საკანალიზაციო სისტემა;
- გაუმჯობესებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები;
- რეაბილიტირებული ქუჩები, მოედნები და სანიაღვრე არხები;
- დასრულებული საბავშვო ბაღი.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიმდინარეობდა დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით. ამასთან, რიგ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა კონტრაქტების განხორციელების ვადების ცვლილებას, რაც უმეტეს შემთხვევაში, განაპირობა კონტრაქტორების მხრიდან ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოთა წარმოების გრაფიკის დარღვევამ. პრობლემური საკითხების უმეტესი ნაწილი გადაჭრილი იქნა და შესაბამისი პროექტები დასრულდება 2014 წელს.

7.2. განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი,
- ✓ სსიპ - იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა თემის განვითარების ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ორგანიზება და დევნილთათვის საცხოვრებელი პირობების შექმნა-გაუმჯობესება.
- საქართველოში იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური რეინტეგრაცია;
- სავალალო მდგომარეობაში მყოფი დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია;
- კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში დევნილთა რაოდენობის დაზუსტება და მათთვის კომუნალური (ელექტროენერგიის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ასენიზაციის, დასუფთავების, დეზინფექციის და დერატიზაციის) და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობებების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში განხორციელდა:
    - ✓ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებში გადამოწმდა 128 ობიექტი, აღწერილ იქნა 2 404 ოჯახი. დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემაზე პრეზიდენტის განკარგულებისთვის მასალები მომზადდა და გადაიგზავნა 1 871 ოჯახზე. საკუთრებაში ბინები გადაეცა 921 ოჯახს;
    - ✓ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობებების რეაბილიტაცია, სადაც გადაყვანილ იქნა 1 267 დევნილი ოჯახი (ქ. თბილისში, რუსთავში, ბათუმში, ფოთსა და ქუთაისში, ასევე ხაშურის, გორის, თეთრიწყაროს, სამტრედიის, მარნეულის, ქარელის, ვანის, თერჯოლის, ზესტაფონის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში);
    - ✓ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 15 ობიექტს ქ. თბილისში, ქ. რუსთავში, ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმში, ასევე ზუგდიდისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 10 ობიექტზე ქ. თბილისში, ქ. რუსთავში, ქ. ქუთაისში, ქ. ფოთსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტში;
    - ✓ დასრულდა 169 მოქმედი კოლექტიური ცენტრის ტექნიკური შეფასება სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 001 სარეიტინგო ქულაზე ნაკლების მქონე 23 000 დევნილ ოჯახს გადაეცათ ელექტრონული ბარათები, რომელზეც დარიცხული იყო 200 ლარი, 2013-2014 წლების ზამთრის სეზონში ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურებისათვის, ხოლო 70 დევნილ ოჯახს, რომლებიც ცხოვრობენ მკაცრი ზამთრის ადგილებში გაეწიათ ფინანსური დახმარება სათბობი შეშის შესაძენად;
- განხორციელდა 50 დევნილი ოჯახისათვის ინდივიდუალური სახლების შეძენა ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;
- განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 4 კოლექტიური ობიექტის გამოსყიდვა - სულ 199 ბინა.
- სახურავის შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა 20 ობიექტს, წყალკანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 9 ობიექტს, ხოლო ხანძრით გამოწვეული დაზიანებული შიდა ფართების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 ობიექტს. ქ თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით გარემონტდა 19 ობიექტი;
- კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს დაუფინანსდათ კომუნალური ხარჯები;
- მოძიებული იქნა 160 000 კვ/მ მიწის ფართობი ქ. თბილისში, 27 000 კვ.მ. ქ. ქუთაისში და 60 000 კვ.მ. ქ. ბათუმში, სადაც განხორციელდა დევნილთათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობის პროექტირების სამუშაოები;

- ფინანსური დახმარება გაეწია 1811 დევნილს, ასევე ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N49-ში მდებარე კომპაქტურად განსახლების ობიექტის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებულ 26 ოჯახს და სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 160 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 64 ობიექტს ჩაუტარდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც 2012 წელთან შედარებით 16 ობიექტით მეტია;
- კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ბინა გადაეცა იძულებით გაადგილებული პირთა 921 ოჯახს. ასევე, 1 871 დევნილი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემისთვის შესაბამისი დოკუმენტაცია მომზადდა და გადაეგზავნა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს;
- გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნა 1 516 ოჯახი.

7.3. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 34 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი,
- ✓ ტერიტორიული ორგანოები

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით დევნილთა, ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებელთა, რეპატრიანტთა მიგრაციული ნაკადების რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაციისათვის და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნა და სოციალური დაცვა;
- დევნილი მოსახლეობის თვითკმარობის გაზრდა, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირება-აღმოფხვრა და უკიდურესად გაჭირვებული, დაუცველი დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება საერთო კრიტერიუმების საფუძველზე;
- რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების სისტემატიზაცია, ანალიზი და განხილვა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;
- არალეგარული მიგრაციის პრევენცია, დროებითი ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობის გაზრდა;
- რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე დაბრუნებულთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოთხოვნის მქონე დევნილების გამოკვეთა, აღნიშნული ქონების შემდგომი პრივატიზაციის პროცესის მოსამზადებლად;

- ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება და ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საანგარიშო პერიოდში შევსებულია დევნილთა უძრავის ქონების 197 დეკლარაცია; გადამოწმდა 13 934 შევსებული დეკლარაცია და აქედან მოხდა 2 962 შევსებულ დეკლარაციაში ჩამატებების შეტანა; ასევე, დაზუსტდა სტატუსთან და ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროში გამოცხადებული 3 850 დევნილის ქონებრივი დეკლარაცია, მათ შორის:
    - ✓ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან - 216 დეკლარაცია,
    - ✓ აფხაზეთის ა/რ -დან - 3 634 დეკლარაცია;
- მოხდა ცხინვალის რეგიონის 17 დასახლებული პუნქტიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა უძრავი ქონების კოსმოსურ სურათებზე აღრიცხვა და იდენტიფიკაცია;
- „მობილურობის ცენტრმა“ მომსახურება გაუწია 384 დაბრუნებულ მიგრანტს, მათ შორის:
    - ✓ 165-მდე ბენეფიციარს გაეწია კონსულტაცია საქართველოში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ;
    - ✓ 135 ბენეფიციარმა გაიარა პროფესიული გადამზადების ტრენინგი, ხოლო 70 ბენეფიციარმა - ტრენინგი ბიზნეს გეგმის შემუშავების შესახებ და 7 ბენეფიციარს გაეწია პირველადი სამედიცინო დახმარება;
- „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის“ პროექტის ფარგლებში შექმნილი „მობილურობის ცენტრის“ მიერ დაფინანსდა 16 ბიზნეს პროექტი (მეფრინველეობის და მესაქონლეობის ფერმები, საოჯახო ტიპის სასტუმროები, სილამაზის სალონი და ა.შ.); ასევე, პროექტის ფარგლებში დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნა 4 ბენეფიციარი;
- ხორციელდებოდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების განხილვა. განსახილველად შემოვიდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა 717 აპლიკაცია. აპლიკაციების განხილვის შედეგად ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭა 47 პირს, ხოლო ლტოლვილის სტატუსი - 16 პირს. აქედან, შეუწყდა ლტოლვილის სტატუსი - 4 პირს;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ეკომიგრანტთათვის შეძენილ იქნა 33 საცხოვრებელი სახლი.

8. პრიორიტეტი – კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
33 02	ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	46,129.0	41,329.0	47,499.8	40,655.2	6,844.6
39 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	46,890.3	46,890.3	46,277.9	46,204.6	73.3
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	33,733.3	33,733.3	33,730.7	33,730.7	
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25,000.0	25,000.0	24,996.1	24,996.1	
33 04	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	18,465.5	16,065.5	18,154.0	15,713.0	2,441.0
33 05	კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის და ფინანსური ძლიერების პროგრამა	6,739.1	6,589.1	3,579.5	3,579.5	
39 04	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	7,118.0	7,118.0	6,565.0	6,134.0	431.0
39 03	სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	4,462.0	4,462.0	4,419.2	4,419.2	
33 01	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	4,389.8	4,389.8	4,364.2	4,364.2	
39 01	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	9,486.2	9,486.2	9,335.1	9,335.1	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		**202,413.2**	**195,063.2**	**198,921.5**	**189,131.6**	**9,789.9**

8.1. ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (პროგრამული კოდი 33 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ საქართველოს ანსამბლები;
- ✓ საქართველოს თეატრები.

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქართული კულტურის მაქსიმალური პოპულარიზაცია საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში, ასევე მის საზღვრებს გარეთ;
- ახალი მიღწევებითა და თანამედრვე ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შევსების შესაძლებლობა და კულტურული ფასეულობების პოპულარიზაცია;
- საქართველოს რეგიონებში ტრადიციული და თანამედროვე კულტურული ცხოვრების გააქტიურება, ფესტივალების, კონკურსების, კონცერტების, გამოფენებისა და მასტერკლასების მოწყობა-ორგანიზება;
- საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველ და უცხოელ ხელოვანთა მოწვევა;
- საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოების, ახალი იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერა, საქართველოს რეგიონების კულტურის ობიექტების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განახლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გააქტიურდა საზოგადოების ინტერესი ქართული კულტურის ღირებულებების მიმართ; მოხდა: ქართული კულტურის პოპულარიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, გამოფენების, ფესტივალების, კონკურსების, მასტერკლასების, შემოქმედებითი საღამოების მოწყობით; გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში. გაიზარდა ქართული ხალხური სიმღერისა და ფოლკლორული ანსამბლების მხარდაჭერა, გაუმჯობესდა საქართველოს რეგიონების კულტურის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; აღიჭურვა: კულტურის ობიექტები კინოჩვენებებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნიკური აპარატურით, ფოლკლორული კოლექტივები სასცენო სამოსითა და ხალხური საკრავებით, რეგიონების სახელოვნებო და სამხატვრო სკოლები და საესტრადო ანსამბლები სამხატვრო ინვენტარით, ხალხური საკრავებითა და საესტრადო მუსიკალური ინსტრუმენტებით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საზღვარგარეთ ჩატარდა 3 პრეზენტაცია საქართველოს დღეები;
- საქართველოსა და საზღვარგარეთ ორგანიზებული 39 მუსიკალური ფესტივალი, 532 კონცერტი, 78 გასტროლი, 1940 სპექტაკლი, 45 მასტერკლასი, 13 პოეზიის საღამო და 34 გამოფენა;
- განხორციელებული ღონისძიებებისადმი მასმედიისა და საზოგადოების ინტერესის, ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობა - 240.0 ათასამდე კაცი;

- ეროვნულ უმცირესობათა კულტურის განვითარების მხარდამჭერი პროექტების რაოდენობა - 5;
- გამოიცა 40 წიგნი, 9 ალბომი-კატალოგი, 91 ჟურნალ-გაზეთი;
- ახალი გადაღებული ფილმის რაოდენობა - 3;
- აუდიოდისკის გამოცემის ხელშეწყობა - 2;
- კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები - 10;
- საზღვარგარეთ აკადემიური სასწავლო კურსის გასავლელად დაფინანსებული 11 ნიჭიერი, ახალგაზრდა ხელოვანი;
- გადაეცა სახელოვნებო-საგანმანათლებლო ლიტერატურა: 14 ქალაქისა და მუნიციპალიტეტის 45 სამუსიკო სახელოვნებო სკოლას I-II კლასის მუსიკალური სახელმძღვანელო 100 ეგზემპლარი; 6 ქალაქისა და მუნიციპალიტეტის 8 სამუსიკო სკოლასა და სასწავლებელს სასწავლო მუსიკალური ლიტერატურა 417 ეგზემპლარი.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- კულტურის ობიექტების აღჭურვა კინოჩვენებებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნიკური აპარატურით და სხვა.

8.2. სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმი“.

დასახული საბოლოო შედეგები:

- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები, მომზადებული ნაკრები გუნდები საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად;
- ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;
- ეროვნული ჩემპიონატების მაღალ დონეზე ჩატარება;
- სპორტსმენების სპორტული ფორმით, ინვენტარითა და სამედიცინო მომსახურეობით უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო სტანდარტებით მოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საქართველოდან წარგზავნილი სპორტსმენების მიერ მოპოვებულ იქნა 127 ოქროს, 113 ვერცხლის და 172 ბრინჯაოს მედალი მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატებზე და სხვა საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებზე, ასევე, 6 მედალი ქ. ბრაშოვში (რუმინეთი) ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალზე;
- სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის მოპოვებულია 4 ოლიმპიური ლიცენზია (სამი სათხილამურო, ერთი ფიგურული ციგურაობა);
- ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით შევსებული ქვეყნის ნაკრები გუნდები; გაუმჯობესებული პირობებით ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატები და პირველობები, ცხოვრების ჯანსაღი წესი, სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ მოზარდთა გაზრდილი რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე დაკავებული პოზიციები;
- მაღალხარისხოვანი ეროვნული პირველობები და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები;
- სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი სპორტული ობიექტების რაოდენობის ზრდა.

8.3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
- ✓ საქართველოს მუზეუმები.

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება;
- მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების ინფრასტრუქტურის განვითარება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- რეაბილიტაცია/კონსერვაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნა განადგურების საშიშროების წინაშე მდგარი კულტურული მემკვიდრეობის რიგი ძეგლები;
- მოეწყო მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა;
- რესტავრირებული კულტურული ძეგლებისა და ექსპონატების რაოდენობა.

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- დაუგეგმავი ღონისძიებების განსახორციელებლად პროგრამაში შეტანილი ცვლილებები.

8.3.1. მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ საქართველოს მუზეუმები და სახლ - მუზეუმები.

დასახული შუალედური შედეგები:

- მუზეუმების ინფრასტუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

- მუზეუმებში დაცული ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვის მიზნით სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება;
- მუზეუმებში მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის მიზნით მუზეუმის სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტებისათვის ტრენინგებისა და ვორქშოპების ჩატარება, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების თარგმნა და გამოცემა;
- საერთაშორისო სამუზეუმო ინსტიტუციებთან ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ერთობლივი პროექტების შემუშავება, ქვეყნის მუზეუმების ინფორმირება საერთაშორისო სამუზეუმო სივრცეში მიმდინარე სიახლეებზე;
- მუზეუმების პოპულარიზაციის მიზნით გზამკვლევებისა და კატალოგების გამოცემა, ახალი ექსპოზიციების მოწყობისათვის ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ხელი შეეწყო მუზეუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას;
- სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის განვითარების მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები და ვორქშოპები;
- მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვის მიზნით მიღებულ იქნა პრევენციული ზომები - რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა მუზეუმებში დაცულ განსაკუთრებით დაზიანებულ სხვადასხვა სახეობის ექსპონატებს;
- საერთაშორისო სამუზეუმო ინსტიტუციებთან ურთიერთთანამშრომლობით შემუშავდა ერთობლივი პროექტები, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო სამუზეუმო სფეროში აღიარებულმა ექსპერტებმა, რითაც ხელი შეეწყო ქვეყანაში სამუზეუმო რეფორმის ქმედით განხორციელებას და საქართველოს მუზეუმების ეტაპობრივ გადასვლას საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებზე.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა - 354.0 ათასამდე;
- მუზეუმებში მოწყობილი გამოფენებისა და წარმოდგენილი ექსპოზიციების რაოდენობა - 53;
- მუზეუმებში დაცული ექსპონატების რესტავრაცია - 300;
- მუზეუმების საექსპოზიციო/ფონდსაცავის რეაბილიტაცია - 7.

8.3.2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;

დასახული შუალედური შედეგები:

- რეაბილიტაცია/კონსერვაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნება განადგურების საშიშროების წინაშე მდგარი კულტურული მემკვიდრეობის რიგი ძეგლები;
- განხორციელდება ტერიტორიის მოწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის მიზნით შეიქმნება საპროექტო დოკუმენტაცია და საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასდება რიგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა;

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული მონაცემები აისახება საინფორმაციო სივრცეში;
- განხორციელდება ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის და ქართველი სპეციალისტებისათვის უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება;
- მომზადდება მასალები კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- რეაბილიტაცია/კონსერვაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნა განადგურების საშიშროების წინაშე მდგარი კულტურული მემკვიდრეობის რიგი ძეგლები;
- განხორციელდა ტერიტორიის მოწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის მიზნით შეიქმნა საპროექტო დოკუმენტაცია და საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასდება რიგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული მონაცემები აისახება საინფორმაციო სივრცეში;
- განხორციელდება ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის და ქართველი სპეციალისტებისათვის უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება;
- მომზადდება მასალები კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 70-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი;
- მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა 5 ტრენინგი;
- კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით გამოიცა 2 ბროშურა, 3 ჟურნალი, 1 გზამკვლევი და 4 წიგნი.
- ვიზიტორთა რაოდენობა 17 %-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

8.4. კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის და ფინანსური ძლიერების პროგრამა (პროგრამული კოდი 33 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი.

დასახული შუალედური შედეგები:

- დაუგეგმავი პრობლემებისა და კრიზისების წარმატებული მართვა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პრობლემების გადაჭრა, კრიზისების მართვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გადაჭრილი პრობლემების (კრიზისების) რაოდენობა - 96;
- გადაუდებელი ღონისძიებების რაოდენობა - 33;

- სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ჩატარებული რონისძიებების რაოდენობა - 5;

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- სსიპ - კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი ფაქტიურად არ ფუნქციონირებს.

8.4.1. კულტურის სფეროს ფინანსური გაძლიერების პროგრამა (პროგრამული კოდი 33 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგები:

- დაუგეგმავი პრობლემებისა და კრიზისების წარმატებული მართვა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პრობლემების გადაჭრა, კრიზისების მართვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გადაჭრილი პრობლემების (კრიზისების) რაოდენობა - 96;
- გადაუდებელი ღონისძიებების რაოდენობა - 33;
- სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ჩატარებული რონისძიებების რაოდენობა - 5;

8.5. ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზდრობის საქმეთა სამინისტრო;
- ✓ სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი;
- ✓ სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საქართველოს ახალგაზრდობის სახლი.

დასახული საბოლოო შედეგები:

- ინტელექტუალურად და სულიერად განვითარებული, განსაკუთრებული ნიჭის მქონე წახალისებული ახალგაზრდები, საქართველოსა და უცხო ქვეყნებში მცხოვრები დამეგობრებული ახალგაზრდები, საზოგადოებაში ინტეგრირებული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, კულტურათაშორის დიალოგი.
- მოზარდთა ინტერესების შესაბამისად შექმნილი პროფილური წრეები, ცენტრები, კლუბები და სტუდიები.
- ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირებისათვის, სოციალურად დაუცველი, აგრეთვე სწავლაში, ხელოვნებასა და სპორტში განსაკუთრებით გამორჩეული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ტრენინგ-სემინარების, კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონცერტების, ფესტივალების, გამოფენების, ოლიმპიადების, საქველმოქმედო აქციებისა და სხვა ღონისძიებათა მოწყობა, უცხოელ თანატოლებთან დამეგობრებული საქართველოში მცხოვრები მოზარდები, მათ შორის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

- ახალგაზრდებში მაღალი ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბება და ახალგაზრდობის არაფორმალური განათლება, ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება და კულტურათაშორის დიალოგის შესაძლებლობის მიცემა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ახალგაზრდულ სექტორში მასობრივად ჩართული სუბიექტები, კულტურულ-შემოქმედებით და საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართული, სულიერად ჯანსაღი, კანონმორჩილი, წარმატებული და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების ახალგაზრდები, საზოგადოებაში მაქსიმალურად ინტეგრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები.
- განსაკუთრებული ნიჭის მქონე წახალისებული ახალგაზრდები, საზოგადოებაში ინტეგრირებული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, კულტურათაშორის დიალოგი.
- მოზარდთა ინტერესების შესაბამისად შექმნილი პროფილური წრეები, ცენტრები, კლუბები და სტუდიები.
- ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირებისათვის, სოციალურად დაუცველი, აგრეთვე სწავლაში, ხელოვნებასა და სპორტში განსაკუთრებით გამორჩეული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მოწყობილი ტრენინგ-სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონცერტები, ფესტივალები, გამოფენები, ოლიმპიადები, უცხოელ თანატოლებთან დამეგობრებული საქართველოში მცხოვრები მოზარდები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარი ბავშვების, მოზარდების ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა;
- წარმატებული, ინიციატივიანი, წახალისებული და მოტივირებული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა

8.7. სპორტის სფეროში დამსახუერებულ მოღვაწთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფოს მხრიდან საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენების და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ასევე ოლიმპიური ჩემპიონების, ვეტერანი სპორტსმენების და სპორტის მუშაკების ფინანსური მხარდაჭერა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენების და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ასევე ოლიმპიური ჩემპიონების, ვეტერანი სპორტსმენების და სპორტის მუშაკების გაუმჯობესებული ცხოვრების პირობები, ფინანსური და სოციალური მდგომარეობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ფინანსურად უზრუნველყოფილი პროგრამის ბენეფიციარების რაოდენობა.

8.8. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 39 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში გატარებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა 12 სემინარი და კონფერენცია;
- შემუშავებული იქნა პროგრამა შშმ პირთა სპორტულ აქტივობებსა და ცხოვრების ნორმალურ პირობებთან ადაპტირების კუთხით;
- დაფუძნდა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ახალგაზრდობაში დამკვიდრებული ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- წახალისებული ახალგაზრდული ინიციატივები;
- მასობრივი სპორტი;
- მიღწეული მაღალი სპორტული შედეგები.

9. პრიორიტეტი – საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	79,815.3	79,755.3	76,230.0	76,163.9	66.1
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4,215.0	4,215.0	4,210.4	4,210.4	
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,372.3	1,372.3	1,344.3	1,344.3	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		**85,402.6**	**85,342.6**	**81,784.7**	**81,718.6**	**66.1**

9.1.1. საგარეო პოლოტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგები:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის დამგმობი განცხადებების/სხვა დოკუმენტების მიღება;
- ჟენევის მოლაპარაკებების არსებული ფორმატის უცვლელად შენარჩუნება;
- ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელება და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის საერთაშორისოდ აღიარება;
- საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის უკანონო ქმედებების დაგმობა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან;
- დევნილების პრობლემატიკის აქტუალიზაცია საერთაშორისო არენაზე;

- ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის ეფექტიანად წარმართვა და საქართველოსადმი ევროკავშირის პოლიტიკური მხარდაჭერის მობილიზება;
- ANP-ის წარმატებით განხორციელების შედეგად ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოვება;
- ამერიკის შეერთებული შტატებთან და ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება, მათი მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერის შემდგომი გაძლიერება;
- ევროპის საბჭოს რეზოლუციებში და შესაბამის დოკუმენტებში საქართველოს წინაშე არსებული საკითხების ადეკვატური ასახვა;
- ევროპის საბჭოს მხრიდან რუსეთზე ზეწოლის გაძლიერება, რათა მან შეასრულოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებით დაკისრებული ვალდებულებები;
- ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, რეგიონებში დიპლომატიური წარმომადგენლობების გახსნა და ამ რეგიონის ქვეყნებთან სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების გაღრმავება;
- საქართველოს საინვესტიციო კლიმატისა და საინვესტიციო სფეროების, ეკონომიკური რეფორმების, ადგილობრივი რესურსების, აგრეთვე საქართველოს საგარეო სავაჭრო რეჟიმის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება;
- ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში, თანამშრომლობა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების (OECD, WTO, ICAO, IMO), გაეროს ეკონომიკური კომისიებისა (ECOSOC, UNECE, UNESCAP, UNCTAD) და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების (BSEC, სუამი) ფორმატებში.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- შენარჩუნდა და განმტკიცდა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების ტენდენციები, 2013 წლის განმავლობაში არც ერთ ქვეყანას არ უღიარებია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ „დამოუკიდებლობა“, ამასთან ერთმა სახელმწიფომ აღიარება უკან გაიწვია. გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და დევნილთა უფლებების მხარდამჭერი რეზოლუციები და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან შენარჩუნდა არაღიარების პოლიტიკა;
- სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში შემუშავებული სტატუს-ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი აღიარა რუმინეთმა და უნგრეთმა;
- „საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ მიღებული რეზოლუციის მხარდამჭერი სახელმწიფოების რიცხვი 62–მდე გაიზარდა;
- ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ფარგლებში, განხორციელდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირებისა და მისი შემადგენელი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) პარაფირება. ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში მონაწილეობაზე ჩარჩო შეთანხმებას, გაფორმდა საქართველო-ევროკავშირის ოქმი ევროკავშირის

პროგრამებში მონაწილეობის თაობაზე. ასევე, ევროკომისიის ანგარიშის თანახმად, საქართველომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში აჩვენა ძალიან კარგი პროგრესი, რაც ასახულ იქნა ვილნიუსის სამიტის ერთობლივ დეკლარაციაში;

- საქართველომ მიიღო ალიანსის დადებითი შეფასება წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) განხორციელებასთან დაკავშირებით. ამასთან, საქართველო გახდა გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) წევრი 2014-2016 წლების ვადით;
- დაარსდა ისრაელი-საქართველოს ერთობლივი ეკონომიკური კომისია, ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას უვიზო მიმოსვლის შესახებ, გადაწყდა სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის განვითარება;
- გაღრმავდა თანამშრომლობა არაბულ სახელმწიფოებთან და არაბული სახელმწიფოების ლიგის სამდივნოსთან, მიმდინარეობდა თანამშრომლობის განვითარება სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოსთან (GCC), მნიშვნელოვნად განვითარდა ურთიერთობები სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიასთან;
- ქ. ბაქოში ხელი მოეწერა შეთანხმებას "შაჰ-დენიზის მეორე ფაზის დაფინანსებაზე", რითაც საფუძველი ჩაეყარა ბუნებრივი აირის სამხრეთის დერეფნის განვითარებას, სამხრეთ კავკასიური მილსადენის შემდგომ გაფართოებას, ტრანს-ადრიატიკული და ტრანს-ანატოლიური გაზსადენების მშენებლობას;
- ევროკომისიის მიერ დამტკიცდა პრიორიტეტული ენერგეტიკული 248 პროექტი, რომელთა შორის, ბუნებრივი აირის სამხრეთის დერეფნის განვითარების ფარგლებში მოხვდა თეთრი ნაკადის პროექტი და აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთის დამაკავშირებელი პროექტი (AGRI).
- დამტკიცდა ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა, რაც ევროკავშირისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტრუმენტებიდან (EIB, EBRD, WB) ფინანსური რესურსების მოზიდვისა და ქვეყნის ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელში (TEN-T) ინტეგრაციის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის;
- UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შვიდა „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი";
- განხორციელდა 56.3 ათასი საკონსულო მოქმედება, აქედან საკონსულო დაცვით ისარგებლა 6,1 ათასმა მოქალაქემ;
- გაწეულ იქნა სხვადასხვა სახის საკონსულო დახმარება, მათ შორის: ადგილსამყოფელი სახელმწიფოების სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მონახულება, სასამართლო პროცესებზე დასწრება, გარდაცვლილთა გადმოსვენების პროცესის ორგანიზება, დახმარება გაეწია 36 მეზღვაურს, რაც ძირითადად გამოიხატა წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების მიზნით გემთმფლობელ კომპანიებთან, ადგილობრივ უწყებებთან და „ტრანსპორტის მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის (ITF) წარმომადგენლებთან მუშაობაში/თანამშრომლობაში.
- გაიხსნა საქართველოს საელჩო მალაიზიაში და საქართველოს გენერალური საკონსულოები ქ. ფრანქფურტსა და ქ. განჯაში ასევე, გაიზარდა საქართველოს საელჩოების გადაფარვის არეალი, დაიწყო პროცედურები აშშ-ში საქართველოს საელჩოს შენობის შესყიდვასთან დაკავშირებით;

- დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები სეიშელის, ვანუატუს და კამერუნის რესპუბლიკებთან, ლესოტოს სამეფოსთან, დიპლომატიური ურთიერთობები ამჟამად არსებობს 179 სახელმწიფოსთან;
- ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა 30 ხელშეკრულებას, ხოლო ძალაში შევიდა 52 ხელშეკრულება;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს არაერთი მხარადამჭერი განცხადებება/რეზოლუცია;
- სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საბჭოს/კომიტეტის წევრობა;
- მრავალი სხვადასხვა რანგის ვიზიტი, მათ შორის უმაღლესი და მაღალი რანგის ვიზიტები;
- ვილნიუსის სამიტზე მიღებული ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებს მნიშვნელოვან პერსპექტივებს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შემდგომი განვითარებისთვის;
- პოლიტიკური კონსულტაციებისა და ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის სხდომების რაოდენობა;
- ხელმოწერილი და ძალაში შესული ორმხირივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები.

9.1.2. საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგი:

- საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება საერთაშორისო არენაზე; პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მიღება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მიღებულ იქნა ქვეყნისათვის მხარდამჭერი რეზოლუციები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელდა ფინანსური კონტრიბუცია 16 საერთაშორისო ორგანიზაციაში, ასევე, ამ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ სხვადასხვა კონვენციაში, კომისიაში, ჯგუფში, კომიტეტში, ფონდში, ტრიბუნალში, სამშვიდობო ოპერაციასა (UN Peacekeeping Operations) და სხვა ღონისძიებაში.

9.1.3. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თარგმნის ბიურო

დასახული შუალედური შედეგი:

- დოკუმენტების თარგმნის ხარისხის გაუმჯობესება, სხვადასხვა ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოფხვრა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ხარისხიანი ნათარგმნი დოკუმენტაციით უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით შესრულდა საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა-დამოწმება, სულ 6.2 ათას გვერდზე მეტი.

10. პრიორიტეტი – სოფლის მეურნეობა

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
37 01	სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	191,588.9	191,588.9	174,904.8	174,904.8	
37 03	მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	35,872.7	35,672.7	35,840.4	35,537.4	303.0
37 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	15,438.4	14,238.4	19,686.4	16,987.4	2,699.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		**242,900.0**	**241,500.0**	**230,431.7**	**227,429.7**	**3,002.0**

10.1 სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 37 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული საბოლოო შედეგები:

- დამუშავებული ფართობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა;
- თანამედროვე მაღალეფექტური და ენერგოდამზოგავი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარება;
- ფერმერთა ცოდნის დონის ამაღლება;
- სარწყავი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს ცნობადობის ზრდა;
- სასათბურე მეურნეობის განვითარება;
- ლიზინგის სისტემის განვითარება და ამ გზით სოფლის მეურნეობის სექტორში თანამედროვე ტექნიკის რაოდენობის ზრდა;
- მარცვლეულის წარმოების ზრდა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- შეძენილ იქნა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რითაც შესაძლებელი გახდა თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსაყვანად საჭირო ტექნოლოგიური ციკლის მომსახურება.
- დაწყებულია ხორბლის წარმოების პროექტი;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოეწყო ხილის ბაღები და სასათბურე მეურნეობები;
- განხორციელდა მექანიზატორების გადამზადების პროგრამა;
- განხორციელებული სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის ღონისძიებების შედეგად გაიზარდა გასარწყავებული ფართობის მაჩვენებელი.
- განხორციელებული გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაციას მსოფლიო ბაზარზე.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შეძენილ იქნა 5 595 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა, რაც 2.3-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს;
- საანგარიშო პერიოდში და გასულ წლებში შეძენილი ტექნიკით დაიხნა 106 700 ჰა, დაიდისკა 86 600 ჰა, დაითესა 29 300 ჰა, მოსავალი აღებულ იქნა 29 700 ჰა-ზე;
- მოეწყო ხილის 2 ახალი ბაღი 6,5 ჰა-ზე.
- მექანიზატორების გადამზადების შედეგად დასაქმდა 300-მდე ადამიანი.
- შესყიდულია სამელიორაციო დანიშნულების 63 ერთეული ტექნიკა.
- ექსპლუატაციაში შევიდა 21 725 ჰა სარწყავი და 5 584 ჰა დაშრობილი ფართობი, მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებით შესაძლებელი იქნება დამატებით 26 558 ჰა სარწყავი და 4 959 ჰა დაშრობილი ფართობის ექსპლუატაციაში შეყვანა.
- მოეწყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის სამი გამოფენა-დეგუსტაცია;
- ლიზინგის სისტემის მეშვეობით დაფინანსდა 4 მეწარმე.

10.1.3. სასოფლო სამეურნეო ტექნიკის განახლება (პროგრამული კოდი 37 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგები:

- ქვეყანაში თანამედროვე მაღალეფექტური და ენერგოდამზოგი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- წლის განმავლობაში შეძენილ იქნა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა;
- შესაძლებელი გახდა თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსაყვანად საჭირო ტექნოლოგიური ციკლის მომსახურება;
- ტექნიკა უფრო ხელმისაწვდომი გახდა ფერმერებისთვის მისი რაოდენობის ზრდიდან გამომდინარე;
- წინა წელთან შედარებით გაიზარდა დამუშავებული მიწის ფართობი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შეძენილ იქნა 5 595 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა, რაც 2.3-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს;
- საანგარიშო პერიოდში და გასულ წლებში შეძენილი ტექნიკით დაიხნა 106 700 ჰა, დაიდისკა 86 600 ჰა, დაითესა 29 300 ჰა, მოსავალი აღებულ იქნა 29 700 ჰა-ზე;

10.1.4. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია (პროგრამული კოდი 37 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგები:

- მარცვლეულის, ხილის და ბოსტნეულის წარმოების ზრდა;
- ხორცის წარმოების ზრდა;
- სასათბურე მეურნეობების განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- დაწყებულია ხორბლის წარმოების პროექტი;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოწყობილია ხილის ბაღები;
- მოეწყო სასათბურე მეურნეობები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გამოყვანილ იქნა 3.7 მლნ-მდე ჩითილი.
- მოეწყო ხილის 2 ახალი ბაღი 6.5 ჰა-ზე.

10.1.5. სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგები:

- წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება;
- სარწყავი ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- 2013 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 35 ობიექტზე, 29 ობიექტზე მიმდინარეობდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება განაპირობებს წყლის რესურსების ეფექტურ და ეკონომიურ გამოყენებას და გასარწყავებული ფართობების ზრდას.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპლუატაციაში შევიდა 21 725 ჰა სარწყავი და 5 584 ჰა დაშრობილი ფართობი, ხოლო 2013 წელს პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებით შესაძლებელი

იქნება 26 558 ჰა სარწყავი და 4 959 ჰა დაშრობილი ფართობის ექსპლუატაციაში შეყვანა;
- შესყიდულია 63 ერთეული სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკა.

10.1.6. ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი
- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგი:
- მსოფლიო ბაზარზე ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს ცნობადობის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგი:
- გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებებით ხელი შეეწყო ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაციას მსოფლიო ბაზარზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორი:
- მოეწყო სამი გამოფენა-დეგუსტაცია, მათ შორის ერთი ქ.ბერლინში.

10.1.8. აგროსექტორის განვითარება/ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 37 01 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი
- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგები:
- აგროსესხებზე ხელმისაწვდომობის ზრდა;
- სოფლად გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

მიღწეული შუალედური შედეგები:
- განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად გაუმჯობესებულია სარწყავი წყლის მიწოდება 5 035 ჰა ფართობზე;
- ლიზინგის სისტემით დაფინანსებულია ოთხი პროექტი;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:
- სოფლად განხორციელებული 3 ინფრასტრუქტურული პროექტი.
- ლიზინგის სისტემის მეშვეობით დაფინანსებული 4 მეწარმე.

10.2. მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 37 03)

პროგრამის განმახორციელებელი
- ✓ სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტო“

დასახული საბოლოო შედეგები:
- ქართული ღვინოების პოპულარიზაცია და ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისება;

- მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან;
- მევენახეობის დარგის განვითარება და დარგში კვლავწარმოების განვითარება;
- ყურძნის მოსავლის სრულად დაბინავება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ღვინოპროდუქციის მწარმოებელი ქართული კომპანიების მიერ ათვისებული იქნა ახალი ბაზრები, გაიზარდა საექსპორტო მიწოდება.
- სრულად დაბინავდა ყურძნის მოსავალი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წინა წელთან შედარებით ექსპორტი გაიზარდა 23 400,0 ათასი ბოთლით.
- მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების გამოფენა მსოფლიოს 9 ქვეყანაში.
- პროგრამის ფარგლებში ღვინის კომპანიების მიერ მიღებული და გადამუშავებულია 89,8 ათას ტონამდე ყურძენი. მათ შორის: რქაწითელი - 62.0 ათასი ტონა, საფერავი - 25,8 ათასი ტონა, კახური მწვანე - 2,0 ათასი ტონა;

10.2.2. ღვინის ლაბორატორიული კვლევა (პროგრამული კოდი 37 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის ექსპორტის აღკვეთა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ყველა აღებული ნიმუში შეესაბამებოდა ნორმატიული აქტით დადგენილ ნორმებს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აღებულ იქნა 74 ნიმუში 10 სხვადასხვა კომპანიიდან.

10.2.3. ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ღვინოპროდუქციის მწარმოებელი ქართული კომპანიების მიერ ახალი ბაზრების ათვისება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ღვინოპროდუქციის მწარმოებელი ქართული კომპანიების მიერ ათვისებული იქნა ახალი ბაზრები;
- გაიზარდა საექსპორტო მიწოდება წინა წელთან შედარებით, კერძოდ, უკრაინაში 7%-ით, ყაზახეთში 1%-ით, ბელარუსიაში 2%-ით, პოლონეთში - 12%-ით, ინგლისში 61 %-ით, ლიტვაში 3%-ით, ჰონკონგში - 16%-ით, ნიდერლანდებში 17 %-ით;

- რუსეთის მიერ ემბარგოს ოფიციალური მოხსნის შემდეგ, 95-მა ქართულმა საწარმომ გაიარა შემოწმების პროცედურა. 39-მა კომპანიამ რუსეთის ბაზარზე 22 997.2 ათასი ბოთლი ღვინისა და 1 804.2 ათასი ბოთლი ბრენდის ექსპორტი განახორციელა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წინა წელთან შედარებით ექსპორტი გაიზარდა 23 400,0 ათასი ბოთლით.
- მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების გამოფენა მსოფლიოს 9 ქვეყანაში

10.2.5. რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 03 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ყურძნის მოსავლის სრულად დაბინავება;
- მევენახეობის დარგში დასაქმებული ფიზიკური პირების შემოსავლების ზრდა და დარგში კვლავწარმოების განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- ღვინის კომპანიების მიერ მიღებული და გადამუშავებულია 89.8 ათას ტონამდე ყურძენი, მათ შორის რქაწითელი - 62.0 ათასი ტონა, საფერავი - 25.8 ათასი ტონა, კახური მწვანე - 2.0 ათასი ტონა.
- უზრუნველყოფილ იქნა ყურძნის მოსავლის სრულად დაბინავება.
- გაიზარდა მევენახეობის დარგში დასაქმებული პირების შემოსავალი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მევენახეობის სფეროში დასაქმებულ ფიზიკურ პირებს აუნაზღაურდა 1 კგ რქაწითელზე - 0.40 ლარი, 1 კგ კახურ მწვანეზე - 0.40 ლარი და 1 კგ საფერავზე 0.25 ლარი.
- სრულად დაბინავდა 2013 წლის ყურძნის მოსავალი;

10.3. სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი 37 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სურსათის ეროვნული სააგენტო“;
- ✓ სსიპ - „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“

დასახული საბოლოო შედეგები:

- სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის შემცირება;
- განსაკუთრებით საშიში დაავადების ერადიკაცია და მასზე კონტროლი;
- მეცხოველეობის დარგის განვითარება და ქვეყნის ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნება;
- განსაკუთრებით საშიში მავნებლებისგან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა და ბაზარზე ხარისხიანი პესტიციდების/აგროქიმიკატების განთავსება;

- ლაბორატორიაში საკვლევად წარმოდგენილი ვარგისი ნიმუშების ოპტიმალურ ვადაში სწორი ტესტირება, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ამა თუ იმ დაავადებების პროფილაქტიკა და გამოვლენის შემთხვევაში ლოკალიზება-ლიკვიდაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გატარებული ღონისძიებებით მიღწეულ იქნა მავნე სურსათის რეალიზაციის შემცირება სამომხმარებლო ბაზარზე.
- პროფილაქტიკის მიზნით ჩატარებული ვაქცინაციისა და ინფექციის კერებში გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში მიღწეულია სტაბილური ეპიზოოტიური სიტუაცია.
- მავნებლის გავრცელების კერებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, დამუშავებულ ფართობებზე შენარჩუნდა მოსავალი და მწვანე საფარი, ფიტოსანიტარიული მონიტორინგის შედეგად დროულად განისაზღვრა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ვადები და ჩატარების ადგილები, ბაზარზე განთავსებული ქიმიკატების ხარისხი ნორმის ფარგლებშია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- უფლებამოსილი პირების მიერ 2013 წელს აღებული იქნა სურსათის (მ.შ. სასმელი წყლის) 822 ნიმუში/სინჯი.
- წლის განმავლობაში განხორციელდა 939 ბიზნეს-ოპერატორის ინსპექტირება.
- თურქულის დაავადებაზე პროფილაქტიკური მიზნით ვაქცინირებულია დაახლოებით 1 528 474 სული მსხვილფეხა და 851 076 სული წვრილფეხა პირუტყვი.
- ჯილეხზე პროფილაქტიკის მიზნით ვაქცინირებულია 199 633 სული მსხვილფეხა, 101 606 წვრილფეხა პირუტყვი და 1 805 კენტჩლიქიანი ცხოველი. იძულებითი პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარდა 35 928 სულ ჯილეხის ამთვისებელ ცხოველს.
- ცოფზე პროფილაქტიკური მიზნით ვაქცინირებულია 124 202 სული შინაური ხორცისმჭამელი ცხოველი (ძაღლი, კატა). დაავადების კერებში იძულებით ვაქცინაცია ჩაუტარდა 36 541 სულ ცოფის ამთვისებელ ცხოველს.
- იდენტიფიკაცია ჩაუტარდა 161 995 მსხვილფეხა პირუტყვს.
- ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების ფართობმა შეადგინა 100,4 ჰა.
- კალიების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების ფართობია 23 621 ჰა; ღონისძიებების ბიოლოგიურმა ეფექტმა შეადგინა 80-85%
- ლაბორატორიული კვლევა განხორციელდა ყველა წარმოდგენილ ვარგის ნიმუშზე (სულ 34 363 ნიმუშზე).

10.3.2. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი (პროგრამული კოდი 37 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სურსათის ეროვნული სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის შემცირება/აღკვეთა და მოსახლეობის კვებითი მოწამვლის შემთხვევების შემცირება;
- სურსათის მწარმოებელ საწარმოთა უვნებლობის სისტემის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- შესყიდული და გამოკვლეული იქნა სხვადასხვა დასახელების სურსათის 822 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 202 ნიმუშში, რაზეც განხორციელდა კანონმდებლობით განსაზღვრული ქმედებები;
- დოკუმენტური შემოწმებისას 849 შემთხვევაში გამოვლინდა ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტი. სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ განადგურებული იქნა: ხორცი და ხორცპროდუქტები - 13 ტონამდე (მათ შორის 5 ტ.-ზე მეტი ცხენის ხორცი), მყარი სურსათი - 257 ტონამდე, თხევადი სურსათი - 2.3 მლნ ლ, სასურსათო კვერცხი - 1 მლნ ცალზე მეტი.
- განხორციელდა გეგმიური ინსპექტირება 710 ბიზნეს-ოპერატორთან, ხოლო არაგეგმიური - 229 ბიზნეს-ოპერატორთან.
- ბიზნეს-ოპერატორთა ინსპექტირების პროცესში გამოვლინდა 112 კრიტიკული და 7 658 არაკრიტიკული შეუსაბამობა.
- სულ 2013 წლის განმავლობაში დაჯარიმდა 303 ბიზნეს-ოპერატორი. ჯარიმის თანხამ შეადგინა 156,4 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ინსპექტირებული 710 ბიზნეს-ოპერატორი (გასულ წელზე 289-ით მეტი);
- ჩატარებული 822 სურსათის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა (გასულ წელზე 394 ნიმუშით მეტი).

10.3.3. ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი 37 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სურსათის ეროვნული სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნება;
- დაავადებებზე ზედამხედველობის გაძლიერება;
- ცხოველთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მიკვლევადობის განხორციელება;
- ცხოველების ექსპორტის გეოგრაფიული არეალის ზრდა;
- ეკონომიკური ზიანის მინიმიზირება;
- სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების განთავსება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- პროფილაქტიკის მიზნით ჩატარებული ვაქცინაციისა და ინფექციის კერებში გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში მიღწეულია სტაბილური ეპიზოოტიური მდგომარეობა, რაც ხელს უწყობს ცხოველთა ექსპორტის ზრდას და უზრუნველყოფს ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქციის განთავსებას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- თურქულის დაავადებაზე პროფილაქტიკური მიზნით ვაქცინირებული 1 528 474 სული მსხვილფეხა და 851 076 სული წვრილფეხა პირუტყვი, რაც შესაბამისად 1.6 და 4.3-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.
- ჯილეხზე პროფილაქტიკის მიზნით ვაქცინირებულია 199 633 სული მსხვილფეხა, 101 606 წვრილფეხა პირუტყვი და 1 805 კენტჩლიქიანი ცხოველი.
- ჯილეხის იძულებითი პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარდა 35 928 სულ ჯილეხის ამთვისებელ ცხოველს.
- ცოფზე პროფილაქტიკური მიზნით ვაქცინირებულია 124 202 სული შინაური ხორცისმჭამელი ცხოველი (ძაღლი, კატა). დაავადების კერებში იძულებით ვაქცინაცია ჩაუტარდა 36 541 სულ ცოფის ამთვისებელ ცხოველს, რაც წინა წლის მაჩვენებელს 3 534 ერთეულით აღემატება;
- იდენტიფიკაცია ჩაუტარდა 161 995 მსხვილფეხა პირუტყვს.

10.3.4. მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი 37 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სურსათის ეროვნული სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი:

- მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარების შედეგად სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მოსავლის დაცვა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- მავნებლის გავრცელების კერებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, დამუშავებულ ფართობებზე შენარჩუნდა მოსავალი და მწვანე საფარი;
- ფიტოსანიტარიული მონიტორინგის შედეგად დროულად განისაზღვრა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ვადები და ჩატარების ადგილები;
- ფიტოსანიტარული მონიტორინგის გატარების შედეგად გამოვლინდა საკარანტინო და საქართველოში არარეგისტრირებული მავნე ორგანიზმები: კარტოფილის კიბო და კარტოფილის მურა სიდამპლე აჭარაში (ხულო).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები 100,4 ჰა-ზე;
- კალიების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები - 23 621 ჰა-ზე;
- ღონისძიებების ბიოლოგიურმა ეფექტმა შეადგინა 80-85%.

10.3.5. კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა (პროგრამული კოდი 37 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“

დასახული შუალედური შედეგი:

- ლაბორატორიაში საკვლევად წარმოდგენილი ვარგისი ნიმუშების ოპტიმალურ ვადაში სწორი ტესტირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სხვადასხვა გამოკვლეულ ნიმუშებში გამოვლინდა ცოფის 103 შემთხვევა, პარამიქსოვირუსების (ნიუკასლი) -18; ჯილეხის- 39; ბრუცელოზის - 974; კოლიბაქტერიოზის - 15; სალმონელოზი - 17; პასტერელოზის - 31; ემკარი - 3; ენტეროტოქსემია - 4; ბრადზოტი - 2; ღორის დიზინტერია - 1, სტაფილოკოკი - 108;
- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევებით აღმოჩენილია თუთიის ფოსფიდი 6 პათოლოგიურ მასალაში, პათანატომიური დიაგნოზით გაცემულია პასუხი 604-დან 140 შემთხვევაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- განხორციელდა ლაბორატორიული კვლევა ყველა წარმოდგენილ ვარგის ნიმუშზე (34 363 ნიმუში).

11. პრიორიტეტი – სასამართლო სისტემა

პროგრ ამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	37,205.6	37,205.6	36,819.2	36,533.8	285.4
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	5,545.0	5,545.0	5,224.0	5,224.0	
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	15,000.0	5,000.0	21,363.4	3,500.0	17,863.4
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	2,615.0	2,615.0	2,559.5	2,559.5	
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	1,495.0	1,495.0	1,473.0	1,473.0	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		**61,860.6**	**51,860.6**	**67,439.0**	**49,290.2**	**18,148.8**

11.1. საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 09 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

დასახული საბოლოო შედეგები:

- მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა;
- საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება;
- საქმისწარმოების გაუმჯობესება;
- საზოგადოებისათვის სასამართლო რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოსამართლეები და აპარატის თანამშრომლები სრულად იქნენ უზრუნველყოფილნი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით;
- განხორციელდა საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საქონელითა და მომსახურებით უზრუნველყოფა;
- დასრულდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით სასამართლო პროცესის ჩატარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- დასრულდა საქმისწარმოების პროგრამაში ახალი სისხლის სამართლის, საგამოძიებო მოქმედებების და აღმკვეთი ღონისძიებების მოდულების დამატება. დასრულდა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის შექმნა;
- განხორციელდა საზოგადოებისათვის სასამართლო რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა პროცენტული რაოდენობა, ვინც სრულად იქნა უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით - 100%;
- მოდერნიზებული და შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი სასამართლო შენობების რაოდენობა - 68;
- ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიტატების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც სრულად აუნაზღაურდათ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები - 100%, 24 ნაფიცი მსაჯული;
- სასამართლოთა რაოდენობა, სადაც ამოქმედებულია საქმის მართვის წარმოების კომპიუტერული პროგრამა - 67;
- ერთიან კომპიუტერულ სისტემაში ჩართული სასამართლოების რაოდენობა - 69;
- მიმდინარე რეფორმებისა და საკანონმდებლო სიახლეების შესახებ მომზადებული სარეკლამო რგოლების/კლიპების/საგაზეთო პუბლიკაციების რაოდენობა: საგაზეთო პუბლიკაციები - 60 000 სმ^2, რადიოგადაცემა - 18;

11.2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (პროგრამული კოდი 10 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქმისწარმოების წესის დახვეწა და გაუმჯობესება, საპროცესო ვადების ავტომატურ რეჟიმში კონტროლი;
- მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

მიღწეულული საბოლოო შედეგები:

- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა;
- სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის ამოქმედება.
- მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესის ამოქმედება.

12. პრიორიტეტი – გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		2013 წლის საკასო შესრულება		
		მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მთლიანი დაფინანსება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები
38 03	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	11,296.8	10,296.8	6,451.6	5,673.4	778.2
38 02	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	5,719.9	5,719.9	5,517.2	5,517.2	
36 02	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	4,800.0	4,800.0	3,924.8	3,924.8	
36 01	ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	10,770.9	10,770.9	9,523.8	9,523.8	
38 01	გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა	4,975.5	4,975.5	4,619.0	4,619.0	
38 04	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია	4,919.0	3,219.0	4,889.8	3,354.1	1,535.7
38 05	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	4,764.8	1,264.8	8,007.5	826.5	7,181.0
38 07	გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	283.5	283.5	372.4	369.1	3.3
38 06	სანერგე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	215.5	215.5	474.1	242.1	232.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		**47,745.9**	**41,545.9**	**43,780.0**	**34,049.8**	**9,730.2**

12.1. დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა, ბუნებრივი წარმონაქმნების შენარჩუნება;
- ეკოტურიზმის განვითარება და დაცულ ტერიტორიებში ტურისტული ნაკადების მოცულობის ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვისა და აღდგენის გატარებული ღონისძიებები;
- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის განხორციელებული დაცვის ზომები;
- სრულყოფილი ინფორმაციის არსებობა დაცულ ტერიტორიებზე არსებული ძირითადი სახეობების, მათ შორის „წითელ ნუსხაში“ შეტანილი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველთა და მცენარეთა რიცხოვნობისა და მდგომარეობის შესახებ;
- შეძენილი საჭირო აღჭურვილობა დაცულ ტერიტორიებზე ხანძრების სწრაფი პრევენციისათვის.
- დაცული ტერიტორიების უკეთ მოწყობილი ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ეკოდერეფნებით ერთმანეთთან დაკავშირებული დაცული ტერიტორიები;
- საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გადაშენებული სახეობების რეინტროდუქციის (სახეობების აღდგენა ისტორიულ არეალებში) გზით ჯანსაღი პოპულაციების რიცხოვნობის გაზრდილი რაოდენობა (ნიამორი/ჯეირანი);
- ეკოტურიზმის სფეროში და დაცულ ტერიტორიებში ტურისტებისათვის მიწოდებული სერვისების რაოდენობა (2 ახალი სერვისი);
- დაცულ ტერიტორიებზე ტურისტებისა და ვიზიტორთა 30%-ით მომატება;
- მავნებლებთან ეფექტური ბრძოლისათვის განხორციელებული ღონისძიებები (შეძენილია 1 832 ერთეული მწერსაჭერი ხაფანგი);
- დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული პათოლოგიური კვლევები, შეძენილი შესაბამისი ქიმიური პრეპარატები.

12.1.2. პროგრამა „დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 38 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა;
- საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა;
- უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების დაცვა, ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- დაცულ ტერიტორიებზე პათოლოგიური კვლევების ჩატარება, დაზიანებული ფართობების დადგენა და შესაბამისი ქიმიური პრეპარატების შეძენა, დაცული ტერიტორიებზე ხანძრების სწრაფი პრევენციისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- შეძენილ იქნა 1 832 ერთეული მწერსაჭერი ხაფანგი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მავნებლებით დაზიანებულ კერებზე მავნებლების ინტენსივობისა და ხმელი ხეების შემცირებული რაოდენობა;

12.1.3. ეკოტურიზმის განვითარება (პროგრამული კოდი 38 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- ტურისტებისა და ვიზიტორთა რაოდენობის მატება;
- დაცული ტერიტორიების შესახებ საზოგადოების ინფორმირების ზრდა, დაცული ტერიტორიების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით ჟურნალებში - „National Geographic“, ფოკუსი და „Georgian“, კინოთეატრებში - ამირანი და რუსთაველი, რადიო საქართველოში და ტელეკომპანია რუსთავი 2-ში განთავსდა საქართველოს დაცული ტერიტორიების რეკლამა;
  - ✓ ჩატარდა ფოტო და ველოტური ლაგოდეხისა და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე მედიის წარმომადგენლებისათვის;
  - ✓ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ მიიღო მონაწილეობა მე-15 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში (Caucasus Tourism Fair 2013), და ბათუმის ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაში;
  - ✓ საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით დაიბეჭდა დაცული ტერიტორიების ტურისტული რუკები, 2014 წლის კალენდრები, დამზადდა CD დაცული ტერიტორიების სააგენტოს ლოგოთი;

- ✓ გაფართოვდა დაცულ ტერიტორიებზე ტურისტებისა და ვიზიტორებისათვის მიწოდებული სერვისების სახეობები, განახლდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირდა 320 886 ვიზიტორი, რაც 2012 წლის მაჩვენებელს თითქმის 22 000-ით აღემატება.
- ახალი ეკო-ტურისტული სერვისების დანერგვის შედეგად დაცული ტერიტორიების საკუთარი შემოსავლები 2012 წელთან შედარებით 30,4%-ით გაიზარდა.
- დაცულ ტერიტორიებზე ტურისტებისა და ვიზიტორებისათვის დაინერგა ტურისტული მომსახურების 2 ახალი სერვისი (ვიზიტორების ტოიოტა საფარის ტიპის ავტომობილით გასეირნება და თოვლის ფეხსაცმელების გაქირავება).

12.1.4. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 38 03 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტურობის ზრდა და ვიზიტორებისათვის გაუმჯობესებული მომსახურების შეთავაზება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- შესყიდულია 2 ერთეული პიკაპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტომანქანა და 1 ერთეული ავტობუსი;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესებული ხარისხი.

12.1.5. ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 38 03 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- კანიონში ვიზიტორების მოზიდვა;
- იმერეთის რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- მიმდინარეობდა და გრძელდება ტურისტული ინფრასტრუქტურის (ვიზიტორთა ცენტრი, ვანტური ბილიკი, საფეხმავლო ბილიკი, გამშვები პუნქტი და სხვა) ობიექტების მშენებლობა/მონტაჟის პროცესი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებარე ობიექტები.

12.1.6. ბუნების დაცვის პროგრამა „სამხრეთი კავკასია–საქართველო–ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში“(KfW) (პროგრამული კოდი 38 03 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- მენეჯმენტის გეგმის შემუშავება;
- ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე ადმინისტრაციული და ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა;
- ჯავახეთის დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონის განვითარების ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- წარმატებით მიმდინარეობდა ტურიზმისა და მეფუტკრეობის განვითარების პროექტები;
- მოხდა შეთანხმება პროექტის გახანგრძლივებაზე, შეთანხმდა საოპერაციო გეგმა და ბიუჯეტი;
- დასრულდა ხანჩალის ტბის რეაბილიტაციის ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური შეფასებები;
- დაიწყო მეფუტკრეთა ასოციაციის შენობის რემონტი, შეძენილ იქნა მეფუტკრეობისათვის საჭირო ყველა აღჭურვილობა და გადაეცა მეწარმეებს;
- პროექტის ბენეფიციარი სამი ჯგუფისათვის ჩატარდა ქართული და ინგლისური ენის სასწავლო კურსი;
- ყველა სოფელში დასრულდა სასმელი წყლის ხარისხის ანალიზი და დამზადდა თითოეული სოფლის ტოპოგრაფიული რუკა;
- გარემონტდა დამხმარე ზონის სოფლების საოჯახო სასტუმროები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დამტკიცებული და შემუშავებული ჯავახეთის მენეჯმენტის გეგმა;
- დასრულებული ადმინისტრაციული და ტურისტული ინფრასტრუქტურა;
- განხორციელებული დამხმარე ზონის განვითარების პროგრამები.

12.1.7. დაცული ტერიტორიების განვითარება (CPAF) (პროგრამული კოდი 38 03 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება;
- დაცული ტერიტორიების საკუთარი შემოსავლების ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- შეძენილ იქნა 8 ერთეული მაღალი გამავლობის მანქანა;
- გაფორმდა ხელშეკრულება ვაშლოვანის ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოებზე;

- ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისათვის შეძენილ იქნა სამეურნეო ინვენტარი;
- ვარაზისხევის ბილბორდზე განთავსდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების, თუშეთის ეროვნული პარკის და მტირალას ეროვნული პარკის სარეკლამო ბანერები, დაიბეჭდა დაცული ტერიტორიების სარეკლამო სტიკერები ქალაქში განთავსებული ბანერებისათვის.
- შეძენილ იქნა კომპიუტერები პერსონალური და ლეპტოპები დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისათვის;
- თუშეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ჩატარდა არსებული ინფრასტრუქტურის რემონტი;
- გაფორმდა ხელშეკრულებები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის სარემონტო სამუშაოებზე;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კავკასიის დაცული ტერიტორიების მიზნობრივ ფონდში შექმნილი განლევადი ფონდიდან (APA/PAs Sinking Fund) დაფინანსებული ღონისძიებების რაოდენობა (ხორციელდება 4 პროექტი);
- მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელთა გაზრდილი რაოდენობა (გადამზადდა ცენტრალური აპარატის და ტერიტორიული ორგანოების მენეჯერები).

12.1.8. დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველო (ეკორეგიონული პროგრამა საქართველო, ფაზა III) (KfW) (პროგრამული კოდი 38 03 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- გეგმარებითი დოკუმენტების შემუშავება შერჩეული დაცული ტერიტორიებისა და მიმდებარე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- შერჩეული დაცული ტერიტორიების კანონით დარსება და განვითარება/მართვა;
- შერჩეული დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი თემების მიერ დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის განხორციელებული ინვესტიციებით სარგებლობა;
- დაცული ტერიტორიების ეროვნული სისტემის გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- დაცული ტერიტორიების მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ხელმოწერილია განსაკუთრებული შეთანხმება;
- სატენდერო პირობების შესაბამისად შეირჩა განმახორციელებელი, რომელთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება ხელშეკრულების გაფორმებაზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შერჩეული დაცული ტერიტორიებისათვის შემუშავებული მენეჯმენტის გეგმები;
- ადგილობრივი მოსახლეობის გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური პირობები;

- შერჩეული დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესებული ხარისხი კონკრეტული ინდიკატორების მიხედვით;
- ადგილობრივი მოსახლეობის პროცესში თანამონაწილეობის ზრდა 10%-ით.

12.2. გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 38 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დასახული შუალედური შედეგები:

- გარემოსდაცვითი კონტროლისა და ზედამხედველობის ეფექტური სისტემის შექმნა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის მიზნით მომზადდა კანონქვემდებარე და სამართლებრივი აქტები;
- სახელმწიფო კონტროლის საშუალოვადიანი სტრატეგიისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის შემუშავების მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად 2014-2016 წლებისთვის, რომელიც დამტკიცდება 2014 წელს;
- წლიური გეგმისა და შემოწმების პრიორიტეტების დადგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად გეგმიური შემოწმებების განხორციელების მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა შემოწმების პრიორიტეტების დადგენის მეთოდოლოგიის შესამუშავებლად;
- ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების, გარემოს დაბინძურების ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის, ასევე ორგანიზაციათა მომართვებზე, მოქალაქეთა საჩივრებზე და შეტყობინებებზე რეაგირების მიზნით დაწესდა 24-საათიანი პატრულირება „ცხელ წერტილებში“ (ხე-ტყის, თევზის, ნადირ-ფრინველის, წიაღისეულის მოპოვების ადგილებსა და მისასვლელ გზებთან), დაიხვეწა პატრულირების სქემა – სწრაფი რეაგირების საპატრულო ჯგუფების როტაციული პრინციპით მოძრაობა სამოქმედო რეგიონის მთელ ტერიტორიაზე, ხორციელდებოდა არაგეგმიური შემოწმებები;
- ელექტრონული საინფორმაციო სისტემის შექმნის მიზნით შემუშავდა რეგულირების ობიექტების (სახერხი საამქროებისა და ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელების) ინფორმირების ელექტრონული სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის სამუშაოები (ავტომატური შეტყობინებები - ელექტრონულ ფოსტაზე). მიმდინარეობს მუშაობა სატელეფონო (მესიჯების) ავტომატური სისტემის შექმნისათვის;
- ამოქმედდა შიდა საინფორმაციო სისტემა - ელექტრონული ბაზა „ინსპექტორი”, რომლის მიზანია გააუმჯობესოს რეგულირების ობიექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ტექნიკური შესაძლებლობები. მიმდინარეობს მისი სრულყოფა და რეგულირების ობიექტების შესახებ ინფორმაციის განახლება;
- დეპარტამენტის თანამშრომელთა უწყვეტი სწავლება-კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით უცხოელი პარტნიორების დახმარებით სხვადასხვა საკითხებზე სწავლება გაიარეს დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

- ჩატარდა სემინარი ინსპექტორებისთვის - დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა წლიური გაფრქვევების ფაქტობრივი მაჩვენებლებისა და ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებისგან დაცვის საკითხებზე;
- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან თანამშრომლობით შემუშავდა პროგრამა, რომლის საფუძველზეც 2014 წელს განხორციელდება სწავლება დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსისა და ინსპექტირების საკითხებზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 24-საათიანი ცხელი ხაზი (153), 24-საათიანი პატრულირება „ცხელ წერტილებში“ (ხე-ტყის, თევზის, ნადირ-ფრინველის, წიაღისეულის მოპოვების ადგილებსა და მისასვლელ გზებთან);
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების რაოდენობა. (2013 წელს გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 3 128 ფაქტი, მათ შორის: ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - 3 007 ფაქტი; სისხლის სამართლის ნიშნების მქონე - 121 ფაქტი. მიმდინარე მონაცემებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 1.7 მლნ ლარი. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა 6.7 მლნ ლარი);

12.3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 36 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ზამთრის პერიოდში ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ზამთრის პერიოდში ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ზამთრის პერიოდში ბუნებრივი აირით მომარგებული იქნა 2 600 აბონენტი.

12.4. ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 36 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

12.4.1. ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი (პროგრამული კოდი 36 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის დონის ამაღლება. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.
- ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარების ხელშეწყობა ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით.
- ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.
- ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით.
- ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შფასების ინდიკატორები:

- ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონე. ახალი ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობა. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობა.

12.4.3. ელექტროგადამცემი ხაზებისა და გამანაწილებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა (პროგრამული კოდი 36 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყანაში ყველა სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერგიით;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სოფლები: გრძელველი, ზედა ქსოვრისი, გოსტიბე, ჭიაურა, ღართა, უტყისუბანი, ზემო ლეთეთი მოსახლეობა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, ხოლო სოფელი ბევრეთის ელექტროფიცირება დასრულების სტადიაშია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სოფლებში მოსახლეობის ყოფიერების ამაღლება, ადგილობრივი მოსახლეობის ადგილზე დამაგრება, სოფლის გაძლიერება.

12.5. გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 38 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება სახელმწიფოს ერთიან ხედვასა და სტრატეგიასთან შესაბამისობაში;
- გარემოსდაცვითი მოთხოვნების უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;
- გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფის მიზნით გაძლიერდა გარემოსდაცვითი კონტროლი;
- დაიხვეწა გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზა;
- შემუშავდა სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები ტყის რესურსებისა და ბიომრავალფეროვების დაცვის, ნარჩენების მართვის, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და კატასტროფების რისკის შემცირების მიმართულებით;
- განხორციელდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, რათა დაცული იქნას ადამიანის კონსტიტუციური უფლება იცხოვროს ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოში;
- ჩატარდა საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების აღრიცხვა, მომზადდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები;
- გარემოსდაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმათა გათვალისწინებით მომზადდა დასაბუთებული საექსპერტო დასკვნები;
- ჩატარდა ღონისძიებები გარემოსდაცვითი საკითხებისა და სამინისტროს საქმიანობის პოპულარიზაციის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მოსახლეობის ჩართულობის გაუმჯობესების კუთხით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები;
- ახალი კანონპროექტები, სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები;
- კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვები (68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მათ შორის 34 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა);
- საქმიანობის შესწავლის საფუძველზე მიღებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის თანახმად შენარჩუნებული გარემოს ეკოლოგიური წონასწორობა.
- საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ცხოველთა შერჩეული 5 სახეობის რაოდენობრივი შეფასება ქვეყნის მასშტაბით;

12.5.2. ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 38 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგი:

- გარემოსდაცვითი მოთხოვნების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინების საფუძველზე გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- დეპარტამენტის მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზა ჩაუტარდა და გაიცა დასკვნები ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ შემდეგ საქმიანობებზე: კერძოდ: ასფალტის წარმოება (11), ცემენტის წარმოება (6), ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა (6), გაჯის წარმოება (1), ჰიდროელექტროსადგურის განთავსება (5), მაგისტრალური გაზსადენის გაყვანა (5), მეტალურგიული წარმოება (2), ნარჩენების მართვა (8), ნავთობსაცავის განთავსება (5), ქიმიური მრეწველობა (3), რკინიგზის მშენებლობა (1), საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობა (5), საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ხიდის აგება (2), აგურის წარმოება (1), ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განთავსება (1), კირის წარმოება (1).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გარემოზე ზემოქმედების ანგარიშების განხილვის საფუძველზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების გაზრდილი რაოდენობა (გასულ წელთან შედარებით გაცემულია 24 ერთეულით მეტი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა);
- საქმიანობის პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების შეფასებები;

12.5. 3. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 38 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგები:

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საქმიანობაზე და გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ინფორმირება;
- თანამშრომლობის გაძლიერება სახელმწიფო, არასამთავრობო, ბიზნეს, საერთაშორისო სექტორთან და აკადემიურ წრეებთან;
- შიდა კომუნიკაციის გაძლიერება და სრულყოფა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაინტერესებული მხარეებისთვის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების მეშვეობით;
- საზოგადოების მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა გარემოსდაცვით საკითხებში.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- შემუშავდა, დამზადდა და გავრცელდა პრომო მასალები, თემატური ფლაერები, ბროშურები, ბლოკნოტები, ჩანთები და მაისურები;
- დამზადდა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განთავსდა საინფორმაციო კლიპი „დარგე შენი მომავალი“;
- „მწვანე თვის“ ფარგლებში ჩატარდა მედია ტური/სემინარი ჟურნალისტებისთვის, კუს ტბაზე გაიმართა ეკო-დებატები, ეკო-პიკნიკი, წყლის ველოსიპედებით გასეირნება და სხვა ღონისძიებები თბილისისა და რეგიონების ხუთი ბავშვთა სახლის აღსაზრდელთათვის;

- „დასუფთავების აქციები“ გაიმართა 80-ზე მეტ ადგილას სხვადასხვა ქალაქებში. აქციას შეუერთდნენ აგრეთვე ბორჯომ-ხარაგაულის, თბილისის, ყაზბეგის, კოლხეთის, აჯამეთის, მტირალას, ქობულეთის, ლაგოდეხის, ვაშლოვანის, ალგეთის დაცული ტერიტორიებზე, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- გაიმართა საერთაშორისო ექსპერტების საბოლოო ანგარიშის პრეზენტაციები ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით;
- ჩატარდა მინისტრის შეხვედრა ბიზნესის წარმომადგენლებთან და გაიმართა Georgian Green Business Award პრეზენტაცია;
- შემუშავდა 2014 წლის საინფორმაციო კალენდარი (3000-5000 ეგზემპლარი), რომლებიც გავრცელდა სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, დიპლომატიურ მისიებში, მედიასა და შესაბამის ბიზნეს-წრეებში;
- გაიმართა ლექცია/სემინარები გარემოსდაცვით თემაზე.
- მოეწყო ეკოტურები და ეკო-ბანაკები ლაგოდეხის და იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე, მტირალას, კოლხეთისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკებში. მოეწყო რეინჯერებთან ერთად ლაშქრობა დაცულ ტერიტორიებზე, სადაც სტუდენტები გაეცნენ ბუნებაში ქცევის წესებს.
- ვიზიტორი სტუდენტებისთვის ჩატარდა პრეზენტაცია საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სოციალური ქსელის (Facebook, moe.gov.ge) მომხმარებელთა, დაინტერესებულ პირთა 50% ზრდა;
- სოციალური რეკლამებით, რადიოგადაცემით, კონფერენციებით, სემინარების გზით სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმირებული მოსახლეობა;
- დაინტერესებული მხარეების გაზრდილი მაჩვენებელი;
- გარემოსდაცვით აქციებში მოსახლეობის აქტიური ჩართულობა.

12.5.4. ცხოველთა სამყაროს ობიექტების მონიტორინგი (პროგრამული კოდი 38 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგი:

- ცხოველთა შერჩეული სახეობებისათვის შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების მონიტორინგის მიზნით ჩატარდა საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი შემდეგი სახეობების აღრიცხვა: დასავლეთ და აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი (Capra caucasica, Capra cylindricornis), კავკასიური კეთილშობილი ირემი (Cervus elaphus), ნიამორი (Capra aegagrus), არჩვი (Rupicapra rupicapra), კავკასიური როჭო (Tetrao mlokosiewiczi);

- ცხოველთა შერჩეულ სახეობებზე განხორციელებული აღრიცხვის შედეგად მომზადდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ცხოველთა შერჩეული 5 სახეობის რაოდენობრივი შეფასება.

12.6. გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (პროგრამული კოდი 38 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- მრავალწლიურ ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა სრულყოფილი ბაზების შექმნა და ამ მონაცემების ხარისხის გაუმჯობესება;
- ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის გაფართოება და მისი სრული ავტომატიზაცია;
- მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ წინასწარი გაფრთხილების თანამედროვე ეფექტური სისტემის შექმნა;
- მომხმარებელთა ეფექტური ჰიდრომეტეოროლოგიური მომსახურების სისტემის შექმნა;
- საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე გეოლოგიური პროცესების შესახებ მონაცემთა ბაზის სრულყოფა და გეოლოგიური სტიქიის შესახებ ყოველწლიური საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება;
- გეოლოგიური კუთხით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე საექსპერტო დასკვნების მომზადება;
- წიაღით სარგებლობისათვის წარმოდგენილ ტერიტორიებზე გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება;
- დასკვნების მომზადება საბადოს არსებობის ან არარსებობის შესახებ;
- მინერალური რესურსების მონაცემთა ბაზების განახლება;
- ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლის, ნიადაგის და ატმოსფერული ნალექების დაბინძურების მონიტორინგის წარმოება და მიღებული მონაცემების საფუძველზე საქართველოს გარემოს დაბინძურების ხარისხის შეფასება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- რეგულარულად, დღეღამურ რეჟიმში ტარდებოდა დაკვირვებები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებსა და საგუშაგოებზე;
- ჩატარდა თოვლის საფარის აგეგმვის ექსპედიციური სამუშაოები საქართველოს მდინარეების ზემო წელში;
- ყოველდღიურად დგებოდა და ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის და ჰიდროლოგიური მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი საერთო დანიშნულების და სპეციალიზირებული პროგნოზები, მათ შორის გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზი. მზადდებოდა და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;

- დამონტაჟდა და გაიმართა ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური ავტომატური სადგურები;
- მიმდინარეობდა მრავალწლიური ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების დამუშავების თანამედროვე პროგრამული საშუალებების დანერგვის პროცესი;
- საქართველოს სამხედრო საავტომობილო გზისთვის რეგულარულად მზადდებოდა და მომხმარებელს მიეწოდებოდა სპეციალიზირებული პროგნოზები და გაფრთხილებები ამ გზის გასწვრივ, ან მის ცალკეულ მონაკვეთებზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;
- მომზადდა ვიზუალური საინჟინრო-გეოდინამიკური დასკვნები საქართველოს ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტების და ქალაქების მიხედვით, სტიქიური გეოლოგიური პროცესების შედეგად დაზიანებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების შესახებ;
- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ჰაერის ხარისხის, საქართველოს მდინარეეებისა და ტბების, ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი და მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე შესაბამისი ინფორმაციის მომზადება.
- ყოველდღიურად ხდებოდა 15 სადგურიდან რადიაციული ფონის შესახებ შემოსული ინფორმაციის შეფასება და საინფორმაციო ბიულეტენში განთავსება;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მრავალწლიურ ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა შედარებით სრულყოფილი ბაზები;
- გამართული 4 ერთეული ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური და საგუშაგო;
- სტიქიის ექსტრემალური გააქტიურების პირობებში არსებული, შესწავლილი ობიექტებისა და ოჯახების რაოდენობა (239 დასახლებულ პუნქტზე, შეფასებული იქნა 1010 ოჯახის საშიშროების რისკი და გაიცა სათანადო რეკომენდაცია. საშიშროების რისკის არეალში მოქცეული ოჯახებიდან 274 ოჯახი დაექვემდებარა აუცილებელი გაყვანის საჭიროებას, 500-ზე მეტი აყვანილია მუდმივი მონიტორინგის ქვეშ);
- მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების საექსპერტო დასკვნის ანგარიშები (143 ანგარიში) და გეოსაინფორმაციო პაკეტი წიაღით სარგებლობისთვის წარმოდგენილ ტერიტორიებზე (669 ობიექტზე);
- ინფორმაციულად უზრუნველყოფილი, მინერალური რესურსების მართვის სამსახურის მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაციით დაინტერესებული უწყებების მზარდი რაოდენობა (114 ერთეული).

12.7. სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს: ქვეყანაში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის

მართვის საკითხებში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას;
- სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:
- შემუშავდა და საჯარო განხილვების შემდეგ დამტკიცდა ეროვნული სატყეო კონცეფცია;
- მომზადდა და მიღებული იქნა ცვლილებები ტყითსარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში და შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში;
- მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით მოხდა სისტემის მოდულების სრულყოფა; დაიწყო მუშაობა ტექნიკური დავალების მოსამზადებლად მერქნული რესურსების მართვის სისტემაში ტყის აღდგენისა და მოვლის მოდულის შექმნისათვის;
- ეროვნული სატყეო სააგენტოს კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების მიზნით გამოცხადდა სპეციალისტთა შესარჩევი კონკურსი, რომლის საფუძველზეც მოხდა სააგენტოს საკადრო რესურსების გაძლიერება და მეტყევე სპეციალისტების ხვედრითი წილის გაზრდა;
- მოსახლეობის მერქნული რესურსებზე მოთხოვნილების დაკამყოფილების მიზნით განხორციელდა ტყეკაფების გამოყოფა;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:
- შემუშავებული ეროვნული სატყეო კონცეფცია;
- სოციალური ჭრის ფარგლებში გამოყოფილი ტყეკაფები (453,6 ათასი კუბური მეტრი);
- დარეგულირებული ტყითსარგებლობა და გაზრდილი ტყის ფონდის ფიზიკური დაცვის ხარისხი 10%-ით;
- გაზრდილი შრომითი რესურსი (ტყის მცველთა რაოდენობა 276 ერთეულიდან გაიზარდა 569 ერთეულამდე);
- სპეციალისტთა შესარჩევი კონკურსის საფუძველზე გაუმჯობესებული კვალიფიკაციის დონე (გაიზარდა 25%-ით).

12.7.2. სატყეო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 38 05 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:
- ტყის ფართობების აღდგენა, კორომების განახლება, ქვეყნის ტყიანობის პროცენტის შენარჩუნება და ზრდის ხელშეწყობა;
- ტყის მართვის ახალი გეგმა და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალები ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნისთვის;
- იურიდიული და ფიზიკური პირების მოთხოვნილების დაკმაყოფილება I ხარისხის (სამასალე) და II ხარისხის (საშეშე) მერქნულ რესურსზე.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ტყის მავნებლებთან ბრძოლის მიზნით შეძენილი იქნა 5.0 ათასი მწერსაჭერი და 10.0 ათასი ფერომონიანი პრეპარატი (IPSOWIT). რომლებიც განთავსდა ადიგენის, ასპინძა-ახალქალაქის, ახალციხის და ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნების ტერიტორიაზე.
- დადგენილი მოთხოვნების, მეთოდოლოგიისა და ვადების დაცვით განხორციელდა მწერსაჭერების 10 მონიტორინგი.
- გამოვლინდა მავნებელის (მბეჭდავი ქერქიჭამია) ზემოქმედების შესუსტება/ლიკვიდაცია, და გაუმჯობესებული იქნა ტყის სანიტარული მდგომარეობა.
- ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნებზე 45 000 ჰა ფართობის ინვენტარიზაციის სამუშაოების ჩატარების მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა შპს ,,ჯეოლენდ"-თან. აღნიშნული ხელშეკრულება დასრულდება 2014 წელს. შპს ,,ჯეოლენდის" მიერ წარმოდგენილი იქნა ტყის აღრიცხვის სამუშაოები 12 681 ჰა-ზე, საიდანაც ტექნიკური დავალებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად საველე სამუშაოები შესრულდა 9 917 ჰა-ზე.
- განხორციელებულია ტყეკაფების გამოყოფა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე. სოციალური ჭრის ფარგლებში მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სატყეო უბნებზე ჩატარდა ტყეკაფების გამოყოფის სამუშაოები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განადგურებული მავნებლების მზარდი რაოდენობა (მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით მწერსაჭერების მიერ დაჭერილ და განადგურებული იქნა 3.0 მლნ-მდე მბეჭდავი ქერქიჭამია);
- შესრულებული საველე სამუშაოები (შესრულებულია 22%);
- გამოყოფილი ტყეკაფების მოცულობა/რაოდენობა (2013 წლის განმავლობაში გამოყოფილია სულ 453,6 ათ. კუბური მეტრი, აქედან პირველი ხარისხის მერქნული რესურსი 10,1. ათ. კუბური მეტრის და მე-2 ხარისხის (საშეშე) - 443,5 ათ. კუბური მეტრის ოდენობით).

12.8. გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 38 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიებისთვის საჭირო წყაროებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა;
- სხვადასხვა უწყებაში არსებულ, სათანადოდ დამუშავებულ, ადვილად აღსაქმელ და სანდო გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;
- სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება;
- სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზების გზით გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების გაძლიერებული შესაძლებლობები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მომზადდა ცენტრის სტრატეგია.
- საქართველოს ბუნების მოყვარულთა საზოგადოებასთან თანამშრომლობით დაიგეგმა და განხორციელდა ორი სემინარი თელავის სათემო კავშირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვით სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ;
- ცენტრის მიერ მომზადდა და განხორციელდა ტრენინგ-მოდული საკითხზე „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კერძოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უფლება“, ტრენერთა ტრეინინგები გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის შერჩეული თანამშრომლებისთვის;
- USAID-ის პროექტის - „ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება“ - მხარდაჭერით კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა ხუთი ტრენინგ-მოდული გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მცველებისთვის, ასევე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგების სერია ,,სერვისი პლიუსი“, რომლის მიზანს წარმოადგენდა, სათაფლიისა და პრომეთეს მღვიმის ვიზიტორთათვის არსებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა საახალწლო ღონისძიება - ,,არა ნაძვის ხის მოჭრას”, რომლის მიზანი იყო მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადებული და ჩატარებული ორი ღონისძიება;
- მომზადებული 7 ტრენინგ მოდული, ჩატარებული ტრენერთა ტრენინგების 5 სერია და გადამზადებული 15 ტრენერი;
- ჩატარებული ტრენინგების 9 სერია დაცული ტერიტორიების თანამშრომლებისთვის, გადამზადებული 32 თანამშრომელი.

12.9. სანერგე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა

დასახული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო ტყის ფონდის დადგენილი წესით განაშენიანებასთან დაკავშირებით, მაღალი ხარისხის ტყის, დეკორატიული და კულტურული სარგავი და სათესი მასალის გამოყვანის უზრუნველყოფა და რეალიზაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- 100 ჰა დეგრადირებული ქარსაცავი ზოლების აღდგენა-განხორციელების მიზნით, მეურნეობამ დედოფლისწყაროს რაიონს მიაწოდა წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშის 19.0 ათასამდე ცალი ნერგი;

- თბილისის ზღვის ტერიტორიაზე დაირგო 1.0 ათასი ცალი ფიჭვის ნერგი, ხოლო ბორჯომის რაიონში - წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის ჯიშის 17.0 ათასი ცალი ნერგი;
- „გაეროს განვითარების პროგრამის“ პროექტის ფარგლებში მეურნეობის სათბურის დემონტაჟისა და მონტაჟის შედეგად შესაძლებელი გახდა სათესი მასალის დათესვა შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე და მაღალი ხარისხის სარგავი მასალის მიღება;
- ახალი ნერგების გამოყვანის მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა ჯიშის სათესი მასალის კონტეინერებში (ნუში, საპნის ხე, ფშატი, მინდვრის ნეკერჩხალი და ჭალის მუხა) და ღია ფართობში (ნუში, ფშატი, მინდვრის ნეკერჩხალი, იფანი, ცაცხვი და წიფელა) დათესვა. სათბურში დაირგო ჭალის მუხა და ბზა, ხოლო დაკალმდა ბზა, კვიპაროსი და უთხოვარი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წინა წლებთან შედარებით ნერგების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალის ზრდა.